პალიტრა მედია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 აპრილი **ხუთშაბათი** 2011
№092 (13389) ფასი 60 თეთრი



## ცოტა ქართულით, ცოტა მეგრულით ნიგერიელი ევროპაზე ფიქრობს

2

# რეალის რევანში



ესპანეთი. კოპა დელ რეი. ფინალი

9



## GLASGOW?

## მერებაშვილის ვარიანტები: რეინჯერსი და არა მხოლოდ

3

## ამისულაშვილი მოსკოვში ტრავმით დატოვეს

საქართველოს ნაკრებისა და „კრასნოდარის“ მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი მოსკოვის „სპარტაკთან“ რუსეთის თასის მეოთხედფინალურ მატჩში ისე დაშავდა, რომ 23-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა. მატჩის შემდეგ კრასნოდარელთა მთავარმა მწვრთნელმა სლავოლიუბ მუსლინმა განაცხადა: „ამისულაშვილს დიდი პრობლემები აქვს, ერთ-ერთი ორთაბრძოლისას მას იდაყვი მოხვდა. ვფიქრობ, აჯობებს, მოსკოვში დარჩეს და გამოკვლევა ჩაიტაროს.



ეროვნული ნაკრები



# ქეცბაიამ ევროპული შეკრება გადაიფიქრა

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის **თემურ ქეცბაიას** გადაწყვეტილებით, ხორვატიასთან 3 ივნისის შეხვედრამდე გუნდი შეკრებას მთლიანად საქართველოში გაივლის.

როგორც მოგეხსენებათ, „ჯვაროსანთა“ თავკაცი ჩვეულებრივზე ხანგრძლივი შეკრების მოწყობას აპირებდა. საქმე ისაა, რომ სეზონი ნაკრების წევრთა უმრავლესობისთვის მაისის ბოლოს მთავრდება. მაგალითად, ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტური 22 მაისს გაიმართება. ქეცბაია ერთკვირიან შეკრებებს ატარებდა, ანუ ნაკრების მატჩამდე ეროვნული ჩემპიონატიდან გამოძახებულ მოთამაშეებს 3-4-დღიანი შესვენება გამოსდიოდათ, მნიშვნელოვან შეხვედრამდე კი 3-4 დღით მოცდენა არასასურველი იქნებოდა.

ასე რომ, ხორვატიასთან მატჩამდე ფეხბურთელებმა ტონუსი რომ შეინარჩუნონ, ქეცბაია ჩვეულებრივზე ხანგრძლივ შეკრებას ეროვნული ჩემპიონატის დასრულებისთანავე დაიწყებს. თავდაპირველად გეგმავდა, რომ პირველ კვირას გუნდი თბილისში ივარჯიშებდა, შემდეგ კი ევროპაში. ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილის** თქმით, შეკრების მოწყობის ადგილად რამდენიმე ევროპული ქვეყანა განიხილებოდა, მაგალითად, სლოვენია.

თუმცა, საბოლოოდ, ქეცბაიამ გადაწყვეტილება შეცვალა და ნაკრების საქართველოში მომზადება ამჯობინა, რადგან სეზონის ბოლოს მოთამაშეები მორალურად და ფიზიკურად გადაღლილები არიან და ასეთ დროს რამდენჯერმე გადაფრენა სასურველი არ იქნება. წარმოიდგინეთ იმ ლეგიონერის მდგომარეობა, რომელიც შეკრებაზე ევროპიდან მოდის, მას თბილისიდან ისევ ევროპაში, შემდეგ კი იქიდან ხორვატიაში მესამედ გადაფრენა მოუწევდა – ცხადია, ასეთი გრაფიკი სასურველი არ იყო.

დვალიშვილის თქმით, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ 23 მაისიდან შეიკრიბებიან. ცხადია, პირველად იმ ფეხბურთელებს ელიან, რომელთათვისაც სეზონი დასრულებული იქნება.

ყველაზე გვიან რუსეთში მოთამაშენი ჩამოვლენ, რადგან პრემიერლიგის ტური 29-30 მაისს იმართება, ანუ უკეთეს შემთხვევაში ისინი ნაკრებს 31 მაისს შეუერთდებიან.

ფედერაციის პრესატაშეს ცნობით, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები სპლიტში 2 ივნისს ჩარტერული რეისით გაფრინდებიან, 3 ივნისს კი ორივე ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ჭორჭიული მიდი-მოდი

# როქი: ვიტ ჯორჯიას ძველი სვლა

## ბერიძე მოვიდა, კოჭლაშვილი წავიდა



ზურაბ ბერიძე

როგორც მოსალოდნელი იყო, “ვიტ ჯორჯიამ” მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადამდგარი **მერაბ კოჭლაშვილის** პოსტი კლუბის სისტემაში დასაქმებულ სპეციალისტს ჩააბარა. სეზონის ბოლომდე ვეტერინართა მთავარ გუნდს **ზურაბ ბერიძე** უხელმძღვანელებს.

ბერიძე ვიტელთა დროებითი მთავარი მწვრთნელი წლების წინაც ყოფილა, ბოლოს კი დუბლშემადგენლობას ედგა სათავეში. “ვიტ ჯორჯიაში” მას კიდევ ერთი თანამდებობა აქვს – ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელია.

რაც შეეხება კოჭლაშვილს, მან კლუბი დატოვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი ჩვენს ჩემპიონატში

# ოვონიკოკოს ქართულ მეგრული საგზალი ევროპის გზაზე

## რავა ხარ, იომი? ჯგიროდ! სორე სქანი პასპორტი? მალე



**“გაგრას” 18 წლის ნიგერიელი ფორვარდის, აბაიომი ოვონიკოკოს შესაძლებლობების შესახებ აქამდეც კარგად ვიცოდით, მაგრამ საქართველოს თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – ოვონიკოკოს საოცრად მოუმატებია. “ვიტ ჯორჯიასთან” ჩატარებულმა ბრწყინვალე მატჩმა და ორმა ეფექტურმა გოლმა გადაგვაწყვეტინა, ოვონიკოკო უფრო ახლოს გაგაცნოთ.**



### ქართული კარიერის დასაწყისი

იომი, როგორც მას შემოკლებით ეძახიან, “გაგრას” 2009 წლის იანვარში შეუერთდა. იგი “ბრაიტონის” საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია. “ბრაიტონი” “გაგრას” პარტნიორია და ტრანსფერიც ამის წყალობით გაიჩარხა. დასაწყისი სულაც არ ყოფილა იოლი. ლეგიონერს ნებისმიერ ქვეყანაში იმის დამტკიცება უწევს, რომ ადგილობრივ კონკურენტს ორი თავით აღემატება და ეს ოვონიკოკომ დიდი შრომისმოყვარეობის წყალობით შეძლო.

საქართველოში მიღწეულ წარმატებებს კი “გაგრას” ხელმძღვანელობასა და გუნდის უკრაინელ მთავარ მწვრთნელ **ანატოლი პისკოვეცს** უმადლის. არც თანაგუნდელთა წვლილს ივიწყებს: *“უცხო გარემოში მოხვედრა ყოველთვის ძნელია, მაგრამ საქართველოში ჩამოსულთა უმეტესობა აქაურობას ძალიან სწრაფად და იოლად ეგუება. სხვანაირად შეუძლებელიცაა: აქ ხომ უშუალო და გულღია ხალხი ცხოვრობს... თანაგუნდელები ყველა წვრილმანი პრობლემის დაძლევაში მომეხმარნენ, კლუბის ხელმძღვანელობამ შესანიშნავი საცხოვრებელი პირობები შემიქმნა, პისკოვეცი კი ოსტატობის დახვეწაში დამეხმარა, მასწავლა სწორად თამაში და მომცა თეორიულ-ტაქტიკური ცოდნა”.*

### ქართველობამდე ცოტაღა დარჩა

უკვე საკმაო ხანია, რაც “გაგრას” მესვეურთა თანადგომით ოვონიკოკომ შესაბამის სტრუქტურებს საქართველოს მოქალაქეობის მიღების თხოვნით მიმართა. განაცხადის განხილვის პროცესი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ, როგორც “გაგრას” იურიდიული და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **მიხეილ აფხაზავამ** გვითხრა, პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და დადებითი პასუხის მოლოდინიც დიდია.

*“იმ სტრუქტურების თანამშრომლებისგან, რომელთაც ამ საკითხის განხილვა ევალებათ, დიდ თანადგომასა და კეთილგანწყობას ვგრძნობთ, საბოლოო გადაწყვეტილება კი, მოგეხსენებათ, ქვეყნის პრეზიდენტმა უნდა მიიღოს და დიდი იმედი გვაქვს, ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდება. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ეს თემა არა მხოლოდ ფეხბურთელისთვის არის საჭირბოროტო, მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის აქვს მნიშვნელობა. ამ ასაკის ქართველთა შორის ოვონიკოკოს დონის თავდამსხმელი ბევრი ნამდვილად არ მეგულება”*, - ამბობს აფხაზავა.

ოვონიკოკოსთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხი დაახლოებით სამ კვირაში უნდა გადაწყდეს.

### ქართველობის ორმაგი ხიბლი

ობიექტურობისთვის უნდა ვთქვათ, რომ იომის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა მხოლოდ საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში სათამაშოდ არ უნდა. ძალიან მალე მის საზღვარგარეთ წასვლას უნდა ველოდოთ. თუ გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ მისი შეძენა ფრანგულ და ბელგიურ კლუბებს სურდათ, მაგრამ ოვონიკოკომ ევროკავშირის ვიზა ვერ მიიღო. საქართველოს მოქალაქეობა კი მას ევროპისკენ გზას გაუხსნის. ბელგიური “გენკი” ნიგერიელს კვლავ იწვევს და დიდია იმის ალბათობა, რომ მომავალი სეზონიდან ოვონიკოკომ კარიერა სწორედ იქ გააგრძელოს. თუმცა მას სხვა მსურველებიც ჰყავს როგორც ევროკავშირიდან, ასევე პოსტსაბჭოთა სივრციდან.

საქართველოდან წასვლის შემთხვევაში კი იომი ჩვენი ქვეყნის დავიწყებას არ აპირებს: *“საქართველომ და ქართველებმა ჩემთვის ძალიან ბევრი გააკეთეს. დიდი ფეხბურთის თამაშის შანსი სწორედ აქ მომეცა და ამ სიკეთეს არასოდეს დავივიწყებ. უბედნიერესი ვიქნები, თუ საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში გამომიძახებენ, მომავლისთვის კი ჩემი მთავარი ოცნება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა იქნება”.*

მის მთავარ თვისებად შრომისმოყვარეობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას ასახელებენ. საქართველოში ორწლიანი ყოფნის განმავლობაში იომი ნიგერიაში მხოლოდ ერთხელ ჩავიდა, არადა, ყოველ შვებულებაზე კლუბი მას მგზავრობის ხარჯების დაფარვას სთავაზობდა. განტვირთვა და გართობა ყველა ფეხბურთელისთვის სასარგებლოა, მაგრამ “გაგრას” ნიგერიელი ამაშიც თავშეკავებული ყოფილა.

როგორც საქართველოში ჩამოსულ აფრიკელთა უმრავლესობამ, ქართული იომიმაც აითვისა. ლაპარაკი უჭირს, მაგრამ თითქმის ყველაფერი ესმის. ქართულზე არანაკლებად მეგრულიც ეხერხება, რომელიც “გაგრას” თანამშრომლებმა შეასწავლეს.

საქართველოში ბევრი მეგობარი ჰყავს, თავისუფალ დროს ხშირად ატარებს დინამოელ ჯუისთან და სპარტაკელ ბოიომოსთან ერთად. არ გამორიცხავს, რომ, ბოიომოს მსგავსად, ცოლად ქართველი შეირთოს...

### ბრძოლა ქართული ტიტულისთვის

სანამ კარიერას სხვა ქვეყანაში გააგრძელებდეს, ოვონიკოკოს საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი აქვს საბრძოლი – “გაგრას” უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაში უნდა დაეხმაროს და თასის ფინალში თითქმის გასულ გუნდთან ერთად პირველი ქართული ტიტულის მოგება სცადოს: *“უბედნიერესი ვიქნები, თუ თასის მოპოვებასა და ევროთასებზე გასვლაში ჩემს წვლილს შევიტან. სეზონს ძალიან მაღალ დონეზე ვატარებთ, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებასაც სულ მალე გავიფორმებთ და თასის ფინალთანაც ახლოს ვართ. უმაღლესის საგზური ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, მაგრამ თასზე წარმატებასაც ვგეგმავდით და ძალიან ბედნიერი ვარ, ამ ტურნირზე წინ რომ მივიწევთ”.*

“ვიტ ჯორჯიასთან” გამარჯვებაში საკუთარ წვლილს კი მოკრძალებით აფასებს: *“ვიცი, რომ ჩემმა გოლებმა მატჩის შედეგი განაპირობა, მაგრამ თანაგუნდელების გარეშე ვერაფერს მივაღწევდი. გოლები მთელი გუნდის დამსახურებაა და ბიჭებს ურთიერთგაგებისთვის დიდ მადლობას ვუხდი. “გაგრა”, უპირველესად, კოლექტიური თამაშითაა ძლიერი და გუნდისთვის თითოეული ფეხბურთელი ძალიან მნიშვნელოვანია”.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფრასტრუქტურა



# ბასა, ლაგოდეხი და...

## მიხეილ მესხი ზაფხულიდან განახლდება

ფეხბურთის ფედერაციამ ტექნიკურ ცენტრ "ბასას" განახლების შემდეგ მისი კუთვნილი სხვა ობიექტებისთვისაც მოიცალა. ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ მორიგი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება ლაგოდეხში მდებარე სპორტულ ბაზაზე დაიწყო.

"ლაგოდეხის ბაზას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება. სამუშაოები რამდენიმე ეტაპად განხორციელდება, ვინაიდან ბაზა სავალალო მდგომარეობაშია და საფუძვლიან სამუშაოებს საჭიროებს.

ლაგოდეხის ბაზა 1973 წელს აშენდა და იმხანად დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რაც, უპირველესად, მისი უნიკალური ადგილმდებარეობის დამსახურება იყო. თუმცა შემდეგ ბაზაზე სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა, რასაც მისი დღევანდელი იერსახეც ცხადყოფს.

შენობა ოთხსართულიანია, მთლიანად ბაზა კი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს. აქვეა სტანდარტული ბუნებრივსაფრიანი სტადიონიც.

მოსამზადებელი სამუშაოები რამდენიმე დღის წინ დაიწყო, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული. მზადების პროცესშია ბაზის რეაბილიტაციის პროექტი. მისი დასრულების შემდეგ იგეგმება საცხოვრებელი კორპუსის კაპიტალური რემონტი, მთლიანად განახლდება ოთახები, კვების ბლოკი და სხვა დამხმარე ნაგებობები, სტადიონის საფარი, არსებულ ტრიბუნებზე დამონტაჟდება ინდივიდუალური სკამები. გეგმაშია კიდევ ერთი დიდი და ორი მცირე ზომის მოედნის გაკეთებაც.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ლაგოდეხში იმყოფებოდა და შეამოწმა მოსამზადებელი სამუშაოები".

შეგახსენებთ, რომ ლაგოდეხის ბაზა ფეხბურთის ფედერაციას ლაგოდეხის რაიონის გამგეობამ 1996 წელს, უფროსი ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტობისას გადასცა. ის უნიკალურ სუბტროპიკულ კლიმატურ ზონაში, ულამაზეს ბუნებაში მდებარეობს და სრულყოფილი მოსამზადებელი და საწვრთნელი პროცესების ჩასატარებლად მშვენიერი ადგილია.

მშენებლობის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციის პიარმენეჯერი **თათია ბურდული** გველაპარაკა.

**- ლაგოდეხის ბაზაზე დაწყებულ სამუშაოს ვინ აფინანსებს, "ქართუ", "სოკარი" თუ ფედერაცია?**

- "ქართუ" ტექნიკური ცენტრის განახლებაზე მუშაობდა, "სოკარი" მოედნების გაკეთებას აპირებს, ლაგოდეხის ბაზა კი ფედერაციის სახსრებით გარემონტდება.

**- ბაზის რეაბილიტაცია როდის დასრულდება?**

- პროექტის დასრულებას ველოდებით, მაგრამ ზვიად სიჭინავას ისეთი ტემპით უყვარს მშენებლობის წარმართვა, იმედია, ეს ბაზაც მალე ამოქმედდება. ლამის ყოველ კვირას ლაგოდეხშია და სამუშაოების მიმდინარეობას აკონტროლებს. ბაზის ოთხსართულიან შენობაში ოთხი გუნდი თავისუფლად განთავსდება.

**- ტრიბუნაზე რამდენი სკამი დამონტაჟდება?**

- ესეც პროექტის დამუშავების შემდეგ გვეცოდინება.

**- ლაგოდეხში ხომ არ ჩამოყალიბდება "ჯვაროსნული აკადემია"?**

- ჯერ ვერ გეტყვით.

**- როდის დაიწყება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის განახლება?**

- უეფას არქიტექტორი პროექტზე მუშაობას ამთავრებს და როგორც კი მას დაამტკიცებენ, სამუშაოებიც დაიწყება.

**მერაბ მამულაშვილი**

გაგრა



ანატოლი პისკოვეცი

ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა ევროტურნირებზე გასულ კლუბს უეფას ლიცენზირების პირობები ვერ დაუკმაყოფილებია და საგზური სხვისთვის დაუთმია. დავინტერესდით, მსგავსი პრობლემა ხომ არ აწუხებს ევროპის ლიგაზე გასვლის რეალურ კანდიდატ "გაგრას". როგორც შევიტყვეთ, პირველლიგელებმა ამ საკითხის მოგვარებაზე კარგა ხნის წინ იზრუნეს, ლიცენზირებისთვის საჭირო ყველა პროცედურა გაიარეს და პროცესი წარმატებით დაასრულეს. შესაბამისად, თუ ამის უფლება სპორტული პრინციპით მოიპოვა, "გაგრა" ევროპაში დაუბრკოლებლად ითამაშებს.

შეგახსენებთ, "გაგრა" ევროპის ლიგის საგზურს საქართველოს თასის მოპოვების შემთხვევაში მიიღებს. არის მეორე ვარიანტიც – თუ "ზესტაფონი" ჩემპიონი გახდა და თასის ფინალში "გაგრას" დაუპირისპირდა, **ანატოლი პისკოვეცის** გუნდი მარცხის შემთხვევაშიც ითამაშებს ევროტურნირზე.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# მერებაშვილი რეინჯერსში?

## არა მხოლოდ: ვარიანტი სხვაც ბევრია

"იუთუბიზე" საინტერესო ჩანაწერი გავრცელდა: რუსეთში ცნობილი და გავლენიანი საფეხბურთო აგენტი, "სოვინტერსპორტის" დამფუძნებელი **ვალერი აბრამოვი** "სოვეტსკი სპორტის" საპრესკონფერენციო დარბაზში რუსული ფეხბურთის ვეტერანს, გაზეთის ექსპერტ **ევგენი ლოვჩევს** ესტუმრა და საკმაოდ ვრცელი საუბრის დროს ნოვი სადის "ვოევოდინას" ქართველი შემტევი ნახევარმცველი **გიორგი მერებაშვილიც** ახსენა, ახლახან სერბეთში ვნახე ეს ნიჭიერი ქართველი ბიჭი და მისით ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა" დაინტერესდაო.



ბოლო დროს 24 წლის ქართველი ნოვი სადის "ვოევოდინას" ლიდერი გახდა და მისით რუსული კლუბის დაინტერესება არ გაგვიკვირდებოდა, მაგრამ... აბრამოვის განცხადების პარალელურად "ლელოს" უთხრეს, რომ მერებაშვილით ხუთი გუნდი დაინტერესდა, რომელთაგან მხოლოდ ორი დაგვისახელეს – თითქოს მისი დაბრუნება თბილისის "დინამოს" სურს, შოტლანდიის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი "რეინჯერსი" კი ისეა დაინტერესებული, თავისი სელექციონერი ქართველზე დასაკვირვებლად "ვოევოდინას" ბოლო თამაშებზე მიავლინაო. დანარჩენი სამი კლუბი არ დაგვიკონკრეტეს, ზოგადად გვითხრეს, გერმანული, ესპანური და რუსული კლუბებია, გიორგი კი სერბეთს ზაფხულში აუცილებლად დატოვებსო.

მართალია თუ არა ეს ამბავი, ამის თაობაზე გიორგი მერებაშვილს სერბეთში დავუკავშირდით.

**- მართალია, თითქოს ზაფხულში სერბეთიდან მიდიხარ?**

- რამდენიმე კლუბი მართლაც დაინტერესდა ჩემით.

**- გვითხრეს, თითქოს დაინტერესდნენ გლაზგოს "რეინჯერსი", გერმანული, ესპანური, რუსული კლუბები და თბილისის "დინამო".**

- "რეინჯერსიც" და თქვენ მიერ დასახელებული ვარიანტებიც შემომთავაზეს, პლუს ისრაელის კლუბი, კონკრეტული გუნდებიც ვიცი. მაგრამ ჯერ მათ დასახელებას მოვერიდები.

**- რომელ ქვეყანაში გადასვლა გირჩევნია?**

- ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია. ეს მხოლოდ ჩემს სურვილზეც არ არის დამოკიდებული, რადგან "ვოევოდინასთან" კონტრაქტი ჯერ არ დასრულებულა. სერბეთს მართლაც კარგად შევეწყვე, გუნდში კარგი ატმოსფეროა, მენდობიან და თან ისეთი გარემოა, უნდა ითამაშო - აღდგენები, ვიტამინები, პირობები ძალიან კარგია.

**- "რეინჯერში" კონტრაქტი რომ შემოგთავაზონ, დიდ ბრიტანეთში შრომის ვიზის მისაღებად საკმარისი სანაკრებო პროცენტი გეყოფა?**

- მგონი, საკმარისი პროცენტი მაქვს.

**- რუსმა მენეჯერმა "ვოლგაც" ახსენა.**

- ეს ერთადერთი არასწორი ინფორმაციაა. მეც ვიცი, რომ ამაზე რუსმა მენეჯერმა აბრამოვმა "სოვეტსკი სპორტთან" ილაპარაკა. ის ნოვი სადში იყო ჩამოსული და გუნდის ბაზაზე გავიცანი. ვილაპარაკეთ და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა თანამშრომლობაზე არაფერი გვითქვამს. ისე, რუსულ კლუბში მართლა მიწვევენ, მაგრამ ეს გუნდი "ვოლგა" არ არის.

**- აბრამოვი რატომ გელაპარაკა?**

- ჩვენთან, ბაზაზე რომ იყო, იმ დროს ფეხი მტკიოდა, ვისვენებდი და გამომელაპარაკა. მერე გავიგე, რუსეთში დიდი გავლენა ჰქონია, მოსკოვის "სპარტაკთან" თანამშრომლობს. ეტყობა, დამიმახსოვრა, ჩემი თამაშიც ნახა და მიხარია, კარგად რომ დამახასიათა.

რაც შეეხება ჩემს შესაძლო ტრანსფერს: ევროპაში თამაში უფრო მსურს და იმედია, ასეც მოხდება. ისე, "დინამოს" დაინტერესებამაც ძალიან გამახარა. თურმე საქართველოში კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც მაფასებენ...

**მერაბ მამულაშვილი**

დიდი სპორტის კარიბჭესთან

### გიორგი ადამია

**დაიბადა** 1997 წლის 19 ნოემბერს, თბილისში

**სწავლობს** №128 საჯარო სკოლაში

**საფეხბურთო სკოლა** "საბურთალოს" ალსაზრდელი, მცველი

**პირველი და ამჟამინდელი მწვრთნელი:** ნოდარ ჭელიძე

**წარმატებები:** არის საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრების წევრი. ნაკრებთან ერთად გერმანიაში მესამე, ხოლო ლიტვაში პირველი ადგილი დაიკავა.

**ჰობი:** თავისუფალ დროს კალათბურთის თამაში

**საყვარელი ფეხბურთელი:** პაოლო მალდინი

**ოცნება:** სურს ითამაშოს "მილანში", იმ პოზიციაზე, რომელიც მისთვის მისაბაძ ფეხბურთელ პაოლო მალდინის ეკავა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

● სამწვრთნელო საკითხი

# დამაფიქრებელი ტენდენცია

ორი დღის წინ, საქართველოს თასის პირველ ნახევარფინალში „გაგრასთან" წაგების (0:3) შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" მთავარმა მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა.
დღესდღეობით ერთი შეხედვით, სენსაციური თუ მოულოდნელი არაფერი მომხდარა: ამ სათასო ფიასკომდე „ვიტ ჯორჯიამ" ჩემპიონატში ხომ ზედიზედ სამი მატჩი წააგო და გუნდის ასეთ წარუმატებელ სერიაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე მთავარმა მწვრთნელმა აიღო.
მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ კოჭლაშვილის შემთხვევა „ჩვეულებრივ" მოვლენად უნდა მივიჩნიოთ; ოღონდ ის კი ფაქტია, რომ მწვრთნელების ასეთ წასვლა-მოსვლაში, ალბათ, სარეკორდო მაჩვენებელიც გვექნება, - ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ჩვენთან მართლაც დამაფიქრებელი ტენდენცია შეინიშნება. არადა, ის უკვირს ყველას, ბუნდესლიგასა თუ სერია „ა"-ში ამ სეზონში რამდენიმე ათეული სამწვრთნელო გადაადგილება რომ მოხდა; ჰოდა, ეტყობა, „იქ", ევროპაში ყურადღებით არ ადევნებენ თვალს საქართველოს ჩემპიონატს, თორემ გერმანიასა თუ იტალიაში „დატრიალებულ სამწვრთნელო კარუსელზე" არც არავინ ილაპარაკებდა. კიდევ ვიმეორებთ: ამ მხრივ ჩვენთან მართლაც უცნაური ტენდენცია ჩამოყალიბდა და მხოლოდ და მხოლოდ ერთეული მწვრთნელები თუ ახერხებენ სეზონის სრულად ჩამთავრებას...



გია გეგუჩაძე ზესტაფონს 2008 წლის დეკემბრიდან წვრთნის

## პარალელები და ორი იღბლიანი

ვიდრე ამ სეზონში მომხდარ სამწვრთნელო გადაადგილებებს კიდევ ერთხელ გავიხსენებდეთ, წინა ჩემპიონატებთან გვინდა პარალელის გავლება. ანუ, თავად დარწმუნდებით, თუ როგორ იცვლება ქართული კლუბების ხელმძღვანელთა „გემოვნებაც" თუ ამა თუ იმ მწვრთნელისათვის გარკვეული დროის განმავლობაში ნდობის გამოცხადებაც; 2009-10 წლების ჩემპიონატში მხოლოდ და მხოლოდ სამმა სპეციალისტმა შეძლო სეზონის სრულად ჩამთავრება: **კახა კაჭარავამ** („დინამო"), **გია გეგუჩაძემ** („ზესტაფონი") და **გელა სანაიამ** („ლოკომოტივი"). იმის წინა სეზონში (2008-09 წლების ჩემპიონატს ვგულისხმობთ) კლუბის ხელმძღვანელთაგან სრული ნდობა უფრო მეტ, ხუთ მწვრთნელს ჰქონდა: **რამაზ მუმლაძეს** („ვიტ ჯორჯია"), **ოთარ კორღალიძეს** („სიონი"), **ბესიკ შეროზიას** („მგლები"), **კობა თედიაშვილს** („მესხეთი") და **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** „დუეტს" („ლოკომოტივი"). თუმცა, ეს კიდევ არაფერია XIX ჩემპიონატის მაჩვენებელთან: 2007-08 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში 14 გუნდი ასპარეზობდა და აქედან ცხრა გუნდის მთავარ მწვრთნელს სეზონის სრულად ჩამთავრების საშუალება ჰქონდა! აი, ისინიც, რამდენიმე კოლეგისგან განსხვავებით ყველანაირ წნეხს რომ გაუძლეს: **დუშან უჰრინი** („დინამო"), **თემურ მახარაძე** („ზესტაფონი"), **რამაზ მუმლაძე** („ვიტ ჯორჯია"), **გიორგი კიკნაძე** და **ზაზა ზამთარაძე** („ლოკომოტივი), **ბესიკ შეროზია** („მგლები"), **კობა თედიაშვილი** („მესხეთი"), **ვლადიმერ ხაჩიძე** („ბორჯომი"), **კობა ჟორჟიკაშვილი** („სპარტაკი"), **გიორგი ჩიხრაძე** („ამერი"). სხვათა შორის, გიორგი ჩიხრაძესა და რამაზ მუმლაძეს მართლაც საამაყოდ აქვთ საქმე: ბოლო წლებში, მხოლოდ და მხოლოდ ეს ორი სპეციალისტი იყო, ერთსა და იმავე გუნდში 4 სეზონი გადაბმულად რომ მუშაობდნენ. არადა, ადრე ის გვიკვირდა, ამა თუ იმ გუნდში, სეზონის განმავლობაში მწვრთნელი რომ შეიცვლებოდა ხოლმე; ჰო, ნამდვილად ასე იყო და XXI საუკუნის დასაწყისამდე მართლაც ჩვეულებრივ მოვლენად აღვიქვამდით იმას, თუ როგორ მოღვაწეობდნენ ერთსა და იმავე გუნდში წლების განმავლობაში **დავით ყიფიანი და გივი ნოდია, რევაზ ძოძუაშვილი** და **ოთარ გაბელია, რევაზ ბურკაძე** და **გიგლა იმნაძე, თემურ მახარაძე** და კიდევ სხვა სპეციალისტები. აღარაფერს ვამბობთ **სოსო ფილიაზე**, რომლის მაჩვენებელსაც, ალბათ, დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ გააუმჯობესებს: ამ გამოცდილმა სპეციალისტმა ფოთის „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე „გადაბმულად" რვა სეზონი იმუშავა! აქვე ბათუმის „დინამოც" უნდა ვახსენოთ: 1990-99 წლებში (ანუ, ათი სეზონის განმავლობაში) ამ გუნდში მხოლოდ და მხოლოდ ორი მთავარი მწვრთნელი, **ვალერიან ჩხარტიშვილი** და **შოთა ჭეიშვილი** მუშაობდნენ...

ახლა კი, რა ხდება: XXII ჩემპიონატში მხოლოდ და მხოლოდ ორად ორი მწვრთნელიც შემორჩა, სეზონი რომ დაიწყეს და კვლავაც აგრძელებენ: **გია გეგუჩაძე** („ზესტაფონი") და **ელგუჯა ქომეთიანი** („ბაია"). გეგუჩაძეს, საერთოდაც საუკეთესო მაჩვენებელი აქვს დღესდღეობით მოქმედ კოლეგებს შორის: 2008 წლის დეკემბრის დასაწყისიდან „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელია. არადა, ამ ორწელიწად ნახევარში დანარჩენ ქართულ გუნდებში, სეზონის განმავლობაში სულ მცირე, სამი-ოთხი სამწვრთნელო გადაადგილებები ხდებოდა...

## ყველაფრით გამორჩეული...

XXII ჩემპიონატი მართლაც საინტერესოდ მიმდინარეობს: წინა სეზონებისგან განსხვავებით, ოქროს მედლებისთვისაც რამდენიმე გუნდი იბრძვის და გასავარდნ ზონაშიც არანაკლებ დაძაბული სიტუაციაა. თუმცა, მიმდინარე სეზონი სხვა მხრივაც გამორჩეულია: ლამის არის სათვალავი აგვერიოს, თუ რამდენი სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა ჩემპიონატის დასაწყისიდან დღემდე.

...პირველი მწვრთნელი, ვინც თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა, **რამაზ მუმლაძე** გახლავთ: ეს გამოცდილი სპეციალისტი ქუთაისის „ტორპედოს" შვიდი ტურის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. სეზონში პირველი სამწვრთნელო გადაადგილებიდან ხუთი დღეც არ იყო გასული, მუმლაძის ბედი **გოჩა ჩიქოვანმაც** („სპარტაკი") რომ გაიზიარა; ეს ყველაფერი სექტემბერში ხდებოდა, ისე როგორც „ოლიმპში" მიმდინარე, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური პროცესები: VII ტურში სტუმრად „კოლხეთთან" დიდი ანგარიშით (1:5) დამარცხების შემდეგ რუსთაველთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** მცირეხნიანი შვებულება აიღო (ასეთი იყო კლუბის ოფიციალური ვერსია). „ოლიმპი" მომდევნო ტურში „სამტრედიას" ხვდებოდა და რუსთავული გუნდი მოედანზე თემურ მახარაძის ასისტენტებმა, **არმაზ ჯელაძემ** და **იური გაბისკირიამ** გამოიყვანეს. თუმცა, ამის შემდეგ მახარაძე ისევ დაუბრუნდა „ოლიმპს", მაგრამ ბოლნისში მარცხის მერე ეს გამოცდილი სპეციალისტი დღემდე უმუშევარია...



ელგუჯა ქომეთიანი

მახარაძის ნაცვლად „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელად რამაზ მუმლაძე დაინიშნა, მაგრამ ჯერ კიდევ პირველი ეტაპის ბოლომდე რუსთავულ კლუბში მორიგი სამწვრთნელო ცვლილება მოხდა: „სამტრედიასთან" სტუმრად ნათამაშევი ფრის შემდეგ, ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, მუმლაძე გაათავისუფლეს...

ჩემპიონატის გადამწყვეტი, მეორე ეტაპი ვიდრე დაიწყებოდა, კიდევ ოთხი სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა; თანაც, ორმა ახალგაზრდა და პერსპექტიულმა სპეციალისტმა, **გელა სანაიამ** („სამტრედია") და **გიორგი ყიფიანმა** („სიონმა") თავიანთი თანამდებობები საკუთარი სურვილით დატოვეს. უფრო ადრე, კონკრეტულად კი 5 ნოემბრის მატჩის, ზუგდიდის „ბაიასთან" ფრედ დამთავრებული შეხვედრის მერე „დინამოს" მთავარი მწვრთნელობიდან **კახა კაჭარავა** გადადგა, თუმცა მის შემცვლელ **თამაზ სამხარაძესაც** არ უმუშავია დიდხანს და მეორე ეტაპი ვიდრე დაიწყებოდა, ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდი კვლავაც კახა კაჭარავამ ჩაიბარა. მეორე ეტაპი თებერვალში დაიწყო და იმ თვეში ყველაფერმა „მშვიდად" ჩაიარა, აი, მარტში კი რამდენიმე სამწვრთნელო ცვლილება მოხდა; მთავარი მწვრთნელი „სიონში" კვლავაც შეიცვალა (სეზონში-მესამედ) და გუნდში ორი თვის წინ მისულ **გიორგი ყიფშიძეს** თანამდებობის დატოვება მოუხდა. „დინამოსთან" საშინაო მარცხის (6 მარტს) შემდეგ „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზიაც გადადგა და ფოთელთა გუნდს მომდევნო ტურში **დავით მახარაძე** თავკაცობდა. ოღონდ, „კოლხეთში" სამწვრთნელო ცვლილებები ამით არ ამოწურულა და უკვე შემდეგ ტურში ფოთელთა გუნდს ქართული სამწვრთნელო სკოლის ვეტერანი **სოსო ფილია** მოძღვრავდა.

და აი, სულ ბოლო ამბავიც: მერაბ კოჭლაშვილი „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან საკუთარი სურვილით წავიდა.

## სტაბილურობის გარანტი

...1998 წლის დასაწყისიდან ქართულ საფეხბურთო სივრცეში ახალი კლუბი, „ვიტ ჯორჯია" გამოჩნდა და ამ ხნის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და სტაბილურ კლუბად ჩამოყალიბდა. რაც მთავარია, სწორედ „ვიტ ჯორჯიაა", ფაქტობრივად, ერთადერთი ქართული კლუბი, რენტაბელობით რომ თავს იწონებს (უკვე მესამე წელიწადია, მომგებიანი კლუბია). „ვიტ ჯორჯიას" განსაკუთრებულობა კიდევ რამდენიმე ფაქტორითაც არის განპირობებული: დაარსებიდან დღემდე კლუბის პრეზიდენტი **გურამ რუხაძე** გახლავთ (მსგავსი ხანგრძლივობის სტაჟი ჩვენთან არც ერთ ხელმძღვანელს არ გააჩნია). ცალკე საუბრის თემაა გუნდის სტაბილურობაც; „ვიტ ჯორჯიამ" სადებიუტო სეზონში X ადგილი დაიკავა, ორჯერ მეშვიდეზე გავიდა და დანარჩენ შემთხვევაში კი გუნდი მუდამ მედლებისათვის იბრძოდა. თუმცა, „ვიტ ჯორჯიაში" მწვრთნელებიც ძალიან ხშირად იცვლებოდნენ და ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა კონკრეტულ სეზონში სამი თუ ოთხი სპეციალისტიც დაუნიშნავთ და გაუთავისუფლებიათ. ამას გარდა, ერთდროულად რამდენიმე მწვრთნელიც ვიცით, „ვიტ ჯორჯიაში"... რამდენჯერმე რომ მიბრუნებულან, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლიანობაში, გუნდის საბოლოო შედეგზე ამას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. საქართველოს ორგზის ჩემპიონი, თასისა და სუპერთასის მფლობელი გუნდი ჯერ ამ სეზონის დაწყების წინ, შემდეგ კი მეორე ეტაპის დაწყებამდეც სერიოზულად გადახალისდა (უფრო ზუსტად, ერთიანად გაახალგაზრდავდა); ალბათ, ამის გამოც არის, რომ პირველად ბოლო წლების განმავლობაში, „ვეტერინარები" იმის საფრთხის წინაშე არიან, წლევანდელმა ევროტურნირებმა მათ გარეშე რომ ჩაიაროს. თუმცა, ფეხბურთში ყველაფერი ხდება და განა „ვიტ ჯორჯია" არ იყო ის გუნდი, თასის წინა გათამაშებაში სამბურთიანი ჩამორჩენა რომ აღმოფხვრა? ეგეც რომ არ იყოს, „ვეტერინართა" ძველ-ახალ მთავარ მწვრთნელს **ზურაბ ბერიძეს** (ვინც გუნდს სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს) ჩემპიონატშიც საკმარისზე მეტი მოტივაცია ექნება — IV ადგილის დაკავების შემთხვევაში იმის შანსიც არსებობს, „ვიტ ჯორჯიამ" ევროპის ლიგაზე რომ იასპარეზოს.

...2003-04 წლების სეზონში, „ვიტ ჯორჯიას" ტრიუმფით რომ დასრულდა, ზურაბ ბერიძე ჯერ „ვეტერინართა" მთავარი მწვრთნელი გახლდათ, შემდეგ კი... **მერაბ კოჭლაშვილის** ასისტენტი; ამის შემდეგ წლების განმავლობაში **ჯანი კარნევალესა** და რამაზ მუმლაძეს ეხმარებოდა, გუშინდლამდე კი მერაბ კოჭლაშვილის ასისტენტი იყო და აი, „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელებმა ამ ცაიტნოტურ სიტუაციაში გუნდის გაძღოლა ისევ თავიანთ კადრს, ზურაბ ბერიძეს მიანდო...

**გია ტუხაშვილი**

### საქართველოს ჩემპიონატი

**I ლიგა. XXVIII ტური**

| | |
|---|---|
| სძური-ჩიხურა | 1:3 |
| კოლხეთი (ხ)-მეშახტე | 1:0 |
| მერცხალი-ჭიათურა | 2:1 |
| სამგურალი-მარტვილი | 1:2 |
| ჩხერიმელა-ბათუმი | 1:1 |
| adeli-გურია | 5:2 |
| დილა-ნ. დინამო | 1:1 |
| ლოკომოტივი-იმერეთი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 26 | 19 | 5 | 2 | 62-15 | 62 |
| 2. მარტვილი | 27 | 18 | 7 | 2 | 50-12 | 61 |
| 3. ჩიხურა | 26 | 17 | 4 | 5 | 51-22 | 55 |
| 4. გორი | 27 | 15 | 9 | 3 | 49-21 | 54 |
| 5. ბათუმი | 26 | 14 | 8 | 4 | 54-14 | 50 |
| 6. კოლხეთი (ხ) | 26 | 11 | 9 | 6 | 27-26 | 42 |
| 7. გურია | 27 | 12 | 3 | 12 | 46-53 | 39 |
| 8. მერცხალი | 26 | 8 | 6 | 12 | 39-56 | 30 |
| 9. ჩხერიმელა | 26 | 6 | 11 | 9 | 30-39 | 29 |
| 10. ნ/დინამოელი | 26 | 8 | 3 | 15 | 31-51 | 27 |
| 11. მეშახტე | 25 | 7 | 5 | 13 | 27-37 | 26 |
| 12. სამგურალი | 26 | 7 | 5 | 14 | 30-50 | 26 |
| 13. იმერეთი | 26 | 7 | 4 | 15 | 24-36 | 25 |
| 14. ლოკომოტივი | 26 | 6 | 6 | 14 | 26-40 | 24 |
| 15. ადელი | 26 | 7 | 2 | 17 | 31-47 | 23 |
| 16. ჭიათურა | 26 | 6 | 5 | 15 | 23-58 | 23 |
| 17. სძური | 26 | 6 | 4 | 16 | 23-46 | 22 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოხმაურება



# პატიოსანი ლოვენკრანდსი და ერნანდესი

ნიუკასლში, „სენტ ჯეიმსი'ზ პარკზე“, „კაქკაჭებმა“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 0:0 ითამაშეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუმართა გუნდმა ცხრილში 9 ქულით დაწინაურების შანსი გაუშვა ხელიდან. მათი მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** ამტკიცებს, რომ ამ შეხვედრაში მსაჯი შეცდა — „იუნაიტედის“ სასარგებლოდ პენალტი უნდა დაენიშნა, მაგრამ იმავეს ამბობს ნიუკასლელთა თავკაცი **ალან პერდიუც**, ოღონდ - თავის სასარგებლოდ. მასპინძლები მიიჩნევენ, რომ მსაჯი **ლი პრობერტი** ვალდებული იყო **ანდერსონის** მიერ **პიტერ ლოვენკრანდსის** წაქცევა შეემჩნია. სტუმრები ამტკიცებენ, რომ არბიტრს შეხვედრის მინურულს, დამატებულ დროში, უნდა დაენიშნა თერთმეტმეტრიანი, როდესაც **ჩიჩარიტოს** ანუ **ხავიერ ერნანდესის** წინააღმდეგ **დენი სიმპსონმა** დაარღვია თამაშის წესი. სხვათა შორის, ამ ეპიზოდზე „იუნაიტედის“ ხალხს სულ სხვა შეხედულება აქვს. ისინი მაშინვე მისცვივდნენ მექსიკელ თავდამსხმელს და სიმულანტობაში დასდეს ბრალი.

მატჩის შემდეგ ფერგიუსონმა თქვა: „არ მოგვცა პენალტი? ჯანდაბას, ნუ მოგვცა, მაგრამ ერნანდესის გაფრთხილება შეურაცხმყოფელი გახლდათ. ჩანაწერიც ვნახე და ჩანს, რომ კონტაქტი აშკარად იყო. ჩიჩარიტო ის კაცი არ არის, მოედანზე განზრახ რომ წამოგორდება. მათ პენალტზე კი ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერ არ მინახავს. ვნახავ და მერე მოგახსენებთ ჩემს აზრს. ვფიქრობ, ჯამში, მსაჯმა თამაშს თავი ჩინებულად გაართვა, მაგრამ გაფრთხილებებით გადააჭარბა“.

პერდიუ: „გული გადამიქანდა. „მანჩესტერ იუნაიტედს“ ხომ ბოლოწამს დანიშნული პენალტების მდიდარი ისტორია აქვს. თუ გავითვალისწინებთ, რომელ კლუბზე ვლაპარაკობთ და მისი მწვრთნელი რამხელა ფიგურაა, მეგონა მსაჯი პენალტის არდანიშვნას ვერ გაბედავდა, მაგრამ მსაჯი ყველაფერზე მაღლა დადგა და ამისათვის ტაში ეკუთვნის. დენის ფეხი განეული ჰქონდა, მაგრამ ბოლო წამს მოასწრო გამოწევა.

გასახდელში დრო ვიხელთე და პრესკონფერენციაზე ამოსვლამდე ორივე საეჭვო ეპიზოდი ვნახე. ვფიქრობ, პიტერის შემთხვევაში პენალტი უნდა დანიშნულიყო. ის იმდენად პატიოსანი ადამიანია, რომ შეხების გარეშე არ დაეცემოდა“.

მატჩის შემდეგ აზრი დენი სიმპსონსაც ჰკითხეს. მან უპასუხა: „გულწრფელად რომ გითხრათ, ერნანდესთან კონტაქტი არ მიგრძნია. შესაძლოა ის თავად მოძრაობდა ძალიან რბილად. ჩანაწერი უნდა ვნახო. მიხარია, რომ მსაჯმა ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტა“.

ამრიგად, „მანჩესტერ იუნაიტედმა“, რომელსაც მიმდინარე სეზონში ხუთი თამაშიღა დარჩა - მათ შორისაა შეხვედრები „არსენალსა“ (1 მაისს) და „ჩელსისთან“ (8 მაისს) - ძალიან მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა, თუმცა ცხრილში მაინც პირველ ადგილზეა.

„ძნელია იმის თქმა ნიუკასლში ორი ქულა მოვიპოვეთ თუ დავკარგეთ — განაგრძონ ფერგიუსონმა — ორი მნიშვნელოვანი შეხვედრა წინ გვაქვს და ყველაფერი შემდგომ ტურებში გადაწყდება“.

კითხვაზე, ფრე ნიუკასლში ხომ არ იყო შაბათს, „უემბლიზე“, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში, „მანჩესტერ სიტისთან“ ბრძოლისა და დაღლის („სიტიმ“ მოიგო 1:0) შედეგი, ფერგიმ უპასუხა:

„ჩვენ, ამ დღეებში, ყველა ღონე ვიხმარეთ, რათა ძალები აღგვედგინა. „უემბლის“ გრუნტი აშკარად დამღლელია, მაგრამ „ნიუკასლის“ ფეხბურთელებიც უნდა შევაქო. ისინი ენერგიით აღსავსენი იყვნენ“.

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი ამ შეხვედრასაც ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს — მას ხომ ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა მისჯილი. თუმცა დისკვალიფიკაციის „ვადა“ დასრულდა და შაბათს, 23 აპრილს, „ოლდ ტრეფორდზე“, „ევერტონთან“ სერ ალექსი მოედნის კიდესთან ჩვეულ ადგილს დაუბრუნდება. ამასთან დაკავშირებით ფერგიუსონმა იხუმრა:

„მგონი, ჩემს ასისტენტებს ძალიან წყდებათ გული, ხუთი თამაში უკვე რომ გავიდა და მე დაბლა ვბრუნდები“.

„იუნაიტედთან“ ფრემ „ნიუკასლს“ კარგი საქმე გაუკეთა. „კაჭკაჭები“ ცხრილში 40 ქულით მეცხრე ადგილზე არიან და გასავარდნ ზონას 7 ქულით აღემატებიან, თუმცა პერდიუ, რომელიც გუნდს სათავეში დეკემბერში, **კრის ჰაუტონის** გაგდების შემდეგ ჩაუდგა, ფეხბურთელებს დამშვიდებას არ ურჩევს:

„წესით 40 ქულა საკმარისი უნდა იყოს, მაგრამ შაბათს რთული მატჩი გველის, ბლექპულში მივდივართ. ვფიქრობ, იქაც ისეთივე ფეხბურთის თამაში გვმართებს, „იუნაიტედთან“ რომ ვითამაშეთ და ცხრილის 8 უძლიერეს გუნდში უნდა შევიდეთ“.

## პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩები

### ჩელსი-ბირმინგემი 3:1

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი - ფერეირა, ტერი, ლუიზი, ე. კოული (57. ბერტრანდი) - ესიენი, მიკელი, ლემპარდი - კალუ (67. ტორესი), მალუდა (68. ანელკა), დროგბა

**ბირმინგემი** (4-5-1): ფოსტერი - კარი, პენერბი (80. კ. დევისი), რ. ჯონსონი, რიჯუელი - ლარსონი, გარდნერი, ფერგიუსონი, ჰლები (70. ბენტლი), ფეპეი - ჯერომი (70. დერბიშირი)

**გოლები:** 1:0 მალუდა (3), 2:0 კალუ (26), 3:0 მალუდა (62), 3:1 ლარსონი (77-პენ)

**გაფრთხილება:** პენერბი (ბირმინგემი)

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 9-12; **კარში დარტყმა:** 20-8 (6-2); **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 40 848

### ტოტენჰემი-არსენალი 3:3

**ტოტენჰემი** (4-4-2): გომესი - ჩორლუკა (45. ქაბული), დოუსონი, გალასი, ასუ-ეკოტო - ვან დერ ვაარტი, მოდრიჩი, ჰადლსტოუნი, ბეილი (45. ლენონი) - კრაუჩი, პავლიუჩენკო (78. სანდრო)

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი - სანია, დჯურუ, კოშელნი, კლიში - უოლკოტი (82. არშავინი), სონგი, დიაბი (52. უილშირი), ნასრი (82. ბენდტნერი) - ფაბრეგასი, ვან პერსი

**გოლები:** 0:1 უოლკოტი (5), 1:1 ვან დერ ვაარტი (7), 1:2 ნასრი (12), 1:3 ვან პერსი (40), 2:3 ჰადლსტოუნი (44), 3:3 ვან დერ ვაარტი (70-პენ)

**გაფრთხილება:** კლიში, სონგი, დჯურუ (სამივე არსენალი)

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 8-15; **კარში დარტყმა:** 17-15 (9-7); **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 36 138

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 33 | 20 | 10 | 3 | 70-32 | 70 |
| 2. ჩელსი | 33 | 19 | 7 | 7 | 61-27 | 64 |
| 3. არსენალი | 33 | 18 | 10 | 5 | 66-34 | 64 |
| 4. სიტი | 32 | 16 | 8 | 8 | 50-30 | 56 |
| 5. ტოტენჰემი | 32 | 14 | 12 | 6 | 47-39 | 54 |
| 6. ლივერპული | 33 | 14 | 7 | 12 | 46-39 | 49 |
| 7. ევერტონი | 33 | 11 | 14 | 8 | 47-41 | 47 |
| 8. ბოლტონი | 32 | 11 | 10 | 11 | 46-43 | 43 |
| 9. ნიუკასლი | 33 | 10 | 10 | 13 | 48-47 | 40 |
| 10. ასტონ ვილა | 33 | 10 | 10 | 13 | 42-54 | 40 |
| 11. ვესტ ბრომვიჩი | 33 | 10 | 9 | 14 | 47-62 | 39 |
| 12. ფულჰემი | 32 | 8 | 14 | 10 | 36-35 | 38 |
| 13. სტოკ სიტი | 32 | 11 | 5 | 16 | 39-42 | 38 |
| 14. ბირმინგემი | 33 | 8 | 14 | 11 | 34-47 | 38 |
| 15. სანდერლენდი | 33 | 9 | 11 | 13 | 35-47 | 38 |
| 16. ბლექბერნი | 33 | 9 | 8 | 16 | 40-54 | 35 |
| 17. უიგანი | 33 | 7 | 13 | 13 | 32-53 | 34 |
| 18. ბლექპული | 33 | 9 | 6 | 18 | 47-69 | 33 |
| 19. ვესტ ჰემი | 33 | 7 | 11 | 15 | 39-58 | 32 |
| 20. ვულვზი | 32 | 9 | 5 | 18 | 36-56 | 32 |

## არსენალი




**სესკ ფაბრეგასი** ამბობს, რომ „არსენალში“ WOW ფეხბურთელები აღარ თამაშობენ. ინგლისური შეძახილი, WOW, ბოლო დროს საქართველოშიც ესმით — ის აღტაცებას გამოხატავს. ხოლო, ესპანელმა ვარსკვლავმა კარგად იცის, არის თუ არა დღეს მის გუნდში ვინმე აღტაცების ღირსი.

ფაბრეგასი „არსენალმა“ 2004 წელს იყიდა, ეს კი ის დროა, როდესაც „მეთოფეთა“ გუნდში ბრწყინავდნენ **დენის ბერგკამპი, ტიერი ანრი** და ძმანი მათნი. ჩრდილოლონდონელთა დღევანდელი კაპიტანი ამბობს:

„რად უნდა ლაპარაკი, რომ ის „არსენალი“, რომელიც ისტორიას „დაუმარცხებელთა“ სახელით შემორჩა, საუკეთესო იყო. მე ასეთ გუნდში სხვა დროს არ მითამაშია. ხანდახან ხვდებოდი, რომ ცუდად თამაშობ, მაგრამ ამით არაფერი ფუჭდებოდა. თანაგუნდელები გეხმარებოდნენ. იმ ფეხბურთელების გვერდით შენც უფრო მაღალი დონისა ჩანდი. დღეს კი „არსენალში“ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა და ხალხი ჩემკენ იყურება. როდესაც ცუდად ვთამაშობ პასუხისმგებლობა მთლიანად მეკისრება. იმდროინდელი გუნდიდან მხოლოდ მე და რობინ ვან პერსი შემოვრჩით, ამიტომაც ითხოვენ ჩვენგან რაღაც განსაკუთრებულს.

მე და ვან პერსი კერპების გვერდით და მათი დაკვირვებით გავიზარდეთ. ჩვენ საუკეთესოებისგან ვსწავლობდით. მოდი, ნუ დაგვავიწყდება, რომ მხოლოდ 23 წლისა ვარ. ჩემი კარიერა ძალიან ადრე დაიწყო და იქმნება შთაბეჭდილება, რომ უკვე 27-28 წლის ვარ. არადა, ჯერ კიდევ ძალიან დიდი გზა მაქვს წინ“.

მოგეხსენებათ, ფაბრეგასი „ბარსელონას“ სკოლის აღზრდილია და მის მშობლიურ კლუბს შარშან ზაფხულში ნახევარმცველის დაბრუნება უნდოდა. სავარაუდოდ, კატალონიელები მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგაც მიმართავენ „არსენალს“ მისი ყიდვის წინადადებით. და როგორი იქნება „მეთოფეთა“ კაპიტნის პოზიცია? ერთი რამ აშკარაა, რომ მას **არსენ ვენგერის** სატრანსფერო პოლიტიკა არ მოსწონს.

„ფეხბურთელის კარიერაში დგება მომენტი, როდესაც მან უნდა უპასუხოს კითხვას, არის თუ არა ის ტიტულების მომხვეჭთა შორის. 2007 წლის მერე ვუმეორებ საკუთარ თავს, რომ მართალია ტიტულებს ვერ ვიგებთ, მაგრამ კარგ ფეხბურთს ვთამაშობთ. არადა, გადის დრო და ვხვდები, რომ ასე აღარ შეიძლება. აშკარაა, გუნდს ბოლო ნაბიჯის გადადგმა უჭირს, რაც ქმედითი ნაბიჯის გადადგმას მოითხოვს. უნდა გადაწყვიტო ბოლოს და ბოლოს, მოგება გინდა თუ ახალი თაობის აღზრდა“.

## ჩელსი



# ანჩელოტის სუსტი გუნდი და ბუნდოვანი მომავალი

**კარლო ანჩელოტი** ფიქრობს, რომ მას, „ჩელსიდან“ გააგდებენ. მიზეზი? მისი გუნდი საკმარისად ძლიერი არ არის.

მწვრთნელის ასეთი განცხადება კლუბის მეპატრონე **რომან აბრამოვიჩს**, ალბათ, განარისხებს. საქმე ის არის, რომ „ლურჯების“ დღევანდელი შემადგენლობა, ფეხბურთელების სატრანსფერო თანხები რომ შევკრიბოთ, 271,65 მილიონი ფუნტის ტოლია. არადა, იტალიელს დაუჩემებია, შემოდგომაზე, კრიზისი რომ დაგვეწყო, შემადგენლობის გადახალისების საშუალება არ მქონდაო.

„ვფიქრობ, ამ სეზონში „ჩელსის“ შემადგენლობა საკმარისად ძლიერი არ იყო. სეზონის დასაწყისში ვერც წარმოვიდგენდით, რომ დადგებოდა დღე და ერთბაშად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოგვაკლდებოდა. ჩვენ სწორედ მაშინ გაგვიჭირდა, როდესაც ფრენკ ლემპარდი, დიდიე დროგბა, მიკაელ ესიენი, ჯონ ტერი და ალექსი დაგვაკლდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ იძულებულები გავხდით მარჯვენა მცველი პაოლო ფერეირა შუაში დაგვეყენებინა, რადგან იქ არავინ გვყავდა. ამას თავიდანვე როგორ წარმოვიდგენდით? არადა, რამდენიმე ქულა სწორედ მაშინ დავკარგეთ. თან, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ამ ფეხბურთელების არყოფნაში მხოლოდ მათი ოსტატობა კი არ დაგვაკლდა, არამედ მათი პიროვნული თვისებებიც“ — განაცხადა ანჩელოტიმ.

ბოლო ხანს გამოქვეყნებულ მონაცემთა თანახმად „ჩელსიმ“ ხუთი წლის განმავლობაში ფეხბურთელების ყიდვაში 185 მილიონი ფუნტი დახარჯა. სატრანსფერო ბაზარზე „ლურჯებზე“ მეტად ხელგაშლილები იყვნენ „მანჩესტერ სიტი“, „ტოტენჰემ ჰოთსპური“ და „ლივერპული“. სეზონის დასაწყისში „ჩელსიმ“ პრემიერლიგაში მხოლოდ 21-კაციანი განაცხადი შეიტანა და ამ ფეხბურთელებს შორის სამი მეკარე იყო. თვალში საცემია ისიც, რომ დასავლეთლონდონელთა გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ერთიც ვერ ხვდება. თუმცა, ამ ყოველივეს მიუხედავად, ანჩელოტი ფიქრობს, რომ სწორად მოიქცა, როდესაც აბრამოვიჩს არ შეეწინააღმდეგა და სეზონის შარშანდელი შემადგენლობით დაწყებას დაჰყაბულდა. შეგახსენებთ, რომ „ჩელსიმ“ გასულ სეზონში პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული და ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგო.

იტალიელი მწვრთნელი ამბობს, რომ მას არ წყდება გული იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც „ლურჯებმა“ სახელფასო ფონდის შემცირების გამო გაუშვეს. ლაპარაკია **მიხაელ ბალაკზე, რიკარდო კარვალიოზე, ჯო კოულზე, დეკუსა და ჟულიანო ბელეტიზე**.

„მე დავეთანხმე კლუბის პოლიტიკას, რომლის თანახმადაც მნიშვნელოვანი ფეხბურთელები ახალგაზრდებით უნდა შეგვეცვალა. სანამ კრიზისული პერიოდი დაგვიდგებოდა ჩვენ კაკუტას, სტარიჯსა და მაკეჩრანს ნაკლებად ვათამაშებდით. მეორე მხრივ კი გამოჩნდა, რომ გაჭირვების ჟამს ამ ბიჭებზე მთელი პასუხისმგებლობისა და სიმძიმის აკიდება არ შეიძლებოდა და ამიტომაც ვიყიდეთ იანვარში, ფერნანდო ტორესი და დავიდ ლუიზი“.

„ჩელსის“ განსაკუთრებით ნოემბერსა და დეკემბერში გაუჭირდა, როდესაც 11 შეხვედრიდან 10 ქულაზე მეტი ვერ აიღო. ანჩელოტი განაგრძობს:

„ბოლო თვეებში საქმე ძლიერ გამოვასწორეთ და პრემიერლიგაში შესანიშნავად ვითამაშეთ, ბევრი შეხვედრა მოვიგეთ. დღეს ჩვენ „არსენალთან“ ახლოს ვართ, „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ კი არც ისე შორს. დეკემბერში ამაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი ჩანდა. სამწუხაროდ, ჩემპიონატის დამთავრებამდე ცოტა რჩება და ჩამორჩენის აღმოფხვრა ძალიან ძნელია. ამ სეზონში ჩემპიონის ტიტულისთვის ველარ ვიბრძოლებთ. შესაძლოა მეორე ადგილზე გავიდეთ, თუმცა „ჩელსისთვის“ მეორე ადგილზე გავა თუ მესამეზე დიდი მნიშვნელობა არ აქვს. სეზონის დაწყების წინ მე მხოლოდ პირველობაზე ვფიქრობ. მეორე ადგილზე ცხოვრებაში არ მიფიქრია.

დიახ, ჩვენთვის უმთავრესი მიზანი პირველი ადგილია. შემდეგ, მნიშვნელოვანია ისეთ ადგილზე გასვლა, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდეთ“.

მიმომხილველები კი წერენ, რომ ანჩელოტის ხელმძღვანელობით „ჩელსიმ“ ყველა დარჩენილი შეხვედრა რომც მოიგოს, იტალიელი სპეციალისტი თანამდებობას მაინც ვერ შეინარჩუნებს. ამ საკითხზე ლაპარაკისგან ის თავს იკავებს და ამბობს, რომ თუ აბრამოვიჩი მის შეცვლას გადაწყვეტს, საწინააღმდეგო არაფერი ექნება.

„რასაკვირველია, მომავალი სეზონისთვის მაქვს გეგმები დასახული, მაგრამ მათზე ლაპარაკი დღეს ნაადრევი მგონია. მე ფეხბურთელებთან მომავალზე არ მილაპარაკია და არც მათი კონტრაქტების გაგრძელება მეხება. „ჩელსიში“ ნამდვილი პროფესიონალები თამაშობენ და იციან, რომ გუნდები მწვრთნელებს ცვლიან, ხოლმე.

დღეს ისინი ჩემთან თამაშობენ შემდგომ სეზონში კი არ არის გამორიცხული სხვისი ხელმძღვანელობით მოუხდეთ მუშაობა“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ბიბლიოთეკა

● საფრანგეთის თასის 1/2-ფინალი





რუდი გარსია

# გარსიამ იცის თავისი საქმე

თამაშამდე ჟურნალისტები ხაზს უსვამდნენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო "ნიცასთვის" თასის გათამაშების ფინალში გასვლა, რადგან მსგავსი შანსი ამ კლუბს კიდევ დიდხანს არ მიეცემა. ქალაქში დაპირისპირებამ არნახული ინტერესი გამოიწვია. ამაზე ისიც მოწმობდა, რომ რეგიონის მაცხოვრებლებმა ჯერ კიდევ თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე დაიტაცეს "სტად დუ რაიზე" მოსახვედრი 17 ათასივე ბილეთი. ნიცელთა ალტყინება გასაგები იყო. იმისთვის, რომ გუნდის ფანებს სტადიონამდე ადვილად მიეღწიათ, კლუბმა ქალაქის ცენტრიდან სპეციალური ავტობუსები დანიშნა. "ნიცას" ოფიციალური ვებგვერდი კი გულშემატკივარს მოუწოდებდა, სტადიონის ტრიბუნები ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე შეევსოთ. ასპარეზობა დაიწყო და გულშემატკივრებმა, ამ სიტყვის ლამის პირდაპირი მნიშვნელობით, გამაყრუებელი აპლოდისმენტებით დაასაჩუქრეს საკუთარი გუნდი.

"ლილის" დამრიგებელი **რუდი გარსია** ჯერ კიდევ მატჩამდე 24 საათით ადრე ამბობდა, რომ "ნიცასთან" სასტარტო შემადგენლობაში არ დააყენებდა თავის ლიდერებს, ლიგა 1-ის საუკეთესო ბომბარდირს, 25 წლის **მუსა სოვსა** და 20 წლის **ედენ აზარს**. ფეხბურთელები ჯერ გახურებულნიც არ იყნენ, რომ სტუმრებმა ტერიტორიული უპირატესობა ჩაიგდეს ხელთ. ტრიბუნებს ამ ყველაფერზე ლოგიკური რეაქცია ჰქონდა - "სტად დუ რაი" კინაღამ დაიქცა. როგორც ჩანს, ჩემპიონატის ლიდერებს მწვრთნელის დარიგება კარგად ახსოვდათ და სულაც არ ერიდებოდნენ ტრიბუნების ობსტრუქციის ფონზე საკუთარ ნახევარზე ბურთის ერთმანეთისთვის გაგორება-გამოგორებას. სტუმართა იერიშები მოკლე, თუმცა მრავალსვლიანი კომბინაციებისგან შედგებოდა. მიუხედავად ბურთის ფლობისა, სახიფათო მომენტებამდე საქმე არა და არ მიდიოდა. "ნიცამ" ამით ისარგებლა და მე-14 წუთზე აქეთ დაემუქრა მოწინააღმდეგეს: 27 წლის გაბონელმა **ერიკ მულუნგუიმ** ტექნიკურად მოახერხა მეურვის ჩამოშორება და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც მას **დავიდ ბელიონი** დახვდა. დარტყმა კარს სანტიმეტრებში ასცდა.

მიუხედავად რიგ ეპიზოდებში გუნდების თავდადებული ბრძოლისა, საერთო ჯამში თამაშის ტემპი საშუალოზე ოდნავ დაბალი იყო. "ლილი" ძალიან ადვილად გადიოდა მოედნის ცენტრს, თუმცა რაც უფრო უახლოვდებოდა ვეტერანი **ლიონელ ლეტიზის** კარს, მით მეტად ჭირდა ზუსტი პასის გაკეთებაც კი. რეალურად "ძაღლების" ყოველი შეტევა მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან იფუშებოდა. ვინ იცის, ნანობდა თუ არა რუდი გარსია ამ მომენტში, რომ გუნდის ორივე ლიდერი სკამზე უჯდა. რაც შეეხებათ მასპინძელ "არწივებს", ისინი იშვიათად გადადიოდნენ ბურთიანად მეტოქის ნახევარზე და როცა გადადიოდნენ, მაშინაც რეალურად ვერაფერს ქმნიდნენ.

პირველი სახიფათო მომენტი "ნიცას" კართან ნახევარი საათის მიწურულს შეიქმნა და ისიც 26 წლის ბრაზილიელ **ტულიო დე მელოს** შორეული დარტყმით. მალე რუდი გარსიას პირველი პრობლემა შეექმნა: ტრავმის გამო მინდორი 31 წლის **ფლორან ბალმონმა** დატოვა და მის ნაცვლად თამაშში ედენ აზარი ჩაერთო. "ძაღლების" დამრიგებელმა ამით მეტოქეს ისიც მიანიშნა, რომ ის მხოლოდ მოსაგებად იყო ჩამოსული და თამაშის დარჩენილ ნაწილში აქცენტის შეტევაზე გაკეთებას აპირებდა. პირველი ტაიმის მიწურულს ხიფათი ისევ სტუმართა კართან შეიქმნა. საჯარიმოდან 24 წლის საყრდენმა **დიდიე დიგამ** ბურთი პირდაპირ თავზე დაასვა დავიდ ბელიონს, ვისი დარტყმულიც პირდაპირ ხელებში მიუვიდა ვეტერან **მიკაელ ლანდროს**. ამ "თავხედობას" 44-ე წუთზე მოჰყვა ღირსეული პასუხი: ედენ აზარმა დე მელოსგან ზუსტი პასი მიიღო და ლეტიზის აუღებელი ბურთი დაურტყა - 0:1.

ვინ იცის, რა გეგმები ჰქონდათ მეორე ტაიმის დასაწყისში **ერიკ როის** შეგირდებს, თუმცა... "ლილმა" 46-ე წუთზე ყველა შეკითხვას გასცა პასუხი. თანაგუნდელებმა 23 წლის კოტდივუარელი **ჟერვინიო** ლეტიზისთან ერთი-ერთზე დატოვეს, ამ უკანასკნელმა ადვილად მოატყუა მეკარე და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. "ნიცა" შეეცადა პასუხი მალევე გაეცა და მინდორსა თუ ტრიბუნებზე ცეცხლი არ გაენელებინა. მცდელობა რამდენჯერმე იყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა: 56-ე წუთზე 23 წლის **ანტონი მუნიემ** ფლანგზე გაინავარდა და საჯარიმოში მულუნგუის თავზე დაასვა, ამ უკანასკნელმა "ლილის" მცველი 28 წლის **მატიო დებიუში** დაჩაგრა და ბურთი კარში გადაგზავნა. ლანდროს ნაცვლად მას წინ ძელი გადაელობა. სანახაობრივი თვალსაზრისით მეორე ტაიმი უკეთესი გამოდგა, "ნიცას" უკანდასახევი აღარსად ჰქონდა და "ლილს" ყრუ დაცვაში ჩაჯდომა არც უფიქრია. ყველაზე სახიფათოდ ისევ და ისევ მულუნგუი ირჯებოდა. 63-ე წუთზე მან მუნიეს პასის შემდეგ ძალიან ძლიერად დაარტყა კარში, თუმცა ხარიხას გადააცილა. "ნიცას" დრო თვალსა და ხელს შუა შემოადნა. "არწივებს" ანგარიშის შესამცირებლად მაინც ბოლო მცდელობა 83-ე წუთზე ჰქონდათ. მულუნგუი ისევ ადვილად გაექცა დებიუშის. აფრიკელი მიწაზე აღმოჩნდა. ყველაფერი საჯარიმოში ხდებოდა და მსაჯს პენალტის დანიშვნის სრული უფლება ჰქონდა, თუმცა მან ეს არ გააკეთა. მატჩის შემდგომ ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი დაესწრო. აი, რა განაცხადა გამარჯვებულმა სპეციალისტმა.

რუდი გარსია: *"პირველ რიგში მინდა ჩემი პატივისცემა გამოვხატო ლიონელ ლეტიზის მიმართ. ის დიდებული ადამიანი და მაღალი დონის პროფესიონალია. რაც შეეხება ჩემს გუნდს... ჩვენ უკვე ვდგავართ ისტორიის ზღურბლთან. უკანასკნელი ტიტული ამ გუნდმა შორეულ 1955 წელს მოიგო. სეზონის დარჩენილ ნაწილში გასამართი მატჩების მნიშვნელობა ყველას მშვენივრად ესმის – ფეხბურთელებს, ტექნიკურ პერსონალს, კლუბის პრეზიდენტს. ყველანი ერთად ვამაყობთ, რომ საპატიო ტიტულისთვის ბრძოლა "სტად დე ფრანსზე" მოგვიწევს. დღევანდელი მატჩი მშვენიერი პასუხია მათთვის, ვინც ფიქრობდა, რომ საბოლოოდ ამოვვარდით ფორმიდან. აშკარაა, ჩვენ კარგად ვითამაშეთ და დღევანდელი დაპირისპირება სწორედ ჩვენს სტილში მოვიგეთ. ერთადერთი რაზეც გული ძალიან გვწყდება, ეს ფლორან ბალმონის ტრავმაა. ექიმებმა პირველივე შეხედვისთანავე დაასკვნეს, რომ მას კუნთი აქვს გაწყვეტილი.*

*ხვალ დილიდან ჩვენ უკვე სხვა საზრუნავი გვექნება. ლიგა 1-ში "ლორიანთან" უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მოგვიწევს. მართალია მარსელის "ოლიმპიკმა" წელს ძალიან მოუმატა, მაგრამ პირველ ადგილზე ჯერ კიდევ ჩვენ ვართ და სანერვიულოც ბევრი არაფერია".*

გუშინ გვიან გავრცელებული ცნობებით ფლორან ბალმონს პირველადი დიაგნოზი დაუდასტურდა, მას კუნთი აქვს გაწყვეტილი და ახლა მინიმუმ ოთხი კვირის გაცდენა მოუწევს.

● ინტერვიუ. პიტერ ოდემვინგიე

# ბრაზილიაში თამაშზე ვოცნებობ

**"ვესტ ბრომვიჩის" 29 წლის ნიგერიელმა თავდამსხმელმა პიტერ ოდემვინგიემ ფიფას ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში მოკლედ შეაფასა მისი პირველი ინგლისური სეზონი და გულწრფელად ილაპარაკა სამომავლო გეგმებზე. ამ ინტერვიუს მკითხველს მცირედი შემოკლებით ვთავაზობთ.**

- ინგლისურ პრემიერლიგაში ჩემი პირველი სეზონით ძალიან კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, წელს თამაში ნამდვილად გამომდიოდა. აქაურობას შევეჩვიე და თავს ისე ვგრძნობდი, როგორც სახლში. მიმაჩნია, რომ სწორედ ინგლისური ფეხბურთია ჩემი სათამაშო სტილისთვის იდეალური. „ვესტ ბრომვიჩისთვის" სეზონის დასაწყისში ყველაფერი იდეალურად არ მიდიოდა, თუმცა ბოლო ხანს ცხრილში ზემოთ ნელ-ნელა მივიწევდით და ახლა უკვე გვაქვს მშვიდად ყოფნის უფლება.

**- სეზონის განმავლობაში გატანილი გოლების პირად რეკორდს სულ რაღაც სამი გოლი გიკლიათ. შეძლებთ ამ შედეგის გაუმჯობესებას?**

- ეს რომ მოხდეს მართლა მშვენიერი იქნება. რა თქმა უნდა, ეს ჩემი მიზანია. რეკორდის დასამყარებლად თადარიგში კიდევ ხუთი მატჩი მაქვს. ბოლო ტურის უკანასკნელ წუთამდე ვეცდები, თუმცა რომც არ გამომივიდეს, მაინც მივიჩნევ, რომ კარგი სეზონი ჩავატარე.

**- ბოლო ხანს ჟურნალ-გაზეთები ხშირად წერენ, რომ თქვენ "იუვენტუსში" გადასვლას აპირებთ. „ვესტ ბრომვიჩის" თავკაცმა როი ჰოჯსონმა გამოთქვა მოსაზრება, რომ თუკი წასვლას მოინდომებთ, კლუბი თქვენს შენარჩუნებას ნამდვილად ვერ შეძლებს.**

- საფეხბურთო ცხოვრებაში ძალიან ძნელია ყველაფერი წინასწარ განსაზღვრო. გულწრფელად მხოლოდ ის შემიძლია განვაცხადო, რომ ახლა "ვესტ ბრომვიჩში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ. აქედან წასვლა ჩემი თვითმიზანი არ არის. თუმცა ვერც იმას უარვყოფთ, რომ ტრანსფერები ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. ამ გუნდმა დიდებული შანსი მომცა, მე ვსარგებლობ ამით, ვთამაშობ და გამაქვს გოლები, ასე რომ, არც სამომავლოდ იქნება პრობლემა, თუკი კარიერას აქვე განვაგრძობ.

**- 2014 წელს 33 წლის იქნებით. ნუთუ არ ოცნებობთ, რომ ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზოთ?**

- ძალიანაც მინდა. თანაც არა ერთი და ორი შემთხვევაა, როცა ფეხბურთელები მაღალ დონეზე ასპარეზობას 35-36 წლამდე ახერხებენ. ჩემს ჯანმრთელობას ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევდი. მთელი კარიერა ვცდილობდი, რომ მხოლოდ ჯანსაღად მეკვება, არც აღდგენითი პროცედურები დამკლებია. ვფიქრობ, როგორც მინიმუმ, წინ რამდენიმე სეზონი მელის მაღალ დონეზე. ასე რომ, ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა მშვენიერი იქნებოდა.



პიტერ ოდემვინგიე

● ამბები

## მამლებს დონბასზე უმასპინძლებენ

რამდენიმე დღის წინ "შახტარის" გენერალური მენეჯერი **სერგეი პალკინი** ჟურნალისტებს უმტკიცებდა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა იმის შესახებ, სად უნდა ემასპინძლა უკრაინის ნაკრებს საფრანგეთისთვის. არადა, ხმები დადიოდა, რომ ფედერაციას საამისოდ "შახტარის" სტადიონი ჰქონდა არჩეული. რამდენიმე დღეში ყველაფერი გაირკვა. უკრაინული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ 2011 წლის 6 ივნისს "მამლებს" დონეცკის "დონბას არენაზე" უმასპინძლებენ. შეხვედრა კიევის დროით 22:00 დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ შეხვედრამდე ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძელი ნაკრები 1-ელ ივნისს კიევში უზბეკეთის გუნდსაც უმასპინძლებს. მატჩი **ვალერი ლობანოვსკის** სახელობის სტადიონზე საღამოს 21:00-ზე დაიწყება.

## ლუი დრეიფუსზე სისე დაიჭირეს

მარსელის "ოლიმპიკის" ხელმძღვანელობამ გამოთქვა იმედი, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათი მთავარი მწვრთნელის, 43 წლის **დიდიე დეშამის** სამსახურით რამდენიმე ევროგრანდია დაინტერესებული, სპეციალისტი გუნდის ერთგული დარჩება და "ველოდრომზე" დაწყებულ საქმეს კიდევ რამდენიმე წელიწადი უერთგულებს. მიუხედავად იმისა, რომ კლუბში დარჩენის სურვილი თავად დეშამმაც დაადასტურა, იტალიური პრესა არ ნებდება და დაჟინებით ამტკიცებს, რომ მისი გადაბირება მომავალი სეზონისთვის ტურინის "იუვენტუსს" სურს. სწორედ ასეთი ჟურნალისტების გასაგონად შეაქო მარსელელთა ბოსმა **ჟან-კლოდ დასიემ** დეშამი და მას მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი უწოდა.

სულ ორიოდე დღის წინ ფრანგულმა პოლიციამ დაიჭირა ადამიანი, რომელიც "ოლიმპიკის" ბაზის შიდა ტერიტორიაზე კურიოზულ ვითარებაში მოხვდა. ყოველივეს "ფრანს პრესი" მოგვითხრობს:

ამ ადამიანმა **რობერ ლუი დრეიფუსის** სახელობის ბაზას ძვირადღირებული ჯიპით მიაკითხა, დაცვის სამსახურს განუცხადა, რომ გუნდის ფეხბურთელი იყო და გასახდელიდან თავისი ფორმის წაღება სურდა. საკვირველია, მაგრამ ის ვერ იცნეს და დაუბრკოლებლად შეუშვეს ტერიტორიაზე. მან შეაღწია გასახდელში და ჩემოდანი ფორმებით გაავსო. დაცვის სხვა თანამშრომლებს მისი ფუსფუსი საეჭვოდ მოეჩვენათ და საბუთების წარდგენა სთხოვეს. 26 წლის ბოროტმოქმედმა, რასაკვირველია, ვერაფერი წარუდგინა. ის უმალ დააკავეს და პოლიციას გამოუძახეს. აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანი ადრეც იყო შემჩნეული სხვადასხვა სახის დარღვევებში და შესაბამისად, მისი თითის ანაბეჭდები უკვე ინახებოდა სამართალდამცავთა კარტოთეკაში. მისი ვინაობა უპრობლემოდ დადგინდა - ის **ბაკარი სისე** აღმოჩნდა.

პოლიციამ ექვმიტანილი მაშინვე გადაიყვანა წინასწარი დაკავების საკანში და რამდენიმე საათში ძარცვის მცდელობის ბრალდებაც წაუყენა. ბაკარი სისეს წინ სასამართლო პროცესი ელის.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. კლაუსურა. X ტური




ტიგრე დენის სტრაკვალურსის ჰეთ თრიკს ხარობს

# სტრაკვალურსისა და სტატუს კვოს ტური

## პირველი ჰეთ თრიკი, მოგება, წაგება

**კილმესი-ნიუელსი 3:1**

**გოლები:** 1:0 რომეო (22), 1:1 სპერდუტი (26), 2:1 კაუტერუსიო (61), 3:1 რომეო (85)

**სან ლორენსო-ლანუსი 1:1**

**გოლები:** 1:0 მენსეგესი (52), 1:1 გოლტცი (68)

**რასინგი-ინდეპენდიენტე 2:0**

**გოლები:** 1:0 აუჩე (43), 2:0 გუტიერესი (86)
**გაძევება:** ლიხტი (90. რასინგი)

**ოლ ბოისი-ურაკანი 3:1**

**გოლები:** 1:0 ფაბიანი (12), 2:0 ფაბიანი (19), 2:1 კამპორა (21), 3:1 გილიოტი (51-პენ)

**გოდოი კრუსი-არხენტინოსი 1:0**

**გოლი:** 1:0 ვილიარი (2)

**ოლიმპო-ესტუდიანტესი 2:2**

**გოლები:** 1:0 გალვანი (30), 1:1 მოსეტი (55 ს.კ.), 1:2 ფერნანდესი (59), 2:2 ბარეირო (63)

**ბოკა-ტიგრე 3:3**

**გოლები:** 0:1 სტრაკვალურსი (21), 0:2 სტრაკვალურსი (35), 1:2 კოლასო (42), 2:2 რიკელმე (45), 2:3 სტრაკვალურსი (69), 3:3 როდრიგესი (77)

**კოლონი-ველესი 1:1**

**გოლები:** 1:0 მორენო ი ფანიანესი (65), 1:1 საპატა (90)

**ბანფილდი-არსენალი 1:0**

**გოლი:** 1:0 ფერეირა (63)

**ხიმნასია-რივერი 0:0**

**თქვენ წინაშეა არგენტინის ჩემპიონატის მე-10 ტურის მიმოხილვა. ამ ტურში ლიდერთა ჯგუფში ცვლილებები არ მომხდარა, თუმცა კი ბევრი საინტერესო მატჩის მომსწრენი გავხდით.**

### ტურის მოვლენები

არგენტინულ ფეხბურთში „ისტორიული" მოვლენა მოხდა - „კილმესმა" პირველად მოიგო კლაუსურაზე. „ნიუელს ოლდ ბოისთან" მატჩი იყო სუსტისა და კიდევ უფრო სუსტის შერკინება. როგორც ხედავთ, „ნიუელსს" არ უშველა **რობერტო სენსინის** გადადგომამ, უშველის თუ არა **ლეო მესის** მშობლიურ კლუბს **ხავიერ ტორენტის** დანიშვნა, მომავალი ტურები გვიჩვენებს.

სხვათა შორის, **მარსელო ბიელსას** ყოფილი ასისტენტი მართლაც საჭირო დროს მიდის „ნიუელსში". გუნდს ნამდვილად აქვს უკეთ ათამაშების რესურსი, თუკი სეზონის შემდეგ ფეხბურთელები არ გაყიდეს. უპირველესად კი 25 წლის ფორვარდი **მაურისიო სპერდუტია** შესანარჩუნებელი. ამ სეზონში ტორენტისგან არავინ მოითხოვს ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას, შესაბამისად, მას დრო საკმარისად აქვს. შეუძლია ექსპერიმენტები ატაროს და გუნდი მომავალი სეზონისთვის მოამზადოს. შემდეგ კი ზამთრის სატრანსფერო სეზონიც (არგენტინაში ივნის-აგვისტოში ზამთარია) მოვა...

როგორც იქნა - ჩემპიონატში შესრულდა პირველი ჰეთ თრიკი! და ეს „ბოკა ხუნიორსის" წინააღმდეგ, „ბომბონერაზე" მოხდა. ბრავო, **დენის სტრაკვალურსი**!

„აველიანედური კლასიკოც" ვიხილეთ, რომელშიც „რასინგმა" დამაჯერებლად დაამარცხა „ინდეპენდიენტე" - 2:0. რომ არა ოთხმატჩიანი ჩავარდნა, როცა „აკადემია" ვერაფრით ახერხებდა მოგებას, „რასინგი" ახლა ცხრილის შუაში კი არ იქნებოდა, არამედ კლაუსურას ერთპიროვნულად ულიდერებდა.

პირველად წააგო სეზონში „არხენტინოს ხუნიორსმა". „ხოჭოებმა" სტუმრად მატჩის მე-2 წუთზევე გაუშვეს სტუმრად „გოდოი კრუსთან" და საპასუხო გოლის გატანა ვერაფრით შეძლეს. თუმცა ახლა მათთვის ხომ მთავარი „ლიბერტადორესის" მატჩია ფლუმინენსეს წინააღმდეგ.

აგვისტოს შემდეგ, როგორც იქნა, გაიტანა **კრისტიან ფაბიანიმ**. „ოლ ბოისის" 27 წლის გოლიათმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა „ურაკანის" კარში. სხვათა შორის, შარშანდელი აგვისტოს წინ, მისი „შრალი სერია" წელიწად-ნახევარი გრძელდებოდა - 2009-ში მას „რივერის" მწვრთნელები არ ენდობოდნენ, კლუბის გამოცვლამაც საქმეს არ უშველა, რადგან თავად „ოგროსაც" არა აქვს ოქროს ხასიათი.

### ტურის ციფრები

შედეგიანობა კარგი იყო - 26 გოლი 10 მატჩში (საშუალოდ 2,6 გოლი), 17:9 მასპინძელთა სასარგებლოდ. პირველ ჰეთ თრიკზე უკვე ვთქვით, მისი ავტორი „ტიგრეს" 23 წლის ფორვარდი დენის სტრაკვალურსია, რომელსაც აპერტურასა და კლაუსურაში ერთად 20 გოლი დაუგროვდა. ტურში დუბლებით გამოირჩნენ: კრისტიან ფაბიანი (ოლ ბოისი) და **ბერნარდო რომეო** (კილმესი). „ტიგრე", „ოლ ბოისი" და „კილმესი" - ვერაფერს იტყვი, შესანიშნავი კომპანიაა. მართალია, მათი კლუბები აშკარად სუსტები არიან, თუმცა სამივე თავგამოჩენილი ფორვარდი კარგად ცნობილია არგენტინული ფეხბურთის მოყვარულთა შორის, ხოლო რომეო ევროპულისაც, რადგან მან „ჰამბურგში" სამი სეზონი გაატარა და ჯამში 35 გოლი გაიტანა, შემდეგ კი „მალიორკასა" და „ოსასუნაში" ითამაშა. გახსოვთ ეს 33 წლის ფორვარდი?

### ტურის ტენდენცია

ჩემპიონატის ლიდერებს ფრეთა „სინდრომი" დაერია - მე-9 ტურის შემდეგ პირველ ექვსეულში მყოფმა გუნდებმა ვერ მოიგეს, მაგრამ არც წააგეს. მოკლედ, „რივერის" წაფორხილებით ვერავინ ისარგებლა.

### ტურის მატჩი

აველიანედური კლასიკო, მხოლოდ იმიტომ, რომ „რასინგმა" ბრწყინვალედ ითამაშა. არც „ინდეპენდიენტეს" დავუკარგოთ გარჯა, „წითლებს" კარგად არ უთამაშიათ, თუმცა მათ ბოლომდე იბრძოლეს, მატჩს ინტრიგა ბოლომდე გაჰყვა.

### ტურის გმირი

**დენის სტრაკვალურსი (ტიგრე)**

14 წლის წინათ **გილერმო ბაროს სკელოტომ** შეასრულა ჰეთ თრიკი. მას შემდეგ ასეთი გმირობა „ბომბონერაზე" არავის ჩაუდენია, არც გულშემატკივართა საყვარელ ფორვარდ **მარტინ პალერმოს**. და აი, კვირას სკელოტოს მიღწევა სტრაკვალურსიმ გაიმეორა, „ტიგრეს" ფეხბურთელმა „ბოკას" სტადიონზე!

### ტურის ანტიგმირი

**რიკარდო გარეკა („ველესის" თავკაცი)**

ნამდვილი მაზოხისტია ეს **გარეკა**! თითქოს, ჭკვიანი მწვრთნელია, მაგრამ იცოდეთ, თუ „ველესი" კვლავ ვერ გახდება ჩემპიონი, გარეკას ბრალი იქნება: შესანიშნავად მოთამაშე **ხუან მარტინესის** ნაცვლად ისევ **დავიდ რამირესი** ათამაშა.

### ტურის ტრავმა

და ისევ **რიკელმე** - რომანმა „ტიგრეს" წინააღმდეგ კარგად ითამაშა, გოლიც გაიტანა, მაგრამ, თურმე, ბოლოს ტრავმირებული ასრულებდა თამაშს. რიკელმეს მუცლის კუნთი აქვს გაწყვეტილი. ერთ ტურს „ბოკას" ლიდერი აუცილებლად გამოტოვებს, კარგი იქნება, თუკი მე-12 ტურისთვის, „ინდეპენდიენტესთან" მატჩისთვის გამოჯანმრთელდება.

### ტურის გოლები

**გაბრიელ აუჩე** (რასინგი) „ინდეპენდიენტეს" კარში.

**კლემენტე როდრიგესი** (ბოკა) „ტიგრეს" კარში.

**გასტონ ფერნანდესი** (ესტუდიანტესი) „ოლიმპოს" კარში.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რივერი | 10 | 5 | 4 | 1 | 9-4 | 19 |
| 2. ველესი | 9 | 5 | 3 | 1 | 15-8 | 18 |
| 3. ოლიმპო | 10 | 5 | 2 | 3 | 19-14 | 17 |
| 4. ესტუდიანტესი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-7 | 17 |
| 5. გოდოი კრუსი | 10 | 5 | 2 | 3 | 18-15 | 17 |
| 6. რასინგი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-12 | 16 |
| 7. სან ლორენსო | 9 | 4 | 3 | 2 | 11-6 | 15 |
| 8. ლანუსი | 10 | 4 | 3 | 3 | 14-10 | 15 |
| 9. არხენტინოსი | 10 | 3 | 6 | 1 | 8-4 | 15 |
| 10. ბანფილდი | 10 | 4 | 3 | 3 | 11-11 | 15 |
| 11. კოლონი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-15 | 14 |
| 12. ინდეპენდ. | 10 | 3 | 4 | 3 | 13-11 | 13 |
| 13. ტიგრე | 10 | 3 | 3 | 4 | 12-14 | 12 |
| 14. ურაკანი | 10 | 2 | 5 | 3 | 13-16 | 11 |
| 15. ბოკა | 10 | 3 | 2 | 5 | 8-14 | 11 |
| 16. ოლ ბოისი | 10 | 3 | 2 | 5 | 6-12 | 11 |
| 17. არსენალი | 10 | 2 | 4 | 4 | 12-14 | 10 |
| 18. ხიმნასია | 10 | 2 | 4 | 4 | 9-13 | 10 |
| 19. კილმესი | 10 | 1 | 3 | 6 | 9-14 | 6 |
| 20. ნიუელსი | 10 | 1 | 2 | 7 | 10-22 | 5 |

**ბომბარდირები:** 9 - სტრაკვალურსი (ტიგრე); 7 - კამპორა (ურაკანი); 6 - გუტიერესი (რასინგი); 5 - ნეირა (ხიმნასია), მაჯოლო (ოლიმპო), ფუერტესი (კოლონი), ვალერი (ლანუსი).

### გამოტოვებული მატჩი

**ველესი-სან ლორენსო** გვიან დასრულდა

### მომდევნო ტური

**23 აპრილი:** ნიუელსი-ბანფილდი, ველესი-კილმესი, ესტუდიანტესი-კოლონი, ინდეპენდიენტე-ოლ ბოისი, რივერი-გოდოი კრუსი

**24 აპრილი:** არსენალი-ხიმნასია, ტიგრე-სან ლორენსო, ურაკანი-ბოკა, არხენტინოსი-რასინგი.

**25 აპრილი:** ლანუსი-ოლიმპო.

● გარიგება

# არაბებმა უცნობი ესპანური კლუბი შეიძინეს

## ...სავარაუდოდ, ხეტაფე



დუბაის კონსორციუმმა The Royal Emirates Group-მა ესპანური პრიმერას ერთ-ერთი კლუბი შეიძინა, რომლის სახელსაც კონსორციუმი ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს. არაბთა მტკიცებით, ყველაფერს ოფიციალურად კვირის ბოლოსკენ იტყვიან, როცა „კლასიკოს" ვნებათაღელვა ოდნავ გადაივლის. კონსორციუმმა მხოლოდ ის განაცხადა, რომ კლუბის შეძენა 62,7 მილიონი ევრო (90 მილიონი დოლარი) დაუჯდათ, გაცილებით ნაკლები, ვიდრე მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი **კრიშტიანო რონალდო** (94 მილიონი ევრო) - „რეალს". კონსორციუმის მტკიცებით, ამ კლუბს ვალები არა აქვს.

ოფიციალურ განცხადებას დღეს ან ხვალ ველით, მაგრამ კონსორციუმის ხელმძღვანელმა **შეიხ ბუტი ბინ სუჰაილ ალ მაკტუმმა** განაცხადა, რომ კლუბი უკვე ნაყიდია: *„ჩვენ გვსურს მსოფლიოს დავუმტკიცოთ, რომ ინვესტიციებს მხოლოდ გაერთიანებულ საამიროებში არ ვდებთ, ჩვენ გაცილებით დიდი შესაძლებლობები გვაქვს და გავდივართ საზღვარგარეთ. ჩვენ ვზრუნავთ სპორტზე მთელ მსოფლიოში. ვადასტურებთ, რომ შეთანხმება მიღწეულია, კონსორციუმი იყიდის ესპანურ კლუბს".*

სანამ ეს განცხადება გაკეთდებოდა, ხმები არაბთა მიერ ესპანური კლუბის ყიდვაზე უკვე ვრცელდებოდა ესპანურ მედიაში, მაშინ ითქვა, რომ ლა ლიგის კლუბს, როგორც კი შეიძენენ, არაბები სახელს გადაარქმევენ და „თიმ დუბაის" უწოდებენ, თუმცა კონსორციუმის წარმომადგენელმა ეს ხმები უარყო.

როგორ ფიქრობთ, როცა აცხადებენ, რომ ერთ-ერთი კლუბი უკვე გაიყიდა, ესპანურ მედიას გამოაპარებენ, რომელ გუნდზეა საუბარი? თუმცა „მარკა", „დიარიო ასი" და სხვებიც გვარიანად დაიბნენ - ჯერ კიდევ თებერვალში იყო საუბარი, რომ არაბები „სარაგოსას" ყიდულობდნენ, მაგრამ არაგონული კლუბი ვალებში იხრჩობა (შესაბამისად, არაბთა განმარტებას არ შეეფერება) და თან მათმა წარმომადგენლებმა კატეგორიულად უარყვეს ეს ცნობა. ამის შემდეგ ყველა „ხეტაფეს" მიადგა. მოულოდნელად გაჩნდა ინტერნეტში ახალი დომენიც getafeamdubai.com.

მაგრამ „ხეტაფეს" ბოსი **ანხელ ტორესი** „მარკას" კატეგორიულად უცხადებს, რომ კლუბი არავისთვის მიუყიდია. თუმცა ფაქტია, რომ ამას წინათ ანხელ ტორესი გუნდის კაპიტან **მანუ დელ მორალთან** ერთად დუბაიში იმყოფებოდა, თუმცა ტორესი ამტკიცებს, რომ იქ გუნდის იმიჯის განმტკიცებისთვის, სპონსორების პოვნისთვის და სტადიონისთვის ახალი სახელის დარქმევის წინადადებით იყო.

თუკი ეს ყველაფერი დადასტურდება, ალ მაკტუმი ესპანური პრიმერას კლუბების მესამე აზიელი მფლობელი გახდება - ყატარელ მილიარდელ **აბდულა ბინ ნასერ ალ-ტანის** „მალაგა" სულ რაღაც 25 მილიონი ევრო დაუჯდა, ინდოელმა **აჰსან ალი სიედმა** კი „რასინგი" 30-40 მილიონ ევროდ შეიძინა.

● ამბები



ფრანსისკო კატალანი

# ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს

ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის (LFP) პირველ ვიცე-პრეზიდენტად „ლევანტეს" პრეზიდენტი **ფრანსისკო კატალან ვენა** აირჩიეს. ისე, აირჩიეს ხმამაღლა დაწერილი გამოგვივიდა - ვალენსიური კლუბის ბოსი ამ თანამდებობაზე ერთადერთი კანდიდატი იყო. სხვათა შორის, მისი კანდიდატურის წინააღმდეგ ლფპ-ს ერთ წევრსაც არ მიუცია ხმა.

# სააღდგომო ფასდაკლება

„მალიორკას" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, „იბეროსტარზე" ცუდ დასწრებას ბილეთების გაიაფებით უშველოს - კვირას ბალეარელები „ხეტაფეს" მასპინძლობენ და, ბუნებრივია, ეს დაპირისპირება მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იწვევს. კლუბი სააღდგომო ფასდაკლებას სთავაზობს გულშემატკივრებს, ის, ვინც „მალიორკას" ფანკლუბის წევრია, ამ შეხვედრაში 3-5 ევროს გადაიხდის, როცა სხვებისთვის ისევ ძველი ფასებია ძალაში (20-50 ევრო).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



● დორტმუნდის ბორუსია



დორტმუნდელები, მარიო გიოტცე, კევინ გროსკროიტცი და რობერტ ლევანდოვსკი

# მომავლის ბორუსიას კონტურები

## ეს გუნდი ევროპაში ვერ გაფრინდება, გაძლიერებაზე ზრუნვა უკვე დაწყებულია

**დორტმუნდის „ბორუსიას“ გერმანიის ჩემპიონობას უკვე ველარავინ წაართმევს. მართალია, პირველობა ოფიციალურად ჯერ არ გაუფორმებიათ, მაგრამ „შავ-ყვითლებს“ „ვერცხლის სინამდე“ ერთი ნაბიჯილა აშორებთ. ამასთან, ამთავითვე ნათელია, რომ BVB-ს ქომაგებს ძალიან ცხელი ზაფხული ელით. რაკი „დორტმუნდი“ მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და ერთადროულად სამ ფრონტზე მოუწევს ბრძოლა, ფაქტია, რომ ხელმძღვანელებმა შემადგენლობა უნდა გააძლიერონ. მოდით, ერთად გავაანალიზოთ, რა საკადრო ცვლილებები შეიძლება მოხდეს გერმანიის მომავალ ჩემპიონში და რომელი ფეხბურთელები არიან „ბორუსიაში“ გადასვლის თუ გუნდიდან წასვლის კანდიდატები.**

„ფრაიბურგთან“ მოგებული მატჩის (3:0) შემდეგ, „დორტმუნდის“ თავკაცმა **იურგენ კლოპმა** **ნური შაჰინის** ტრავმას (თურქი ნახევარმცველი ამ სეზონში ველარ ითამაშებს) კატასტროფა უწოდა. ვესტფალიური გრანდისთვის მთავარი ლიდერის დაშავება მართლაც კატასტროფაა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ ეს ახლა, სეზონის მიწურულს მოხდა - მაშინ, როცა უკვე ცხადია, რომ შაჰინის არყოფნა „ბორუსიას“ ბევრს ვერაფერს დააკლებს. **კლოპი** ყველაზე უკეთ უწყის, რომ 22 წლის ნახევარმცველის სერიოზული ტრავმა მისი გუნდისთვის სერიოზული კატასტროფა არ არის, რადგან „ბორუსია“ უახლოეს მდევარ „ლევერკუზენს“ 8 ქულით უსწრებს, ფინიშამდე კი მხოლოდ ოთხი ტურია დარჩენილი და საკმარისია, მომავალ უქმეებზე BVB-მ „ლევერკუზენზე“ ორით მეტი ქულა აილოს, რომ იურგენს და მის შეგირდებს გერმანიის ჩემპიონობა განაღდებული ექნებათ.

### შაჰინს გიუნდოგანი შეცვლის

არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ შაჰინი „ბორუსიას“ ფორმით არა მარტო ამ სეზონში, არამედ საერთოდ ალარ ითამაშებს. სპეკულაციების თანახმად, თურქი ნახევარმცველი ზაფხულში მადრიდის „რეალში“ გადავა, თანაც, სულ რალაც 6 მილიონ ევროდ. მართალია, შაჰინი გაცილებით ძვირი, დაახლოებით 20-25 მილიონი ღირს, მაგრამ მის კონტრაქტში ჩადებული ყოფილა პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ნურის 2011 წლის ზაფხულში დორტმუნდიდან წასვლა 6 მილიონად შეუძლია და როგორც ჩანს, „რეალს“ სწორედ ამ პუნქტის გამოყენება და შაჰინის „სამეფო გუნდის“ დიდებული ანტურაჟით მოხიბვლა სურს.

თუ ეს ტრანსფერი განხორციელდება, „ბორუსიას“ სასწრაფოდ დასჭირდება შაჰინის შემცვლელი - მეორე, კრეატიული საყრდენი ნახევარმცველი, რომელმაც მომავალ სეზონში **სვენ ბენდერის** გვერდით უნდა ითამაშოს. კლოპს ჰყავს გამოცდილი **სებასტიან კელი**, რომელიც გუნდის კაპიტანიცაა და უნდოდა, დარჩენილ ოთხ მატჩში ბენდერის გვერდით სწორედ კელი გამოეცადა, მაგრამ ეს უკანასკნელი ხომ ძალიან ხშირად ილებს ტრავმებს და აი, ახალი გამოჯანმრთელებული იყო, მაგრამ მაინც დაშავდა და ეს სეზონი კელისთვისაც დამთავრებულია. ზოგადად კი ფაქტია, რომ კლოპი კელის იმედად, მით უმეტეს, ჩემპიონთა ლიგაში, ნამდვილად ვერ იქნება.

### მზადება ჩემპიონთა ლიგისთვის

ორი აზრი არ არსებობს: „ბორუსია“ დღესდღეობით საუკეთესო გერმანული კლუბია, რასაც „შავ-ყვითლები“ მთელი სეზონის განმავლობაში უნაკლოდ ამტკიცებდნენ, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ „დორტმუნდის“ შემადგენლობა ევროსარბიელისთვის ნაღდად არაა საკმარისად ძლიერი და მით უმეტეს, ვერ გასწვდება ერთდროულად სამ ფრონტზე (ბუნდესლიგა, გერმანიის თასი, ჩემპიონთა ლიგა) ბრძოლას. თუ „დორტმუნდის“ შემადგენლობას გადავხედავთ, იოლად შევამჩნევთ, რომ კლოპის განკარგულებაში მხოლოდ 15 საერთაშორისო კლასის ფეხბურთელია, რაც მომავალი სეზონისთვის ძალიან ცოტაა. ფაქტია, რომ დორტმუნდელები ტრავმების ან დისკვალიფიკაციების კომპენსირებას ვერ მოახერხებენ, ამ სეზონში კი ამ მხრივ მაქსიმალურად უმართლებდათ.

სატრანსფერო პოლიტიკასა და მომავალი სეზონისთვის მზადებაში ფრთხილად ყოფნის თვალსაზრისით, „ბორუსიასთვის“ საუკეთესო მაგალითი ბრემენის „ვერდერი“ უნდა იყოს. „მუსიკოსები“ ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდნენ და რაკი წინა ზაფხულში ტრანსფერებში ფულის დახარჯვაზე უარი თქვეს (თან **მესუთ იოზილიც** დაკარგეს), მთელი სეზონი ჩაუვარდათ. „ვერდერი“ დიდხანს იყო გასავარდნი ზონის სიახლოვეს და პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება 100 პროცენტით გარანტირებული არც 30-ე ტურის შემდეგ აქვს.

### დორტმუნდელებს ახალი ფეხბურთელები თითქმის ყველა პოზიციაზე სჭირდებათ

თუ შემადგენლობას და ფეხბურთელების შესაძლებლობებს კარგად გავაანალიზებთ და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დორტმუნდელებს რეგრესი არ სურთ, დავასკვნით, რომ BVB-ს მინიმუმ ხუთი ახალი ფეხბურთელი სჭირდება და თანაც, ყველა პოზიციაზე. პირველი ამოცანა კი მაინც ნური შაჰინის შემცვლელის ყიდვაა, რომელსაც დორტმუნდელებმა უკვე მიაგნეს: ტრანსფერი ოფიციალურად ჯერ არ დადასტურებულა, მაგრამ ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „ბორუსია“ „ნიურნბერგიდან“ უალრესად პერსპექტიულ ცენტრალურ ნახევარმცველს, **ილქაი გიუნდოგანს** ექვს მილიონად შეიძენს. ეს უკანასკნელი უფრო შემქმნელია, ვიდრე ჩამშლელი და დიდი შანსია, რომ შაჰინი იდეალურად შეცვალოს.

დაცვაში, „ბორუსიას“ მთავარი საზრუნავი ბრაზილიელი მარცხენა მცველის, 33 წლის **დედეს** შემცვლელის პოვნაა. გამოცდილი მარცხენაფლანგელი BVB-ს 13-წლიანი ერთგულების შემდეგ ტოვებს. შედეგად, კლოპს გუნდში მხოლოდ ერთი მარცხენა მცველი რჩება: 23 წლის **მარსელ შმელცერი**, რომელიც მართალია, ძალიან კარგად თამაშობს, მუდმივად ძირითად შემადგენლობაშია და უკვე გერმანიის ნაკრებშიც იწვევენ, მაგრამ საკმარისია დაშავდეს ან დისკვალიფიკაცია მიიღოს, რომ „ბორუსიას“ დაცვის მარცხენა ფრთაზე სერიოზული პრობლემა შეექმნება. კლოპისთვის იდეალური იქნებოდა ისეთი მარცხენა მცველის პოვნა, რომელიც სათადარიგოთა სკამზე დაჯდომას არ ითაკილებდა, საჭიროების შემთხვევაში მალალ დონეზე ითამაშებდა და თანაც, ცენტრალური მცველის ფუნქციების შესრულებაც შეეძლებოდა, რადგან დორტმუნდელებს ამ დროისთვის მხოლოდ სამი ისეთი ცენტრალური მცველი ჰყავთ, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის სტანდარტებს შეეფერებიან: **მატს ჰუმელსი, ნევენ სუბოტიჩი** და **ფელიპე სანტანა**. ეს კი ნამდვილად არ არის საკმარისი, რაც ამ სეზონში მიუნხენის „ბაიერნის“ მაგალითზეც დამტკიცდა...

### პერისიჩი გზაშია! როისიც...

დორტმუნდელებს ყველაზე მეტად ნახევარდაცვის წინა, შემტევ ხაზში ულხინთ, მაგრამ არც ამ პოზიციაზე არიან 100 პროცენტით კარგად დაკომპლექტებულები. დავიწყოთ იმით, რომ კლოპი 4-2-3-1 ტაქტიკური სქემით თამაშობს. მართალია, **მარიო გიოტცე, შინჯი კაგავა** და **კევინ გროსკროიტცი** ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველთვის მაღალ დონეზე ვერ ითამაშებენ და ჩავარდნებიც ექნებათ. მათ გარდა, კლოპს შემტევი ნახევარმცველების სამეულისთვის **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი, მოჰამედ ზიდანი** და **ტამაშ ჰაინალიც** ჰყავს, რომელიც იანვრიდან „შტუტგარტშია“ განათხოვრებული, მაგრამ ზაფხულში ისევ „ბორუსიაში“ დაბრუნდება. ბლაშჩიკოვსკი ძალიან საჭირო და საიმედო ფეხბურთელია, რომელიც კლოპს არასდროს არცხვენს ხოლმე, აი, **ზიდანი** და მით უმეტეს **ჰაინალი** კი, ჩემპიონთა ლიგის კლასის მოთამაშეები ნაღდად არ არიან. საკადრო გაჭირვების დროს, იურგენი გამთამაშებლის პოზიციაზე **რობერტ ლევანდოვსკისაც** ათამაშებს ხოლმე, მაგრამ ეს უკანასკნელი პირველ რიგში თავდამსხმელია და მომდევნო სეზონში, იურგენს ის ფორვარდის რანგში უფრო სჭირდება.

ამიტომაცაა, რომ დორტმუნდელებმა მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ უნიჭიერეს გარემარბს, 21 წლის **მარკო როისს** დაუმიზნეს. „გლადბახი“ ალბათ გავარდება, როისს კი მეორე ბუნდესლიგისთვის არავინ გაიმეტებს და ფაქტია, რომ დორტმუნდში გადასვლა და ჩემპიონთა ლიგაში თამაში თვითონ ფეხბურთელსაც ძალიან უნდა უნდოდეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დორტმუნდელები მზად არიან, „გლადბახს“ ამ ფეხბურთელში 8 მილიონი ევრო გადაუხადონ და არც „გლადბახია“ უარზე. უბრალოდ, სანამ არ გაირკვევა, რომ მეორე ბუნდესლიგაში ვარდება, ტრანსფერი ოფიციალურად არ დასტურდება. თანაც, როისი დაბადებით დორტმუნდელია და ბავშვობაში სწორედ BVB-ს ღირსებას იცავდა. დორტმუნდელები უკვე შეუთანხმდნენ „ბრიუგეს“ 22 წლის ნახევარმცველ **ივან პერისიჩს**, რომელსაც შუა ხაზში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში და რომელიც 6 მილიონი ევრო ღირს.

### მართლა კლოზე, თუ ვინმე სხვა?

თავდასხმაში კლოპს მხოლოდ ორი მაღალი კლასის ცენტრფორვარდი ჰყავს: **ლუკას ბარიოსი** და ზემოთ ხსენებული ლევანდოვსკი და მართალია, უმეტესად ერთი თავდამსხმელით თამაშობს ხოლმე, მაგრამ მაინც: მესამეც სჭირდება. იყო საუბრები **მიროსლავ კლოზეზე**, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი დაკონკრეტებულა. არადა, 32 წლის კლოზე გამოცდილი, თანაც ჯერ კიდევ გერმანიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, რომელიც „დორტმუნდს“ ძალიან გამოადგებოდა.

რაც ყველაზე მთავარია, ახალი ფეხბურთელები „ბორუსიას“ არა მარტო ფინანსურად, არამედ მენტალურადაც უნდა მიესადაგებოდნენ და ოპტიმალურად უნდა ჩაჯდნენ იმ კრეატიულ, ფუნქციურ და ერთ მუშტად შეკრულ კოლექტივში, რომელსაც იურგენ კლოპის ფორმაციის BVB ჰქვია.

● შალკე

# მანუელის ცრემლიანი აუფ ვიდერზეენ

## უკვე ოფიციალურად: ნოიერი შალკედან მიდის! სად? სავარაუდოდ, ბაიერნში...



ნოიერმა პრესკონფერენციაზე ცრემლები ვერ შეიკავა

გუშინ, „შალკესა“ და გერმანიის ნაკრების 25 წლის მეკარემ, **მანუელ ნოიერმა** სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, იტირა და მთელი გელზენკირხენი აატირა. მან ოფიციალურად დაადასტურა ის, რაც აქამდეც ნათელი იყო: მანუელი „შალკესთან“ ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გელზენკირხენული კლუბი იძულებული ხდება, ბუნდესმეკარე ზაფხულში გაყიდოს.

ნოიერმა სახელდახელო პრესკონფერენცია გუნდის მთავარ მწვრთნელ **რალფ რანგნიკთან** და მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტთან** ერთად მიიწვია და შეეცადა, ქომაგებისთვის აეხსნა, რატომ გადაწყვიტა გელზენკირხენიდან წასვლა. აშკარაა, რომ გუშინდელი დღე მის კარიერაში ყველაზე ემოციური იყო - საუბრისას, დაბადებით გელზენკირხენელი ნოიერი დიდხანს ებრძოდა ცრემლებს, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა და ატირდა. მისი ცრემლები არავის გაჰკვირვებია, რადგან მანუელი ბავშვობიდან შალკელია...

მაგრამ სულ რალაც 5-6 კვირაში მისი შალკელობა წარსულს ჩაბარდება, რადგან გამორიცხულია, რომ „შალკემ“ ის კონტრაქტის ვადის ბოლომდე, ანუ, 2012 წლის ზაფხულამდე დაიტოვოს და მერე უფასოდ შეელიოს. გელზენკირხენელებს ფინანსურად საკმაოდ უჭირთ და ნოიერის ტრანსფერიდან ხეირის ნახვა აუცილებელია. შესაბამისად, ახლა ყველაზე საინტერესო უკვე ის არის, თუ სად გააგრძელებს კარიერას გერმანიის ნაკრების მეკარე და თითქმის გადაწყვეტილია, რომ მისი მომავალი ნავსაყუდელი მიუნხენის „ბაიერნი“ იქნება.

*„შალკეს“ ხელმძღვანელებს ამ უქმეებზე ვუთხარი, რომ ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ვაპირებდი. მენეჯერმა ჰორსტ ჰელდტმა კი მაცნობა, რომ „ბაიერნი“ დაინტერესებულია. გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, მაგრამ შანსი იმისა, რომ სწორედ მიუნხენში გადავიდე, არის,“* - განაცხადა ნოიერმა.

*„ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ იმისათვის, რომ მანუელი ახალ კონტრაქტზე დაგვეთანხმებინა... ყველანი დამწუხრებულები ვართ, მისი წასვლა ჩვენთვის დიდი დანაკლისია, მაგრამ ვალდებულები ვართ, რომ ნოიერის გადაწყვეტილება მივილოთ,“* - ეს კი რანგნიკის სიტყვებია.

წასვლამდე, მანუელს შეუძლია, „შალკესთან“ გერმანიის თასი (გელზენკირხენელები ფინალში არიან) და ჩემპიონთა ლიგა (ნახევარფინალში მანჩესტერს ხვდებიან) მოიგოს...

● მწვრთნელი



ლუის ვან გაალი შეიძლება, „სპარტაკში“ დაინიშნოს

# ლუის ვან გაალი?

## მიუნხენიდან გაგდებულ ჰოლანდიელს მოსკოვში ეპატიჟებიან

სანამ მიუნხენის „ბაიერნიდან“ გაათავისუფლებდნენ, 59 წლის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** თქვა, არსად დავიკარგებიო, მაგრამ მაინც გაათავისუფლეს და როგორც ჩანს, მართლაც არ დაიკარგება. ჰოლანდიური გაზეთი AD გუშინდელ ნომერში იტყობინებოდა, რომ ვან გაალით მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელები არიან დაინტერესებულები. მეტიც, ლუისი მათთვის სასურველ სპეციალისტთა შორის პირველ ადგილზე ყოფილა.

რუსეთის ჩემპიონატში აღებული სამარცხვინო სტარტის შემდეგ, 42 წლის **ვალერი კარპინმა** „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა, გენერალური დირექტორის თანამდებობაზე კი დარჩა და ახლა, „რუსეთის სახალხო გუნდის“ მფლობელ **ლეონიდ ფედუნთან** ერთად, **ჯანო ანანიძის** გუნდისთვის ახალ მწვრთნელს ეძებს.

ფაქტი ისაა, რომ „სპარტაკს“ ვან გაალისთვის მაღალი ხელფასის გადახდა შეუძლია. ჰოლანდიელი „ბაიერნში“, წელიწადში 5 მილიონ ევროს იღებდა და ფაქტია, რომ მოსკოველები უფრო მეტს შესთავაზებენ. „სპარტაკისთვის“ ფული პრობლემას არ წარმოადგენს - ფედუნი ხომ რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ოლიგარქია.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცი

● იტალიის თასი. 1/2 ფინალი

# დიდი ნაბიჯი ფინალისკენ

**რომა-ინტერი 0:1**

**რომა (4-3-1-2):** დონი - კასეტი (79. როზი), ჟუანი, ნ. ბურდისო, რიისე - პისარო, დე როსი, პეროტა (72. სიმპლისიო) - ტადეი - ვუჩინიჩი, ბორიელო (63. მენეზი).

**ინტერი (4-3-2-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, რანოკია, ნაგატომო - ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი (90. მარიგა) - სნეიდერი, პანდევი (82. ობი) - მილიტო (76. პაცინი).

**გოლი:** 0:1 სტანკოვიჩი (45).

მას შემდეგ, რაც „ინტერმა" სკუდეტოს მოპოვების შანსი დაკარგა და კიდევ უფრო ადრე ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდა, მილანური გრანდის მწვრთნელფეხბურთელებმა იტალიის თასის მოგება დაისახეს მიზნად. ეს არცთუ პრესტიჟული ტროფეი პრიორიტეტული გახდა „ინტერისტებისთვის" და შესაბამისად, რომშიც დიდი მოტივაციით ჩავიდნენ. დაახლოებით ანალოგიურ ვითარებაშია „ჯალოროსიც", გამოუსწორებელი ოპტიმისტების გარდა ალარავის სჯერა, რომ „რომა" ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს, ამიტომ, თუ რამე აქვთ დედაქალაქელებს საბრძოლველი, სწორედ თასი გახლავთ. მოკლედ, „სტადიო ოლიმპიკოზე" ერთობ პრინციპული მატჩი გაიმართა, რომლის შედეგსაც ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქვე ვთქვათ, რომ იტალიის თასის ნახევარფინალური ეტაპი ორი მატჩისგან შედგება და გუნდებს განმეორებითი შეხვედრა უკვე „ჯუზეპე მეაცაზე" ელით. რაც შეეხება პირველ პაექრობას, ქვემოთ ვრცლად ვისაუბროთ...

შეხვედრა დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა და მომენტებიც თითზე ჩამოსათვლელი შეიქმნა. პირველი ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც **დეიან სტანკოვიჩმა** მეტოქის კარის ბადე შეარხია, მაგრამ არბიტრმა სერბზე თამაშის წესის დარღვევა დააფიქსირა. დეიანმა თავისი გასატანი მაინც გაიტანა, მაგრამ იქამდე **მირკო ვუჩინიჩს** ჰქონდა ანგარიშის გახსნის შესანიშნავი შანსი. **მარკო ბორიელოს** ზუსტი გადაცემის შემდეგ, ჩერნოგორიელი ვალდებული იყო კარში გადაეგზავნა ბურთი, მაგრამ არაზუსტად დაარტყა და შემდეგ თავშიც შემოიერტყა ხელები. ერთადერთი გოლი კი პირველი ტაიმის უკანასკნელ წუთზე გავიდა, სტანკოვიჩმა საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი, უძლიერესად დაარტყა და **ალეშანდრე დონის** კარის ცხრიანი დალაშქრა, 0:1.

მეორე ტაიმში თამაშის სცენარი არ შეცვლილა - გუნდებმა რამდენიმე ნახევარმომენტი შექმნეს, თუმცა ანგარიში ალარ შეცვლილა. „ინტერი" რომ ნაკლებად აქტიური იყო ანტრაქტის შემდეგ, ანგარიშიდან გამომდინარე სრულიად გასაგებია, აი „ჯალოროსის" ინერტულ თამაშს კი ახსნა არ აქვს. თუმცა, შეიძლება ეს ყველაფერი **ფრანჩესკო ტოტის** არყოფნამ გამოიწვია, რომელმაც დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა პრინციპული პაექრობა. სამართლიანობა მოითხოვს ალინიშნოს, რომ დანაკლისი „ინტერსაც" ჰქონდა - ტრავმის გამო, რომში ჩასვლა გუნდის საუკეთესო შემტევმა, **სამუელ ეტოომ** ვერ მოახერხა. ასეა თუ ისე, „ინტერმა" გასვლითი გამარჯვება მოიპოვა და დიდი ნაბიჯი გადადგა იტალიის თასის ფინალში გასასვლელად, სადაც შესაძლოა თანაქალაქელ „მილანთან" მოუწიოს დაპირისპირებამ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი „პალერმოს" ბარიერს გადალახავს.

აქვე ვთქვათ, რომ იტალიის თასის გათამაშებას უკვე შვიდი წელია ისე არ ჩაუვლია, რომ „ინტერი" და „რომა" ერთმანეთს არ დაუპირისპირდნენ. გასულ წელს, ამ გუნდების ჯახი ფინალურ შეხვედრაში შედგა და მაშინ, გამარჯვება მილანურმა გრანდმა მოიპოვა. „ნერაძური" ამჯერადაც ახლოს არის წარმატებასთან, თუმცა გუნდის მთავარი მწვრთნელი ფრთხილ კომენტარს აკეთებს:

*„ეს ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც მეტოქისთვის პირველ რიგში ფსიქოლოგიურ ასპექტში უნდა გვეჯობნა. ჩვენი არ იყოს, არც „რომას" ულხინს და ამიტომ, ენთუზიაზმს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაქსიმალურად შევეცადე, რომ ფეხბურთელები მოტივირებული ყოფილიყვნენ და ეს გამომივიდა კიდეც. განსაკუთრებულად კარგად დეიან სტანკოვიჩმა და გორან პანდევმა ითამაშეს, პირველმა ფანტასტიკური გოლი გაიტანა, მეორე კი მთელი 80 წუთის განმავლობაში არ გაჩერებულა და დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა. ანგარიშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი რაუნდია დუელის და ამიტომ, მოდუნება არაფრისდიდებით არ შეიძლება. „რომას" ორი ბურთის სხვაობით არაერთხელ მოუგია „ჯუზეპე მეაცაზე" და კარგად ვიცით, რომ ამ გუნდს რთული მდგომარეობიდან შეუძლია გამოძრომა. ამიტომ, სრული კონცენტრაცია გვმართებს, რომ მოპოვებული უპირატესობა თუ არ გავზრდით, შევინარჩუნოთ მაინც".*

აი ასეთი ფრთხილი კომენტარი გააკეთა **ლეონარდომ**, რამაც გულშემატკივართა ნაწილში საკმაოდ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ბრაზილიელმა მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებაზე გაამახვილა ყურადღება, არადა, მილანელებს განმეორებითი პაექრობა საკუთარ მოედანზე უწევთ. **ხავიერ ძანეტის** თქმით, ამ გამარჯვებით ღირსეული პასუხი გასცეს ყველა იმ კრიტიკოსს, რომლებსაც „ინტერი" და ლეონარდო ამოჩემებული ჰყავს. არგენტინელის თქმით, ლეო უდიდესი მოცულობის სამუშაოს ასრულებს და ეს აუცილებლად ყველამ უნდა დააფასოს.



სტანკოვიჩი გამარჯვების გოლის შემდეგ

„რომას" თავკაცი მიიჩნევს, რომ შეხვედრის ბედი ერთმა ეპიზოდმა გადაწყვიტა და „ინტერი" დიდწილად იღბალს უნდა უმადლოდეს მოპოვებულ გამარჯვებას. მოვუსმინოთ **ვინჩენცო მონტელას**: *„როდესაც შენი გუნდი ასეთ, ფაქტობრივად კურიოზულ გოლს გაუშვებს, ძნელია მარცხის მიზეზებზე ისაუბრო. ვფიქრობ, რომ ცუდად არ გვიასპარეზია, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ვცოდავდით და ამ კომპონენტზე ნამდვილად სამუშაო გვაქვს. „ინტერმა" ბევრი ვერაფერი შექმნა ჩვენს კართან, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამარჯვება იზეიმა. თუმცა, საზეიმოდ მხოლოდ მაშინ ექნებათ საქმე, თუ ორმატჩიან დუელში დაგვამარცხებენ და მინდა ყველამ იცოდეს, რომ მილანში მოსაგებად მივდივართ".*

მონტელამ იღბალს და კურიოზულ გოლს დააბრალა მარცხი, თუმცა ერთი კი დაავიწყდა, რომ კარში სწორედ მისი ინიციატივით დგას ალეშანდრე დონი და არა **ჟულიო სერჟიო**. სწორედ ეს უკანასკნელი იყო ძირითადი კიპერი და მას შემდეგ, რაც გუნდს მონტელა ჩაუდგა სათავეში, არჩევანი დონიზე შეაჩერა. განცხადებაც კი გააკეთა, კარში ალეშანდრე დადგება, რადგან ვფიქრობ, რომ ჟულიოზე უკეთესი კიპერიაო. არადა, ბოლო შეხვედრებში დონი არცთუ დამაჯერებლად ასპარეზობს და აგერ, სტანკოვიჩისგან პრაქტიკულად 35 მეტრიდან გაუშვა გოლი - მართალია, დარტყმა უზუსტესი იყო, მაგრამ არც ისეთი ძლიერი, რომ ამ დისტანციიდან დარტყმულ ბურთზე რეაგირება ვერ მოესწრო.

ბოლოს დავძინოთ, რომ განმეორებით, შეხვედრა ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონზე 11 მაისს გაიმართება.

**ლაშა წიკლაური**

● ესპანეთი. კოპა დელ რეი. ფინალი

# პირველი სისხლი, პირველი ტიტული

**ბარსელონა-რეალი 0:0 (0:1 დ.დ.)**

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, მასკერანო, პიკე, ადრიანო (120. მაქსველი) - ჩავი, ბუსკეტსი (108. კეიტა), ინიესტა - პედრო, მესი, ვილია (106. აფელაი).

**რეალი (4-3-3):** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, რიკარდო კარვალიო (120. გარაი), მარსელო - ხედირა (104. გრანერო), პეპე, ჩაბი ალონსო - იოზილი (70. ადებაიორი), რონალდო, დი მარია.

**გოლი:** 0:1 რონალდო (103)

**გაფრთხილება:** ადრიანო, მესი, პედრო - ალონსო, დი მარია, პეპე, ადებაიორი

**გაძევება:** დი მარია (120)

**კუთხური:** 12-3; **ჯარიმა:** 24-26; **თამაშგარე:** 5-7; **კარში დარტყმა:** 10-12 (4-6); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 55 000

**ჟოზე მოურინიომ** „რეალში" მოღვაწეობის პირველსავე სეზონში შეძლო ტიტულის მოპოვება, თან ეს მან უპრინციპულესი მეტოქის, „ბარსელონას" დამარცხებით შეძლო - „კოპა დელ რეის" ფინალის პირველი დამატებითი ტაიმის მიწურულს **ანხელ დი მარიას** ჩამოწოდებულს პორტუგალიელი **კრიშტიანო რონალდო** თავით გამოეხმაურა და **ხოსე პინტოს** გაუტანა - ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში, რომელიც „ელ კლასიკოების" საგაზაფხულო კვარტეტის მეორე სერია იყო. პირველი სისხლიც ამ თამაშში დაიღვარა - მართალია, მოურინიომ თითქმის წააგო ერთი ტიტული (პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა) **ხოსეპ გვარდიოლასთან**, მაგრამ მეორე (სამეფო თასი) მოუგო. ჯერი მესამე ტიტულისთვის ბრძოლაზეა - ერთ კვირაში ეს გუნდები ისევ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს ამჯერად ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ მატჩში.

გადაჭედილი „მესტალია" ორ ბანაკად იყო გაყოფილი, ჩრდილოეთის ტრიბუნაზე „ბარსას" ფანები ისხდნენ, სამხრეთში კი - „რეალის". შემადგენლობებში სიურპრიზები არ ყოფილა. როგორც დავწერეთ, ზუსტად ისე გამოვიდნენ გუნდები სათამაშოდ, არ იყო მხოლოდ **კარლეს პუიოლი**, რომელმაც, როგორც ჩანს, მაინც ვერ მოასწრო გამოჯანმრთელება მის ნაცვლად დაცვაში **ხავიერ მასკერანომ** ითამაშა.

თუკი პირველი ტაიმი თანაბარი იყო და „სამეფო კლუბი" უფრო მწვავედ „იკბინებოდა" („ლოს ბლანკოსმა" ერთხელ ძელსაც გაარტყა ბურთი), მეორეში „ბარსელონას" სათამაშო უპირატესობა აშკარა იყო. იმ დღეს ბრწყინვალედ მოთამაშე **პედრომ** გოლიც კი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა საკმაოდ საკამათო გადაწყვეტილება მიიღო და თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. „რეალს" კიდევ ერთხელ პირველი დამატებითი ტაიმის ბოლოს გაუჭირდა, როცა ანგარიში წაიყვანა, „ბარსელონამ" ნამდვილი შტურმი მოაწყო, რასაც ვერ ვიტყვით მეორე დამეტებით ტაიმზე, რომელშიც რონალდოს კიდევ ერთი გოლის გატანა მართებდა.

**რონალდო** (რეალი): *„ჩვენთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი ტიტულია. მიხარია, რომ გოლი, რომელსაც ასე შევნატროდით, მე გავიტანე, თანაც „ბარსას" კარში, რომელმაც ასე მაგრად ითამაშა მეორე ტაიმში. ამ მოგებამ დიდი სამსახური გაგვიწია, ჩვენ ახლა ის გუნდი ვართ, რომელსაც გამარჯვებულის ხასიათი აქვს".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჟოზე მოურინიო და რეალი სეზონის პირველ ტიტულს ზეიმობენ

● მილანი



„მილანის" ახალი დირექტორი: ბარბარა ბერლუსკონი

# იბრას სასჯელი არ შეუმსუბუქეს

## ბარბარა მეცამეტე დირექტორია

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** რომ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა და ჩემპიონატის ფინიშზე „მილანს" ვერაფრით ეხმარება, არახალია. კლუბის მესვეურებმა ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტში საჩივარი შეიტანეს, რომელიც სასჯელის ერთ მატჩამდე დაყვანას ეხებოდა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სადისციპლინო კომიტეტმა არ დააკმაყოფილა საჩივარი და ზლატანის პირველი სასჯელი ძალაში დატოვა. შეგახსენებთ, რომ იბრაჰიმოვიჩმა უკვე გამოტოვა „სამპდორიასთან" შეხვედრა და გამოდის, რომ ვერც მომდევნო ორ ტურში იასპარეზებს - 23 აპრილს „როსონერი" „ბრეშას" ესტუმრება, პირველ მაისს კი „ბოლონიას" მიიღებს.

აქვე, კიდევ ერთი ინფორმაცია „მილანის" შესახებ. დიდი ხნის განმავლობაში საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ **სილვიო ბერლუსკონის** შვილი, ბარბარა კლუბის დირექტორთა საბჭოში გაწევრიანდებოდა. და აი, გუშინ გავრცელებული ცნობის თანახმად, ბარბარა გაწევრიანდა საბჭოში და უკვე ოფიციალურად, კლუბის ერთ-ერთ მმართველად ითვლება. ალსანიშნავია, რომ აქამდე დირექტორთა რიცხვი 12 იყო და ბარბარამ მათი რაოდენობა 13-მდე გაზარდა. დირექტორთა საბჭოში სილვიო ბერლუსკონის ძმა, პაოლოც შედის. ამ ამბავს კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საფეხბურთო კლუბი „მილანი" ბერლუსკონების ოჯახისთვის.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასკოლო სპორტი

# გიორგი ასანიძე ხელდამშვენებული სტუმარი

პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, **გიორგი ასანიძემ** და საქართველოს ფრენბურთის ეროვნულმა ფედერაციამ, 64-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს ფრენბურთის ბადე, ბურთები და შესაბამისი სპორტული ინვენტარი გადასცეს.

გიორგი ასანიძე მოსწავლეებს სპორტის მნიშვნელობაზე ესაუბრა და აღნიშნა, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში სპორტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სასიხარულოა, რომ ბავშვები ასეთი მონდომებით და ინტერესით ერთვებიან სპორტის სახეობებში". *სამინისტროსა და სპორტული ფედერაციების მხარდაჭერით, მომავალშიც გავაგრძელებთ მსგავს აქციებს, რათა შეძლებისდაგვარად ყველა სკოლა უზრუნველვყოთ სპორტული ინვენტარით"*, - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ.

გიორგი ასანიძემ სკოლას საჩუქრად სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ მომზადებული საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმის წიგნი გადასცა.

64-ე სკოლა ერთ-ერთია იმ სკოლებს შორის, რომელმაც სპორტის მთავარ სახეობად ფრენბურთი, ფეხბურთი და კალათბურთი აირჩია. საქართველოს მასშტაბით სპორტის ძირითად ან დამხმარე სახეობად კონკრეტულად ფრენბურთზე განაცხადი 1423 სკოლამ გააკეთა.





ჩოგბურთი

# შაფათავა მეოთხედფინალშია

**სოფიო შაფათავა** (287) ბელგიის ქალაქ ტესენდერლოში „ლიმბურგ ოუფენზე" ყოჩაღობს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. პირველ წრეში ჩვენებურმა სლოვენიელ **ტადეა მაერიჩს** (271) სამ სეტში აჯობა - 5:7, 6:3, 6:2. მერვედფინალში შაფათავამ გერმანელ **ჯასტინ ოზგას** (382) მოუგო - 6:3, 7:6. ქართველი ჩოგბურთელი მეოთხედფინალშია, მისი მომავალი მეტოქე კი გუშინ მოგვიანებით გაირკვეოდა. 21 წლის შაფათავამ 14 სარეიტინგო ქულა უკვე გაინაღდა, კიდევ ერთი გამარჯვების შემთხვევაში კი რეიტინგში 24 ქულა დაემატება.




მეოთხედფინალში გავიდა **სოფიო ქვაცაბაიაც** (419), რომელიც უზბეკეთის ქალაქ კარშიში 10-ათასიან ტურნირში მე-3 ნომრადაა განთესილი. მერვედფინალში ქვაცაბაიამ მასპინძელ **ალბინა ხაბიბულინას** (549) აჯობა - 6:2, 6:4. ახლა მისი მეტოქე მე-6 ნომრად განთესილი რუსი **ამინატ კუშკოვაა** (477).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იუბილარი

# ქრისტეფორე ნინიაშვილი – 90

ღვაწლმოსილ მწვრთნელს **ქრისტეფორე ნინიაშვილს** დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. მთელი შეგნებული ცხოვრება მან საქართველოში ჩოხიანი ჭიდაობების დანერგვასა და განვითარებას შეალია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი იყო პირველი მწვრთნელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სამბოს და ძიუდოს. ხოვლელმა ვაჟკაცმა ქართული ჭიდაობით შეაბიჯა სპორტის სამყაროში. სწორედ ქართული ჭიდაობის ილეთების, კერძოდ უბადლო სარმის კარგი ცოდნით გახდა სამბოში საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, როგორც პირად, ისე გუნდურ ასპარეზობებში. აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ მწვრთნელობა დაიწყო „დინამოში". 1960 წლიდან სსრ კავშირში ძიუდო ინერგება და ქრისტეფორე ნინიაშვილიც პირველი იწყებს სპორტის ამ სახეობის პიონერების მომზადებას. მაშინ თითქმის ყველა წამყვანი სამბისტი „დინამოში" ვარჯიშობდა, საქართველოს ნაკრები გუნდიც „დინამოს" სპორტსმენებით კომპლექტდებოდა. 1962 წლის ევროპის ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე ჩამოყალიბდა საბჭოთა ნაკრები, რომელსაც ავარჯიშებდა ქვეყნის რჩეული 4 მწვრთნელი, მათ შორის საქართველოდან ქრისტეფორე ნინიაშვილი. მისი შეგირდი იყო **ანზორ კიკნაძე**, რომელმაც საბჭოთა ძიუდოს ისტორიაში პირველმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა, გახდა ტოკიოს ოლიმპიდის ბრინჯაოს პრიზიორი, იყო ევროპის 8-გზის (4-ჯერ პირადში, 4-ჯერ გუნდურში) გამარჯვებული.

დიდია ქრისტეფორე ნინიაშვილის ღვაწლი სპეციალისტების აღზრდაში, მისი მოსწავლეები იყვნენ **ბიძინა მაზიაშვილი და გურამ პაპიტაშვილი**, რომლებიც საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული მწვრთნელები გახდნენ. გარდა მწვრთნელობისა, ქრისტეფორე ნინიაშვილი 1964-1969 წლებში ევროპის სოციალისტური ქვეყნების ჩემპიონატებზე წარმოდგენილი იყო მსაჯად ძიუდოში. მსაჯობდა სამბოშიც, მიენიჭა საკავშირო კატეგორია ჭიდაობის ორივე სახეობაში.

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია, ძველი და ახალი თაობის ძიუდოისტები და მწვრთნელები გულითადად ვულოცავთ საქართველოში ძიუდოს ფუძემდებელს ქრისტეფორე ნინიაშვილს დაბადებიდან 90 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელს გადაებიჯებინოს საუკუნოვანი ასაკისთვის.

**ანზორ მარტყოფლიშვილი**
ძიუდოს ფედერაციის
გენერალური მდივანი



სურათზე: ანზორ კიკნაძე, ანზორ მარტყოფლიშვილი, შაქრო მუხიაშვილი, ქრისტეფორე ნინიაშვილი (დგას შუაში) და დურმიშხან ბერუაშვილი. 1962 წლის სექტემბერი. ქ. კიშინიოვი

®

სამბო. პრესკონფერენცია



ოლეგ იაძე (მარცხნივ) და გია გალდავა

# ნუ აირჩევთ ბიზნესმენებს

## არმიიდან მოტაცებული სპორტსმენები

გუშინ სპორტის სამინისტროში პრესკონფერენცია გამართეს პრაღიდან დაბრუნებულმა სამბოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელებმა. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდებმა სამი სინჯის 3-3 მედალი, ჯამში 9 მოიპოვეს, ჭაბუკებმა კი 1 ოქრო და 4 ვერცხლი ირგუნეს. ახალგაზრდებიდან ჩემპიონები **ლევან ბერბერაშვილი** (48), **ზვიად კაპანაძე** (68) და **მიხეილ ნარიმანიძე** (100) გახდნენ. **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (57), **გიორგი პაპუნაშვილი** (74) და **გივი ნადარეიშვილი** (52) ვერცხლს დაეუფლნენ, ბრინჯაოები კი **ლაშა ზურაბიანს** (82), **გიორგი ნოზაძეს** (90) და **სლავა რეზესიძეს** (+100) ერგოთ. ამავე ასაკში გოგოებს შორის **შორენა შარაძე** (64) ევროპის ჩემპიონი გახდა.

ჭაბუკებიდან ოქროს მედალი **ბექა ტულუშმა** (65) მოიპოვა, მესამე ადგილებზე კი **ვარლამ შალიკაშვილი** (52) **თორნიკე მუზაშვილი** (56), **მიხეილ მეზურნიშვილი** (70) და **ალექსანდრე მილდიანი** (87) გავიდნენ. გუნდურ ჩათვლაში ახალგაზრდები მეორეზე აღმოჩნდნენ, ჭაბუკები - მეოთხეზე.

გუშინდელი პრესკონფერენციაც ამ ჩემპიონატს მიეძღვნა, რომლის შესახებაც ძირითადად ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბადრი ჯანიაშვილმა** ილაპარაკა, თუმცა შეხვედრას ჭაბუკთა მთავარი დამრიგებელი **ემილ რაში**, ეროვნული გუნდის თავკაცი **ოლეგ იაძე** და სპორტის მინისტრის მოადგილე **გია გალდავაც** ესწრებოდნენ. ცხადია, ჯანიაშვილმა ყველაზე მეტად ჩემპიონები შეაქო, რომლებმაც ეს ალალად დაიმსახურეს. ახალგაზრდულის მედალოსანთაგან პაპუნაშვილზე აღნიშნა, რომ ფინალი ფეხმტკივანმა იჭიდავა, თუმცა გარკვეული პერიოდი იქაც იგებდა თურმე. ნოზაძე ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია, მისი წლევანდელი ბრინჯაოთი კი ბოლომდე კმაყოფილი არ დარჩენილან. ისე ვერ იჭიდავა, როგორც მოველოდით, მას მეტი რესურსი აქვსო, აღნიშნეს. რეზესიძე წლეულს გადმოვიდა ჭაბუკებიდან, სადაც ზედიზედ ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მოიგო ევროპის პირველობა. მას ორი წლის განმავლობაში შეხვედრა არ წაუგია, თუმცა არც ახლანდელი მარცხისთვის ძრახავს ვინმე. პირიქით - მისი ჭიდაობით კმაყოფილები არიან. ჭაბუკებიდან ტულუშმა თურმე ქულის დაუკარგავად გაინაღდა ოქრო. ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ ის კარგად აზროვნებს ლეიბზე და მითითებაც არ სჭირდება. მეზურნიშვილზე დადებით თვისებებთან ერთად ისიც აღნიშნა, რომ ფიზიკურად სუსტია, თორემ სხვა მხრივ ყველა მონაცემი გააჩნია დიდი შედეგების მისაღწევადო. უმედლოდ დარჩენილთაგან ასპარეზობისას მეტი აზროვნებისკენ მოუწოდეს **თამაზ ზურაბიშვილს** (75). მწვრთნელთა თქმით, ის საჭიროზე მეტ ფიზიკურ ძალას ხარჯავს და ზედმეტად ილლის თავს. მწვრთნელთა თქმით, პრაღაში ნახევარფინალში სერბი **იოვან ნიჩკანოვენი** ბრუნზე აუტაცია და თურმე 4-ქულიანი გდებაც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მერე რატომ მოინდომა მოგვერდის გაკეთება, ზუსტად არავინ იცის, შედეგად კი კონტრილეთზე მოჰყვა და დამარცხდა. საუბედუროდ, მერე ბრინჯაოსთვის ბრძოლაც წააგო და მეხუთეზე დარჩა. ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა **რევაზ ნულუკიძის** (81) გამოსვლითაც - საქართველოს პირველობაზე იმდენად კარგად იჭიდავა, მედალსაც კი ვგეგმავდითო. იაძემ მისი ჩავარდნის მიზეზად უცხოური ტურნირების ნაკლებობა დაასახელა, დებიუტანტი იყო და საზღვარგარეთ აქამდე არ უასპარეზიაო. მწვრთნელები ასევე უკმაყოფილოები დარჩნენ **კობა ეგუტიძის** (+87) გამოსვლითაც, რომელიც ამჯერად იმიტომ წაიყვანეს, რომ საქართველოს ჩემპიონმა ძიუდოში გადაინაცვლა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შარაძის გამოსვლას, ოღონდ არა იმის გამო, რომ მისი ოქროს მედალი პირველია საქართველოსთვის ქალ მოჭიდავეთაგან, არამედ ჭიდაობის სტილის, მისი შემართების გამო. ჯანიაშვილმა გაიხსენა, გამოსვლამდე იაძემ გადმომილაპარაკა, შეაგულიანეო, მაგრამ ისეთ განწყობაზე იყო, იმდენად შემართული, ვერაფერი ვუთხარი, უფრო არ დავაბნიოო. მე ვიფიქრე, თუ რამე, მერეც დავუძახებო, თუმცა არ დასჭირვებიაო, თქვა მწვრთნელმა, დარბაზიდან კი მის ნათქვამს რეპლიკა მოაყოლეს, დაჭმუჭნა მეტოქეები, ისე იჭიდავა და მეტი რალა უნდა გეკარნახაო. ხაზი გაესვა შარაძის შემართებასაც, იგებს თუ აგებს, ყოველთვის უტევს, მაინც არ ჩერდებაო.

პრესკონფერენციაზე პრობლემებიც წამოტივტივდა, ოღონდ უფრო ზოგადად ქართული სპორტისთვის სიმპტომური და არა კონკრეტულად სამბოს თანამდევი - რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სამბოს მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მაგალითად, ნარიმანიძეზე საუბრისას ითქვა, რომ ის ამჯერად ჯარშია და ჩემპიონატში მისი წაყვანა დიდი დავიდარაბისა და ნაცნობ-მეგობრების დახმარებით მოხერხდა. ფაქტობრივად, გამოვტაცეთო, იხუმრა იაძემ და სამინისტროსგან პრობლემის მოგვარება ითხოვა. ამაზე გალდავამ განაცხადა, რომ ფედერაციებმა უნდა მიაწოდონ ნაკრების წევრთა სიები და მათი შუამდგომლობის საფუძველზე, ნაკრების წევრებს ჯარს გადაუვადებენ. ყველა მე მირეკავს ჯარიდან გათავისუფლებაზე, მაგრამ ეს ასე არ ხდება, საქართველოში 105 ფედერაციაა და ამდენი ხალხი რომ გამოვაშვებინო ჯარიდან, დამიჭერენო, იხუმრა გალდავამ. სამბოს ფედერაციას იდეა ვიცე-პრეზიდენტმა, საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსმა **თემურ გიორგაძემაც** მიაწოდა - ალტერნატიული სამსახური მის უწყებაში, თუმცა არც ერთი ვარიანტი არ მიგვაჩნია პრობლემის გადაჭრად. ვფიქრობთ, სპორტსმენებს ჯარშივე უნდა შეექმნათ სავარჯიშოდ ისეთი პირობები, არ იზარალონ. დაგვეთანხმებით, ამით ორივე მხარე მოიგებს. თავდაცვის სამინისტროს უკვე ჰყავს კალათბურთისა და რაგბის გუნდები. კარგი იქნება, თუ სპორტსაზოგადოებას გააკეთებს და სხვა სახეობებსაც მიხედავს.

იაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ორივე ნაკრებში ქვეყნის 14 რეგიონიდან შედიოდნენ სპორტსმენები და ეს სამბოს პოპულარობას დაუკავშირა. მან სინანული გამოთქვა, რომ ამჯერად არ იყვნენ კასპისა და საგარეჯოს წარმომადგენლები. ამაზე გალდავამ იხუმრა, აკი ხშირად მირეკავენ, იაძე ნაკრებში კასპელებს აყენებსო. მშობლიური კასპის ჩავარდნა იაძემ ამაგდარი მწვრთნელის - ლავრენტი კაციაშვილის გარდაცვალებას დაუკავშირა, საგარეჯოსი კი იმით ახსნა, რომ იქ ახალგაზრდა მწვრთნელები ძველებს არ უჯერებენ, თავად კი ჯერჯერობით კვალიფიკაცია აკლიათ.

>> მე-11 გვერდზე

მე-10 გვერდიდან

გალდავა, გარდა იმისა, რომ სპორტსმენებს წარმატება მიულოცა და თან მარაძის მიღწევა გამოარჩია, ერთ ძალიან საინტერესო პრობლემასაც შეეხო: „ბიზნესმენს როგორც კი ფედერაციის პრეზიდენტად აირჩევენ მერე საერთოდ არ უნდათ არაფრის გაკეთება. გვარ-სახელების დასახელება არ მინდა, თუმცა ბევრი მაგალითია იმისი, როცა სპონსორმა პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ სახელმწიფოს ხარჯით მოინდომა ტურნირებზე წასვლა-წამოსვლა. მილიონერები არიან და არ იციან, სად რამდენი კორპუსი ააშენონ, მაგრამ ბიუჯეტის ფულით ბილეთს თუ არ უყიდი, შეჯიბრებაზე არ უნდათ წასვლა. ამიტომ ვამბობ - ბიზნესმენი პრეზიდენტად არ უნდა აირჩიო".

იაძემ 20 დღეში სოფიაში, ამჯერად უკვე უფროსთა ევროპის პირველობაზე წამსვლელი გუნდიც გაგვაცნო, თუმცა ეს „ლელომ" ადრეც შემოგვთავაზა: **დიმიტრი მულაძე** (52), **უშანგი კუზანაშვილი** (57), **დავით სვიმონიშვილი** (62), **ბექა იმერლიშვილი** (68), **კახა მამულაშვილი** (74), **ნიკოლოზ კუცია** (82), **მინდია ბოდაველი** (90), **მირიან პავლიაშვილი** (100), **ვახტანგ ზოიძე** (+100). დემოკრატიული პრინციპების და ჭორების გამოსარიცხად იაძეს ნაკრების დასასახელებლად ასეთი მეთოდი გამოუყენებია - ნაკრების სამივე მწვრთნელს, მისი და ჯანიაშვილ-რაშის ჩათვლით, ცალ-ცალკე ჩამოუწერია შემადგენლობის თავისი ვერსია. თურმე ნუ იტყვით და სამივე ერთმანეთის იდენტური გამოდგა! საინტერესო და სახუმარო იყო იაძის ნაკრებისეული დახასიათებაც, სადაც საყოყმანო მხოლოდ სამი წონითი კატეგორია ყოფილა. პირველი მათგანი 68-ს ეხებოდა, სადაც კონკურენტი ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **ლევან ნახუცრიშვილიც** იყო, მაგრამ მან წლეულს მოსკოვში შულცის ტურნირი წააგო. იაძე ამის მიზეზად შარშან მიღებულ ხელის ტრავმასაც ასახელებს და იმედოვნებს, რომ სპორტსმენი მსოფლიომდე ამ ტრავმას მოირჩენს და კვლავაც გახდება ნაკრების კანდიდატი. რაც შეეხება იმერლიშვილს, მან მოიგო არმავირის (ქართველთაგან - პირველმა), მინსკისა და ყაზახეთის ტურნირები და მისი დაყენებაც ამან განაპირობა. 74-ში **გიორგი ნოზაძეც** აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ის სამბოში ახალი გადასულია და თან ვერ ჭიდაობს ჩოქბჯენში. მოსკოვში მან ორი ტურნირიდან ერთში კი გაიმარჯვა, მაგრამ ის ძველი წესებით ტარდებოდა ანუ ორი წაგების მერე ვარდებოდა, ამან კი ერთი შეხვედრა აქ დათმო, მეორე - მომდევნო შეჯიბრებაზე. იაძის თქმით, ორივეჯერ ჩოქბჯენში დამარცხდა. მწვრთნელთა თქმით, ის ჯერ პატარაა, მაგრამ მსოფლიომდე მოამატებინებენ და უეჭველად წაიყვანენ იმის მიუხედავად, ახლა სოფიაში რას იზამს მამულაშვილი. 100 კილოსთან დაკავშირებით მწვრთნელმა პირდაპირ თქვა, ამ წონაში არც მკვდარი გვყავს, არც - ცოცხალიო, აქ ვეტერან პავლიაშვილის გარდა სხვა არავინაა და სათანადო მონდომებას არც ის იჩენსო. თურმე ყოველი ტურნირის წინ ის მორიგ შანსს ითხოვს და რაკი სხვა არავინაა, იღებს კიდეც. მას რომ უარი ვუთხრა, მაშინ ვინმე ძიუდოისტი უნდა წავიყვანო, მე კი ჩემი მკვდარი მირჩევნია სხვის ცოცხალს. თან, პავლიაშვილსაც აქვს ამდენი დამსახურებაო, თქვა იაძემ. მწვრთნელი მძიმე წონასაც შეეხო, სადაც ნაკრებში ჩართვა ძიუდოში დისკვალიფიცირებულ **ადამ ოქრუაშვილსაც** უთხოვია, მაგრამ მწვრთნელები მის გამოცდას ჯერ რიგით ტურნირებში აპირებენ. სხდომის დასასრულს ღირსების ორდენებით დაჯილდოება მიულოცეს ბადრი ჯანიაშვილს, **სოლომონ ჩიტაშვილს** და **თენგიზ არაბულს**.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა

# საფალავნო ზეიმი საუკუნოვან იუბილეზე

## მთავარი პრიზი დავით გობეჯიშვილს გადაეცა

**გოგი მეკოკიშვილის** თავკაცობით პირველად თბილისში, მერე საგარეჯოში 13 წელიწადია ტარდება მამამისის, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონის **არსენ მეკოკიშვილის** (1912-1972) სახელობის ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში. შარშან ფალავნობა თავისუფალ ჭიდაობაშიც მოეწყო.

წლეულს „არსენას ტურნირის" თაოსანი თავისუფალში გახდა საგარეჯოს კომპლექსური სპორტსკოლა, რომელიც არაერთ შეჯიბრებას მართავს არსენას სახელობის საგარეჯოს დარბაზში.

1991-1994 წლებში დაბადებულთა შორის ხალიჩაზე გამოდიოდნენ: ბოლნისელი, დედოფლისწყაროელი, თბილისელი, გურჯაანელი, ყვარლელი და რუსთაველი მოჭიდავეები.

ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ: **ნიკა თუშიშვილი** (46 კგ, საგარეჯო), **არჩილ ბეუქლიშვილი** (50, ყვარელი), **ბექა სურმანიძე** (55, ომც), **გიორგი ქევხიშვილი** (60, ყვარელი), **ლაშა ბიტარიშვილი** (66, ომც), **ზურაბ ერბოწონაშვილი** (74, საგარეჯო), **იაკობ პეტრიაშვილი** (84, ომც), **გიორგი მეშვილდიშვილი** (96, ცერცვაძის სკოლა), **დავით გობეჯიშვილი** (120, ომც).

მთავარი პრიზი მძიმე წონაში გამარჯვებულს, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონის მოსახელესა და მოგვარეს დავით გობეჯიშვილს არსენას ვაჟმა გოგი მეკოკიშვილმა გადასცა.

სპეციალური პრიზები დაიმსახურეს ზურაბ ერბოწონაშვილმა და ლაშა ბიტარიშვილმა.

გაისად, აპრილში ლეგენდარული ფალავნის არსენ მეკოკიშვილის 100 წლის იუბილეა. ამ თარიღთან დაკავშირებით საგარეჯოში დიდი საფალავნო ზეიმისთვის მზადება უკვე დაწყებულია.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ცურვა

# ტონუსი ტონუსით

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" გუშინ მოცურავეთა საქართველოს ჩემპიონატზე 6 დისციპლინაში გათამაშდა მედლები. განსაკუთრებით „ტონუსის" წარმომადგენლებმა იყოჩაღეს. ორი დღის განმავლობაში მათ 7 ოქროს, 5 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. სულ შეჯიბრებაში, როგორც გაუწყეთ, თბილისის, რუსთავის, გორის, ჭიათურისა და საჩხერის 109 წარმომადგენელი მონაწილეობს.

**კვარცხლბეკი. ასპარეზობის მეორე დღე**

**50 მ ბრასი. გოგონები.** 1. თამუნა ჭილაია (თბილისი, „დილომი", 40,64), 2. მაია ხრიკული (თბილისი, „ლაგუნა ვერე", 41,11), 3. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 41,14). **ვაჟები.** 1. ირაკლი შენგელია (თბილისი, „ტონუსი", 31,40), 2. დავით სიხარულიძე („ტონუსი", 32,04), 3. ილია მანჯგალაძე („ტონუსი", 33,18). **100 მ ბატერფლაი. გოგონები.** 1. მარი მეჭურჭლიშვილი („ლაგუნა ვერე", 1.27,40), 2. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 1.34,52), 3. მარიამ ობოლაშვილი (რუსთავი, 1.36,72). **ვაჟები.** 1. თემურ კობახიძე („ლაგუნა ვერე", 1.00,81), 2. ირაკლი შავიძე (რუსთავი, 1.06,68), 3. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 1.08,69). **200 მ თავისუფალი ყაიდა. გოგონები.** 1. გვანცა ხინჩეგაშვილი (გორი, 2.29,77), 2. სოფო სალარაძე („ტონუსი", 2.46,08), 3. თამთა გიგილაშვილი (რუსთავი, 2.51,00). **ვაჟები.** 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი", 1.57,99), 2. დავით სიხარულიძე („ტონუსი", 2.01,38), 3. ირაკლი ბოლქვაძე („ტონუსი", 2.03,49). **200 მ გულაღმა ცურვა. გოგონები.** 1. ანა ლომინაძე („დიღომი", 3.01,15), 2. მეგი ხათაშვილი (გორი, 3.03,19), 3. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 3.07,79). **ვაჟები.** 1. გიგი მთვრალაშვილი („ტონუსი", 2.16,43), 2. ნიკა კოკელაძე („ლაგუნა ვერე", 2.25,81), 3. ირაკლი ლომიძე („ტონუსი", 2.33,31). **1500 მ თავისუფალი ყაიდა. ვაჟები.** 1. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 17.59,03), 2. ნიკა ყაველაშვილი (რუსთავი, 20.23,06), 3. ცოტნე დევდარიანი (რუსთავი, 22.33,37). **4X100 მ თავისუფალი ყაიდა. გოგონები.** 1. გორი (5.16.26), 2. თბილისი „ტონუსი" (5.29.02), 3. რუსთავი (5.38.02). **ვაჟები.** 1. თბილისი „ტონუსი" (3.50.99), 2. თბილისი „ლაგუნა ვერე" (3.58.77), 3. გორი (3.59.62).

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

ქართველები NBA-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1:1, გადავიდეთ ატლანტაში



მიუხედავად იმისა, რომ „ატლანტამ" ორლანდოში „მეჯიქთან" NBA-ს მერვედფინალური სერიის პირველი მატჩი მოიგო, მეორე შეხვედრის წინ მისი გამარჯვებისა ბევრს არ სჯეროდა. არც ტოტალიზატორებს, რომლებმაც „ატლანტას" მოგებაზე 1 ლარში 5.25 ლარი დააწესეს. ეს მეტად მაღალი მაჩვენებელია. თუმცა, ჯორჯიელებმა ყოველგვარი პროგნოზის გაბათილება სცადეს. პირველ ტაიმში ეს კარგადაც გამოუვიდათ: სროლას სროლაზე აგდებდნენ, „მეჯიქს" კი დამაგვირგვინებელ ფაზაში უჭირდა.

პირველი პერიოდის ბოლო წამზე **ჯამალ კროუფორდმა** თითქმის მოედნის ცენტრიდან ისროლა, ბურთი კალათში ჩაეშვა - 22:16. ბადის გავლით ბურთი პირდაპირ ზაზას ჩაუვარდა ხელებში. ეს ეპიზოდი ერთ-ერთმა ამერიკელმა ფოტორეპორტიორმა „ფირზე აღბეჭდა" (ციფრული ტექნიკის შემოსვლასთან ერთად, ფირები ისტორიას ბარდება და ბრჭყალებიც ამიტომ გამოვიყენეთ)... ამ სტატიას სწორედ ზემოთ ნახსენები მომენტის ამსახველი ფოტო დავურთეთ.

სტუმრები მიღწეულზე არ შეჩერდნენ, იმავე კროუფორდის ორქულიანის წყალობით მეორე პერიოდის დასაწყისში სხვაობა 10 ქულამდე გაზარდეს - 32:22. ძნელი სათქმელია, ამის შემდეგ ჯორჯიელები მოდუნდნენ, თუ მასპინძლები გამოფხიზლდნენ, მაგრამ ფაქტია - „ორლანდომ" 12:2 მოიგო და ანგარიში გაათანაბრა. 12-დან 10 ქულა ცენტრის **დუაით ჰოვარდის** ანგარიშზეა.

თუ პირველ ტაიმში ორლანდოს პერიმეტრიდან თამაში არ გამოსდიოდა, მესამე თორმეტწუთეულში მდგომარეობა ამ მხრივაც გამოასწორა და **ჰედო თურქოღლუს** სამქულიანის შედეგად 11 ქულით გაიჭრა წინ.

მეოთხე პერიოდს „ატლანტა" 54:65 ჩამორჩენით შეხვდა. თითქოს, წარმოუდგენლად მოჩანდა თამაშის შემოტრიალება, მაგრამ სტუმრებმა ეს შეძლეს. სასიამოვნოა, რომ „ატლანტას" 10:0 გაქცევისას მოედანზე **ზაზა ფაჩულიაც** იყო და იგი მჭიდროდ მეურვეობდა გოლიათ დუაით ჰოვარდს. ამ ეპიზოდში ქართველმა ბურთიც არაერთხელ მოხსნა, ორქულიანიც ჩააგდო და პასიც შეასრულა.

მოკლედ, სირენამდე 2:14 წუთით ადრე სხვაობა 2 ქულამდე შემცირდა - 76:78. თუმცა „ატლანტამ" მეტი ვერ შეძლო: ჯერ თურქოღლუმ ჩააგდო ორქულიანი, შემდეგ **რიჩარდსონმა** სამიანი და 83:76. 7-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრა „ჰოქსის" მწვრთნელმა, **ლარი დრიუმ** თამაშის მთლიანად პერიმეტრზე გადატანით სცადა - ფაჩულიას ნაცვლად მოედანზე სნაიპერი კროუფორდი დააბრუნა, მაგრამ...

„ორლანდოს" ცენტრმა დუაით ჰოვარდმა შეუცვლელად ითამაშა, 33 ქულა და 19 მოხსნა მოაგროვა. ვიცე-ბომბარდირი კროუფორდი გახდა - 25 ქულა. მრგვალი ორმაგი დუბლი შეასრულა **ელ ჰორფორდმა** - 10-10 ქულა-მოხსნა. ზაზას მთავარი ამოცანა ჰოვარდის წინააღმდეგ კარგად თამაში იყო. ქართველმა საბოლოოდ 2 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. აქედან 6 მოხსნა მეოთხე პერიოდზე მოდის.

*- გასული წლის პლეი ოფში „ორლანდომ" 4:0 მოგვიგო. ამჯერად უკეთ გამოვიყურებით, მეტოქეს პერიმეტრიდან თავისუფლად თამაშის საშუალებას არ ვაძლევთ. არადა, „ორლანდო" ის გუნდია, რომელიც პერიმეტრიდანაც ძალიან სახიფათოა, - განაცხადა „ჰოქსის" თავკაცმა ლარი დრიუმ.*

1:1, სერიაში ანგარიში გათანაბრდა. მესამე მატჩი 22 აპრილს „ატლანტას" „პეპსი არენაზე" გაიმართება.

**ორლანდო-ატლანტა 88:82**

**ზაზა ფაჩულია:** 19:13 წუთი, 2 ქულა (3-დან 1 ორქულიანი), 8 მოხსნა, 1 პასი, 4 ფოლი

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 03:40 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 03:26 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 03:00 | ფოლი: 1 |
| 00:40 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| **III პერიოდი** | |
| 04:04 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 00:55 | ფოლი: 3 |
| **IV პერიოდი** | |
| 11:12 | პასი: 1 (ჰორფორდი 2ქ, 56:67) |
| 10:41 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:39 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 08:34 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 08:11 | ფოლი: 4 |
| 08:11 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 06:53 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 06:34 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 |
| 06:32 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:30 | მოხსნა: შეტ-3, დაც-5 |
| 06:30 | ორქულიანი: 2ქ (66:76) |
| 01:08 | კროუფორდმა ზაზა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

სკაუტების 12 სამიზნე

# შერმადინი, მომავალი დივაცი

ევროპულ საკალათბურთო გამოცემა ballineurope-ზე გამოქვეყნდა 12 კალათბურთელის ჩამონათვალი, რომლებსაც NBA-ში მოხვედრის პერსპექტივა აქვთ. სტატიის ავტორი აზრს დაეკითხა რამდენიმე ცნობილ სკაუტს, მათ შორის **ალეხანდრო გონსალესს** და **სიმას ბარანაუსკასს**. ჟურნალისტი იკვლევს, რამდენად სავარაუდოა, ქვემოთ ჩამოთვლილ 12 პერსპექტიულ კალათბურთელს ამერიკაში წასვლის შემდეგ იგივე ბედი ეწიოს, როგორიც სერბ **დარკო მილიჩიჩს**, რომელიც დრაფტზე მეორე ნომრად აიყვანეს, თუმცა მოლოდინი ვერ გაამართლა.

დანარჩენი თერთმეტის პარალელურად **გიორგი შერმადინის** მოკლე დახასიათებაცაა. თუმცა, მის გაცნობამდე თერთმეტივეს გვარს მოგახსენებთ: **რობინ ბენზინგი** („ულმი", გერმანია), **ბისმაკ ბიომბო** („ფუენლაბრადა", ესპანეთი), **ბოიან ბოგდანოვიჩი** („ციბონა", ხორვატია), **ნიჰად დედოვიჩი** („რომა", იტალია), **აუგუსტო ცეზარ ლიმა** („გრანადა", ესპანეთი), **მილან მაჩვანი** („მაქაბი", ისრაელი), **ნიკოლა მიროტიჩი** („რეალი", ესპანეთი), **დონატას მატიეიუნასი** („ბენეტონი", იტალია), **ლეონ რადოსევიჩი** („ციბონა", ხორვატია), **იონას ვალანჩიუნასი** („რიტასი", ლიტვა), **იან ვესელი** („პარტიზანი", სერბეთი).

სხვათა შორის, ვესელი, რომელსაც **დირკ ნოვიცკის** ადარებენ, დღეს გიორგი შერმადინს ადრიატიკის ლიგის ფინალში დაუპირისპირდება.

ballineurope-ზე შერმადინი ლეგენდარულ **ვლადე დივაცთანაა** შედარებული:

*„ქართველ ცენტრს შეუძლია, იყოს მეორე ვლადე დივაცი. შეიძლება არც იყოს... ძნელია, შერმადინის შესახებ თამამად მსჯელობა მაშინ, როცა მას ადრიატიკის თასსა და ევროლიგაზე შეზღუდული სათამაშო დრო აქვს. მოკლე დროში არაერთხელ ვნახეთ ფარქვეშ კარგი დაცვა და სროლის სიზუსტე დამაგვირგვინებელ ფაზაში. მოკლედ, იგი ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ოლიმპიელია. თუმცა მეტი რომ ვილაპარაკოთ, მეტი უნდა გვქონდეს ნანახი."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ადრიატიკის ლიგა

# ვლადიმერ ბოისა: მეორედ, 2002 წლის შემდეგ...

დღეს „ოლიმპია" ადრიატიკის ლიგის ფინალში სერბულ „პარტიზანს" დაუპირისპირდება. შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში „ოლიმპიამ" კრკა დაამარცხა.

სლოვენიელმა მედიელებმა გაიხსენეს, რომ ოლიმპიელებს ადრიატიკა 2002 წელს აქვთ მოგებული და ისიც არ დავიწყებიათ, რომ იმ გუნდში **ვლადიმერ ბოისა, იურე ჟდოვჩი** და **ვლადო ილიევსკი** თამაშობდნენ. გამოცემა „სიოლზე" სამივეს კომენტარი გამოქვეყნდა.

„ჟდოვჩმა 2002 წლის მერე კალათბურთელის კარიერა დაასრულა და ხელი მწვრთნელობას მიჰყო:

*- კრკა-სთან „ოლიმპიამ" თავისი რეალური ძალა დაგვანახვა. კარგი იქნება, თუ ჩვენს კოზირს ფინალშიც სათანადოდ გამოვიყენებთ. მოვუწოდებ ყველა ქომაგს, მხარში დაგვიდგეს.*

ვლადიმერ ბოისამ 9 წლის წინანდელი ამბები გაიხსენა:

- ძალიან მინდა 2002 წლის მიღწევა გავიმეორო. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და სათამაშო დროც არასათანადოდ მქონდა. მას მერე „ოლიმპია" პირველად ახლა გავიდა ფინალში და 2002 წლის მიღწევის გამეორებასთან ძალიან ახლოსაა. ფინალში გამარჯვების რეცეპტიც გვაქვს - ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც კრკა-სთან. აგრესიული დაცვითა და ფარქვეშ დამაჯერებელი თამაშით შეცდომების დაფარვაც შეიძლება. სამწუხაროდ, შეცდომების გარეშე თამაში წარმოუდგენელია. რაც შეეხება „პარტიზანს", მას კარგად ვიცნობთ. მოტივაცია არ გვაკლია და მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთხელ მომეცემა ადრიატიკის თასისთვის გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის საშუალება."

**ვაჟა სიმონიშვილი**



## მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# ვახტანგ ბალავაძე



დაიბადა 20. 11. 1927 წ, ღანირი, სამტრედია. თავისუფალი ჭიდაობა (73 კგ). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1954, 57) და მეორე პრიზიორი (1959). 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი და 1960 წლის რომის ოლიმპიადის მონაწილე (XI ადგილი). სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1952-55, 57), სსრკ ხალხთა I და II სპარტაკიადების მეორე პრიზიორი (1956, 59). სამბოში სსრკ ჩემპიონი (1952) და მეორე პრიზიორი (1951). ახალგაზრდობის საერთაშორისო თამაშებში გამარჯვებული (1953). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი, უმაღლესი კატეგორიის მსაჯი. თბილისის საპატიო მოქალაქე. ფილას, ღირსების და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.

## შეხვედრა წარსულთან...

# მოგონებები სპარტაკიადაზე

1954 წლიდან მოსწავლეთა ტრადიციული საკავშირო სპარტაკიადები ტარდებოდა. დროდადრო ამ გრანდიოზულ კომპლექსურ ასპარეზობაში ცდიდა თავის შესაძლებლობებს ყველა, ვინც შემდეგ დიდ სპორტში თამამად იკავებდა უფროსი თაობის ადგილს. „ქრონიკების“ წინა გამოშვებაში ტაშკენტში 1984 წელს გამართული სპარტაკიადის თანამდე ერთ საინტერესო ამბავზე მოგითხრეთ. დღეს კიდევ ერთს გთავაზობთ..

**სადაურსა სად შაიყვან...**

ტაშკენტის სპორტულ ბაზებზე ხშირად შეხვდებოდით ქართველ სპორტსმენებს და სპეციალისტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის წევრები იყვნენ. მაგალითად, უზბეკეთის ნორჩ ჭიდაობის გუნდში გამოდიოდა ტაშკენტელი მოსწავლე **ალექსანდრე გუგუშვილი**, ძიუდოში ლატვიის ნაკრების ღირსებას იცავდა **კახა დათიაშვილი**, ესტონეთელებისას - **გიორგი ბარკალაია**, აზერბაიჯანელ მოკრივეებს სპარტაკიადაზე მწვრთნელად ახლდა **ბორის ყიფიანი**, ხოლო ტაჯიკეთის გუნდს მეთოდისტად **სტანისლავ გვალია**.

## ვინ რა თქვა...

„სპორტისადმი ჩემი უდიდესი სიყვარული ბავშვობიდან იღებს სათავეს. რა დასამალია, ფეხბურთი არ მეხერხებოდა, თუმცა ძალიან ვცდილობდი. „დინამოს“ სტადიონის რკინის მოაჯირზე კი არაერთხელ გადავმძვრალვარ. ამისთვის ბავშვები საკმაოდ მკაცრად ვისჯებოდით, მაგრამ ამის საფასურად ბორის პაიჭაძის თამაში უნდა გვენახა. სწორედ ეს დიდებული ფეხბურთელი იყო ჩემი კერპი, თუმცა მისი თამაშის ბოლო წლებსღა მოვესწარი. ან კიდევ კირილ ბარი — კალათბურთი! საოცარი, ენით აუწერელი სანახაობის მომსწრე ვხდებოდით ხოლმე მაშინდელი ახალგაზრდები. რა დამავიწყებს იმ ვაჟკაცურ, უაღრესად ოსტატურ ორთაბრძოლებს, ნოდარ ჯორჯიკიასა და ოთარ კორძაიას რომ იმართებოდა. შესაძლოა, ვინმემ ნარსულისადმი მეტისმეტ მონინებად ჩამითვალოს, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა: მას შემდეგ მსგავსი კალათბურთი არ მინახავს“.

**ოთარ მელვინეთუხუცესი**

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** ორგანიზებული საფეხბურთო მატჩი საქართველოში გაიმართა თბილისში, იპოდრომის ძველ მოედანზე 1905 წელს.

**პირველმა** საქართველოს ჩოგბურთელებიდან ოლიმპიური მედალი (ბრინჯაო) მოიპოვა **ლელა მესხმა**, 1992 წელს ბარსელონაში.

**პირველად** საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე სინქრონულ ცურვაში საქართველოდან გავიდა თბილისელი **ქრისტინე ფალასანიძე**. 1989 წელს იგი ევროპის ჩემპიონი გახდა, ორი წლით ადრე კი ვერცხლის მედალს დაეუფლა.





## შეკითხვა ლელოს...



**შეკითხვა:** გთხოვთ გვიპასუხოთ, როდის და ვის მიერ დაწესდა ნონას თასი ჭადრაკში და ვინ ჯილდოვდება ამ პრიზით?

**ნინო თოდუა**
თბილისი

**პასუხი:** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით და ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის 68-ე კონგრესის 1997 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაწესდა **ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის თასი. ეს ჯილდო გადაეცემა გუნდს, რომელიც ვაჟთა და ქალთა ოლიმპიადების ჯამში ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს.

## თარიღი 21-27 აპრილი

21. 1959 წ. ქუთაისის „ტორპედომ“ პირველი საერთაშორისო მატჩი ჩაატარა საკუთარ მოედანზე
21. 1955 წ. დაიბადა **თემურ აფხაზავა** - ბ/რ ჭიდაობა
23. 1928 წ. დაიბადა **სერგო ჯაიანი** - ტანვარჯიში. გარდაიცვალა 1990 წელს
23. 1923 წ. დაიბადა **ზურაბ მაჩხანელი** - სასტენდო სროლა
23. 1941 წ. დაიბადა **მარლენ პაპავა** - ტყვიის სროლა. გარდაიცვალა 2010 წელს
24. 1955 წ. დაიბადა **თემურ ხუბულური** - ძიუდო
25. 1992 წ. დაფუძნდა საქართველოს ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაცია
25. 1969 წ. დაიბადა **გიორგი ჩოგოვაძე** - წყალში ხტომა
25. 1939 წ. დაიბადა **იგორ დელა-როსა** - მძლეოსნობა
26. 1969 წ. დაიბადა **გიორგი კოლუაშვილი** - ბ/რ ჭიდაობა
27. 1908 წ. ლონდონში გაიხსნა ზაფხულის IV ოლიმპიური თამაშები.

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

**1. რომელ წელს შეიქმნა საქართველოს რაგბის კავშირი?**

ა — 1999 წელს
ბ — 1990 წელს
გ — 1991 წელს

**2. სად არის ამჟამად ცნობილი ქუთაისელი მწვრთნელი „აიას“, საქართველოსა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ყოფილი მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი?**

ა — ქუთაისში
ბ — მოსკოვში
გ — კრასნოდარში

**3. ვისი გუნდია არწივები?**

ა — ოზურგეთის
ბ — ბათუმის
გ — სენაკის

**4. რომელ წელს დაისაკუთრა ევროპის ერთა თასი საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა?**

ა — 2000 წელს
ბ — 2001 წელს
გ — 2004 წელს

**5. ვინ არიან ერთმანეთის 21 წლის ბექა ურჯუკაშვილი და ვეტერანი მალხაზ ურჯუკაშვილი?**

ა — მეგვარეები
ბ — მამა-შვილია
გ — ბექა მალხაზის ძმისშვილია

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

## გამოხმაურება

# ცხადია, მთავარი სიზუსტეა

„ლელოს“ ახალ პროექტში „ოლიმპიური საქართველო 1952-2012“ საქართველოდან ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეთა შედეგებსაც ვაქვეყნებთ. ცხადია, ეჭვს არ იწვევს ჩემპიონთა და პრიზიორთა მონაცემები, მაგრამ ექვსეულს მიღმა დარჩენილებთან დაკავშირებით სხვადასხვა სტატისტიკაში განსხვავებული მონაცემებია, რაც ფართო მკითხველისთვის ცნობილი ხდება ჩვენი პუბლიკაციების მეშვეობით. სიმართლე გადასამოწმებელია, მაგრამ რომელი წყაროა უტყუარი? ამიტომ დიდი მადლიერებით ვიღებთ და მივიღებთ ინფორმაციას თვით ოლიმპიელებისგანაც, ოღონდ - გაუღიზიანებლად, თავშეკავებით. მთავარი ხომ სიმართლის დადგენაა.

მოვიტანთ ორ მაგალითს. ა. ციბაძის წიგნში „ქართული საბჭოთა სპორტის ქრონიკები“ (თბილისი, 1984, იხ. გვ. 25) მითითებულია, რომ 1952 წელს მზია ჯუღელი ოლიმპიური ჩემპიონობის გარდა გავიდა IV ადგილზე, რაც არასწორია, უნდა იყოს - II. იმავე გვერდზე მოფარიკავეები ი. ოსიპოვი და რ. ცირეკიძე არ მოიხსენიება ექვსეულში, მაგრამ „სპორტის ენციკლოპედიაში“ (თბ. 2006) ოსიპოვის მიღწევებში წერია: „1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (პირადში - X ადგილი, გუნდური - V)“. დ. კინწურაშვილის წიგნში „ოლიმპიური საქართველო“ (ციფრები და ფაქტები) კი წერია - ი. ოსიპოვი: „პ\პ ნახევარფინალში VII ადგ. გუნდური ნახევარფინალი.“ X და V ადგილების სიზუსტე თვით ვეტერანმა ოლიმპიელმაც დაგვიდასტურა.

## ფოტო კომენტარით

ეს სურათი თბილისში, 45 წლის წინათ, 1966 წელსაა გადაღებული სამბოში ქ. სარატოვში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირად - გუნდური ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. ჩვენმა სამბისტებმა **ქრისტეფორე ნინიაშვილის** ხელმძღვანელობით მაშინ გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. 1967 წელს კი „დინამოს“ ამ შემადგენლობამ საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა შორის პირველობაც მოიგო და საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ასპარეზობა ქ. ლუგანსკში გაიმართა და ჩვენი გუნდი შინ ვიცე-ჩემპიონი დაბრუნდა.

მარცხნიდან: ქრისტეფორე ნინიაშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, თენგიზ ასანიძე, გოდერძი ნონიკაშვილი, შოთა გულიაშვილი, მიხეილ გოგავა, ანზორ მარტყოფლიშვილი, ზაურ სახვაძე, ბესო ყიყიაშვილი, გია ხოსიტაშვილი.

**ანზორ მარტყოფლიშვილი**



# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ქალაქი, სადაც საქართველო-ხორვატიის საფეხბურთო ნაკრებების განმეორებითი მატჩი უნდა ჩატარდეს; 4. რეზო ძოძუაშვილის მეტსახელი; 9. ჭადრაკის პარტიის ბოლო ნაწილი; 10. საწყლოსნო სპორტული კომპლექსი „... ვერე“; 11. კარგად მავალი ცხენი; 12. ცნობილი მორაგბე, რამაზ...; 16. ცალ ფეხზე ხტუნვა; 17. ბოლნისის საფეხბურთო კლუბი; 18. ჭიდაობის ილეთი; 19. კრივის ინგლისური სახელწოდება; 21. ცურვის ყაიდა; 22. საქართველოს რაგბის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი; 23. სპეციალური ადგილი სპორტულ ორიენტირებაში ტექნიკური და ტაქტიკური ხერხების დასამუშავებლად; 27. საჩოგბურთო ტურნირი "... მუზარადი"; 28. თბილისის "დინამოს" ყოფილი კალათბურთელი; 29. ბაქოს საფეხბურთო კლუბი, რომლის მწვრთნელი კახა ცხადაძეა; 30. საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრი.

**შვეულად:** 1. ჩოგბურთში: დარტყმა, რომლითაც თავს ზევით მიმფრინავ ბურთს მოთამაშე დაბლა მოწინაალმდეგის მოედანზე აბრუნებს; 2. სპორტულ შეჯიბრებაში დაწინაურებული; 3. შემტევი დარტყმის ჟარგონული სახელწოდება მაგიდის ჩოგბურთში; 5. კავკასიონის ქედის მონაკვეთი ...-ბეზინგის კედელი; 6. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა; 7. გრძელ დისტანციებზე მორბენალი; 8. ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მოძველებული სახელწოდება; 13. აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ხმარებული ცივი იარაღი; 14. სპორტის სახეობა; 15. ქართველი აკრობატი ქალი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი; 16. წესის დარღვევა ჰოკეიში: შაიბის გადაგდება დაცვის ზონიდან თავდასხმის ზონაში ცენტრალური ზონის გავლით; 20. ქუთაისის "აიას" მოთამაშე; 24. წყვილი ერთიანი ნარდში; 25. მუზარადი, იგივე...; 26. ცხენბურთის ძველი სახელი.

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

მსოფლიოს თასი

# სამხრეთული სამეულის სამზადისი ვებ ელისისთვის


დენ კარტერი

ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე 140 დღე დარჩა. დრო ჯერ კიდევ საკმარისად ბევრია, თუმცა თასზე მოასპარეზე ნაკრებები სხვადასხვა ფორმით უკვე ემზადებიან. ცხადია, უდიდეს სარაგბო ტურნირზე უმთავრესი ფავორიტები სამხრეთ ნახევარსფეროს სარაგბო ბობოლები - ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ავსტრალია არიან. შეჯიბრების მთავარი მშვენებაც სწორედ ის მატჩები იქნება, რომლებშიც ეს გუნდები ითამაშებენ.

რაგბის ქომაგებისთვის, ცხადია, საინტერესოა, რა მდგომარეობაა დღეისთვის თითოეული მათგანის ბანაკში. დავიწყოთ მასპინძლებით, მსოფლიოს თასის მუდმივი ფავორიტითა და IRB-ის რეიტინგის ლიდერით, ახალი ზელანდიის ნაკრებით.

## ზარი ჯოჯოხეთიდან

საოცარია, მაგრამ „ოლ ბლექსის" წინაშე ყველაზე მწვავედ მგეზავის პრობლემა დგას. ახალზელანდიელთა ძირითადი ათი ნომერი, **დენ კარტერი** დაშავებულია და აგერ რამდენიმე კვირაა, არ უთამაშია. ნაკრების მწვრთნელი და ქომაგები თითქოს ამის გამო არ უნდა წუხდნენ, რადგან „ოლ ბლექსი" ის გუნდია, რომელიც ნებისმიერი შემადგენლობით მეტოქეებს შიშის ზარს სცემს.

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ახალი ზელანდიის ამჟამინდელი ნაკრების წარმატება ბევრადაა დამოკიდებული გუნდის ორ წამყვან მოთამაშეზე, მესამეხაზელ **რიჩი მაქკოუზე** და მგეზავ დენ კარტერზე.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ „ოლ ბლექსის" მთავარ მწვრთნელს, **გრემ ჰენრის** ტელეფონზე ურეკავენ და ეუბნებიან:

*„ჰელო, გრემ. ვფიქრობთ, საკმაოდ ცუდი ამბავი უნდა გითხრათ. დენის ტრავმა ძალზე სერიოზულია და ის მსოფლიოს თასისთვის გამოჯანმრთელებას ვერაფრით მოასწრებს".*

ასეთი რამ ჰენრის საშინელ სიზმარშიც არ დაესიზმრება - ეს იგივეა, ჯოჯოხეთიდან რომ დაურეკონ, მაგრამ, მოდით, მაინც დავუშვათ (რაც ადვილი შესაძლებელია), რომ კარტერი მსოფლიოს თასზე ვერ ითამაშებს. ამ შემთხვევაში ვინ იქნება მისი დუბლიორი? საამისოდ, რამდენიმე კანდიდატურაა. ახალი ზელანდიის ნაკრებში მგეზავის პოზიციაზე შეიძლება ითამაშონ: **აარონ კრადენმა, მაიკ დელენიმ, სტივენ დონალდმა** და **ლუკ მაკალისტერმა**. კიდევ ერთი, **კოლინ სლეიდი** გამოირიცხა, რადგან ახლახან ყბა გაიტეხა და, სავარაუდოდ, ნაკრებში ველარ მოხვდება.

რომელს უნდა მიანიჭოს უპირატესობა გრემ ჰენრიმ? სანამ ამაზე პასუხს გავცემდეთ, მოდით, ჯერ დენ კარტერი დავახასიათოთ, და მერე, მისი სავარაუდო შემცვლელების პოტენციალი განვიხილოთ.

ფეხით თამაში - ამ კომპონენტში კარტერი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ის „ოლ ბლექსის" ძირითადი მექულეა. თამაშის ხედვა და ტაქტიკური აზროვნება - დენი გუნდის წარმმართველი ძალაა, ის ძალზე კარგად გეზავს გუნდის თამაშს, დროულად ცვლის იერიშის მიმართულებას. დაცვაში თამაში - კარტერი უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე სათამაშო ამპლუით ევალება.

ახლა პრეტენდენტებს მივხედოთ. აქამდე ლუკ მაკალისტერს ეროვნულ გუნდში 30 კეპი მოუხვეჭია. მან ყველა დონეზე მოასწრო თამაში. 2007 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ ევროპას მიაშურა, ორი წლის თავზე კი ახალ ზელანდიაში დაბრუნდა. ის ყველაზე რეალური კანდიდატია, ოლონდ იმ შემთხვევაში, თუ ცხრა ნომერზე **ჯიმი ქოუანი** ითამაშებს.

სტივენ დონალდმა ახალი ზელანდიის ნაკრების კვართი ოცდაორჯერ მოირგო. მის თამაშს დამაჯერებელს ვერაფრით დავარქმევდით. ცხადია, დონალდი მოედანზე ბევრ შეცდომას უშვებდა, თუმცა მედია ამის უტრირებას ახდენდა. კარტერის არყოფნაში კარგი იქნებოდა, თუ მგეზავად ის ითამაშებდა, მაგრამ ეს ქომაგებსა და მწვრთნელებს ნერვებს დაანყვეტდა.

აარონ კრადენი ყველაზე დიდი იმედგაცრუებაა. მან შარშან ექვსჯერ ითამაშა ახალი ზელანდიის ნაკრებში და ექვსივეჯერ შეცვლაზე შევიდა. სპეციალისტები კრადენს 2011 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ კარტერის მემკვიდრედ მოიაზრებდნენ, მაგრამ აარონმა ზრდა უეცრად შეწყვიტა. მისი მსოფლიოს თასზე თამაშის პერსპექტივა სქელი ბურუსითაა მოცული.

მაიკ დელენიმ „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში 2009 წლის ბოლოს ითამაშა იტალიის ნაკრებთან მატჩში. ამის მერე ის ტრავმებმა დატანჯეს და ძალიან ბევრი დრო გაუცდა. დელენი ერთ-ერთი ყველაზე მოძრავი, სწრაფი მოთამაშეა. მას შეუძლია, მოულოდნელად იფეთქოს და თითქოს შეჩერებული იერიში ეფექტური, შედეგიანი გახადოს.

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, სენტენცია - შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ - კარტერის შემთხვევაში არ მართლდება. ის თანამედროვე რაგბის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშეა. მის არყოფნაში გრემ ჰენრი, სავარაუდოდ ასეთ კომბინაციას მიანიჭებს უპირატესობას: მგეზავი მაკალისტერი იქნება თუ ცხრა ნომერზე ქოუანი ითამაშებს. არის მეორე ვარიანტიც, მგეზავად თამაში ცხრა ნომერ **პირი სვიპუსაც** შეუძლია. ცხრა ნომერი ამ შემთხვევაშიც ქოუანი უნდა იყოს. თუმცა ეს ვარიანტი უკიდურეს შემთხვევაშია შესაძლებელი.

## ჯონ ონილის ფიქრები

მსოფლიოს თასის კიდევ ერთი ფავორიტი ავსტრალიის ნაკრებია. ამ ქვეყნის რაგბის კავშირის პრეზიდენტ **ჯონ ონილს** მიაჩნია, რომ ფინალში „ვოლაბები" მასპინძელ „ოლ ბლექსს" დაუპირისპირდებიან.

ცხადია, ამ მოსაზრებას არსებობის უფლება აქვს, მით უფრო, რომ ორივე ნაკრები IRB-ს რეიტინგში პირველ-მეორე ადგილზე არიან. ავსტრალიელებმა განვლილი ერთი წლის მანძილზე საკმაოდ სერიოზული პროგრესი განიცადეს და ონილის თქმით, ახალზელანდიელებისთვის ყველაზე საშიშნი არიან.

*„ერთადერთი გუნდი, რომელსაც შეუძლია ახალზელანდიელთა ოცნება (1987 წლის მსოფლიო თასის შემდეგ კიდევ ერთხელ გახდნენ საუკეთესოები) დაამსხვრიოს, ჩვენი ნაკრებია. ჩემი წინასწარმეტყველება ასეთია, ავსტრალიის ნაკრები ფინალში „ოლ ბლექსს" გაეჯიბრება. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ ბოლო წლების პრობლემა - შერკინების სუსტი თამაში, აღმოფხვრილია.*

*ამასთან, „ვოლაბების" შემადგენლობაში უმაღლესი რანგის ბევრი მოთამაშეა, რომლებსაც მატჩის მსვლელობის შეცვლა ძალზე სწრაფად შეუძლიათ. **ქუადე კუპერი, ქართლი ბეილი, ჯეიმზ ოკონორი, დევიდ პოქოქი** და **ვილი გენია,** თავიანთ პოზიციებზე მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეები არიან"* - თქვა ჯონ ონილმა

შეგახსენებთ, რომ ავსტრალიის ნაკრები C ჯგუფში ირლანდიის, იტალიის, რუსეთისა და აშშ-ის ეროვნულ გუნდებს ეთამაშება.

## ბოკებ სესიები დაგეგმა

„ვებ ელისის" თასი ამჟამად სამხრეთ აფრიკაში ბინადრობს. „ბოკეს" თავკაცმა **პიტერ დე ფილიერსმა** ახლახან 51 მორაგბის სია გამოაქვეყნა, რომლებიც სამი ერის გათამაშების დაწყებამდე რამდენჯერმე შეიკრიბებიან. შემადგენლობას თუ თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ სამხრეთ აფრიკას ორი ერთნაირად ძლიერი ნაკრების გამოყვანა შეუძლია, რომლებიც მსოფლიო თასზე მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებენ.

მორაგბეები თავდაპირველად ორი დღით შეიკრიბებიან, 1 და 2 მაისს ისინი დე ფილიერსთან ერთად თეორიულად წაიმეცადინებენ. სესიის მიზანი გუნდის დაცვითი სისტემის დახვეწა და სხვა ტაქტიკურ მონახაზებზე მუშაობა იქნება.

*„სამი ერის გათამაშება, ზე რაგბის ფინალიდან ორ კვირაში იწყება. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, როგორ ფორმაში იქნება იმ დროისთვის თითოეული მოთამაშე. სესიების ბოლოს, იმედი მაქვს ყველა მორაგბეს ნათელი წარმოდგენა ექნება ნაკრების თამაშის ხელწერაზე და მწვრთნელების ხედვაზეც.*

*ალსანიშნავია, რომ სესიების ჩატარების მიზანი არ იქნება იმ მოთამაშეთა შერჩევა, რომლებიც მსოფლიო თასზე ითამაშებენ. ჩვენ მათ მოვამზადებთ საიმისოდ, რომ არჩევის შემთხვევაში სრულად აკმაყოფილებდნენ „ბოკეს" მოთხოვნებს"* - თქვა პიტერ დე ფილიერსმა.

სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ახალ ზელანდიაში „ვებ ელისის" თასის შენარჩუნებისთვის ბრძოლა მოუწევს. რომელ მორაგბეებს დაეკისრებათ ეს ურთულესი მისია, 9 ივლისს გახდება ცნობილი.

### სამხრეთ აფრიკა

შერკინება: **ჯონ სმიტი, ვიქტორ მეტფილდი, ბაკის ბოთა, სხლაკ ბურხერი, ჟუან სმითი, პიერ სპისი, ანდრის ბეკერი, ჰაინრიხ ბროსუ, ბისმარკ დუ პლესი, იანი დუ პლესი, დენი როსუ, ტენდაი მთავარირა, სი ჯეი ფან დერ ლინდე, ხუთრო სტენკამპი, დუეინ ვერმიულენი, ფრანსუა ლოუ, დეონ სტიგმანი, დიუვალ პოთხიტერი, ვილემ ალბერტსი, რაიან კანკოვსკი, კიგან დენიელი, ჩილიბოი რელეპელე, ფილიპ ფან დერ მერვე, ალისტერ ჰარგრეივსი, ბენდის მაკუ, ადრიან სტრაუსი, ვერნერ კრუხერი, კონი ოსტჰუიზენი.**

უკანა ხაზი: **ფური დუ პრი, ჟაკ ფური, ბრაიან ჰაბანა, ჯეი პი პიტერსენი, ადი იაკობსენი, ვინანდ ულიფიე, მორნი სტეინი, იუან დე იონგი, იან დე ფილიერსი, პატრიკ ლამბიე, ჩარლ მაკლოიდი, სერელ პრეტორიუსი, პიტერ გრანტი, ბიორნ ბესონი, ფრანსუა ჰუგარი, ზან კირხნერი, ლუაზი მვოვო, ხიო ეპლონი, რიკი იანუარი, ელტონ იანტისი, ლიონელ მაპოე, ვაილონ მურეი, ოდოვა ნდუნგანე.**


ქუადე კუპერი

სკანდალი



# ენდი პაუელი ფეხბურთის ფანებმა სცემეს

ლონდონის „ვოსფსის" უელსელი მესამეხაზელი **ენდი პაუელი** და მისი ახალგაზრდა თანაგუნდელი **ტიმ პეინი** საწვრთნელ პროცესს დროებით ჩამოაცილეს. მიზეზი დასავლეთ ლონდონის ერთ-ერთ პაბში მომხდარი ინციდენტია. ლონდონური კლუბი შიდა გამოძიებას ატარებს სიმართლის დასადგენად. მომხდარს იძიებს პოლიციაც.

როგორც პაუელი ამტკიცებს, მას თავს დაესხნენ საფეხბურთო კლუბ „ქუინზ პარკ რეინჯერსის" ფანები და სასტიკად გაუსწორდნენ. უელსის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს, სადაც თავზე ათი ნაკერი დაადეს. პაუელი ასე იხსენებს მომხდარს:

*„პეინთან ერთად ლუდს ვწრუპავდით. პაბში ხუთი კაცი შემოვიდა, რომლებსაც საფეხბურთო კლუბ „ქუინზ პარკ რეინჯერსის" კვართები ეცვათ. მათ ჩემი უელსური აქცენტი შენიშნეს. რამდენიმე სახუმარო ფრაზა გავცვალეთ, რის შემდეგაც ისინი თავს დაგვესხნენ.*

*საშინელება იყო. ჩავიკეცე და ხელები სახეზე ავიფარე, მაგრამ ერთმა მათგანმა სკამი კეფაში ჩამარტყა. გონება დავკარგე და თვალი რომ გავახილე, იქაურობა სისხლით იყო მოსვრილი."*

ამ ფაქტთან დაკავშირებით დაკავებული ჯერ არავინაა. მომხდარს ნათელი, შესაძლოა, 20 წლის სტუდენტმა მოჰფინოს, რომელიც ამ ვანდალურ აქტს შეესწრო. მან სოციალური ქსელების მეშვეობით პაუელის ცემის ამსახველი ფოტო გაავრცელა.

*„როგორ დაიწყო კონფლიქტი, არ მინახავს, მაგრამ პაუელს თავიდან სისხლი ისე სდიოდა, რომ იძულებული გავხდი, მაისური გამეხადა და ჭრილობა იმით შემეხვია. მას თავს ოთხი თუ ხუთი კაცი დაესხა. ურტყამდნენ ლუდის კათხებს, სკამებს, მუშტებს. ისინი გიჟები იყვნენ. ასეთი რამ არასდროს მენახა. როცა პაუელი იატაკზე დაეცა, ფეხებით შედგნენ და სანამ პაბს დატოვებდნენ, ერთ-ერთმა სკამი დასცხო"*- იხსენებს ინკოგნიტო მოწმე.

ალსანიშნავია, რომ ეს შემთხვევა ენდი პაუელის კარიერაში პირველი არ არის. ის სმის მოყვარული კაცია და უსიამოვნებაში ხშირად ეხვევა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/8 ფინალი



პირველი გოლი ლუონგოს კარში

# ჩემპიონმა კარი გაიჯახუნა

**ზედიზედ სამი წაგების შემდეგ, სტენლის თასის მფლობელი „ჩიკაგო" ყველამ ჩამოწერა, ჩემპიონმა კი გუშინ სასტიკი დღე აყარა რეგულარულის გამარჯვებულ „ვანკუვერს" და გაიხანგრძლივა სიცოცხლე მიმდინარე პლეი ოფში.**

დასავლეთი

### ჩიკაგო–ვანკუვერი 7:2

**1:1, 4:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 ბიკელი-1 (ფროლიკი-2, ბოლანდი-1), 1:1 სალო-1 (ედლერი-2, რეიმონდი-1), 2:1 ბ. კემპბელი-1 (კეინი-3, კროუფორდი-1), 3:1 კეიტი-2 (ფროლიკი-3, ბოლანდი-2), 4:1 ბოლანდი-1, 5:1 ფროლიკი-1 (ბოლანდი-3, ჰიალმარსონი-1), 6:1 შარპი-2 (კეინი-4, ტეუვზი-3), 7:1 შარპი-3 (მარიან ჰოსა-1, კამპოლი-1), 7:2 დ. სედინი-4 (ერჰოფი-3, კესლერი-3).

**სერია:1:3**

მეოთხე მატჩის წინ ექსპერტებმა ერთხმად ჩამოწერეს მოქმედი ჩემპიონები და მათ უმოკლეს ვადაში ტიტულის დაკარგვა უწინასწარმეტყველეს. აქ საქმე მხოლოდ შედეგებში არ იყო - „კენაქსი" კარგ თამაშს აჩვენებდა, ჩიკაგოელები კი უსუსურად გამოიყურებოდნენ. „ვანკუვერი" ნებისმიერ მომენტში უმატებდა თამაშს და საჭირო მომენტში გაჰქონდა შაიბა. „ჩიკაგოს" პრობლემებს კი წამყვანი მცველის **ბრენტ სიბრუკის** ტრავმაც დაემატა.

სასტარტო წუთებმა სავსებით გაამართლეს ეს პროგნოზები. მართალია, მასპინძლებმა შეძლეს **ბრაიან ბიკელის** რეიდის შემდეგ ანგარიშის სწრაფად გახსნა, მაგრამ იქვე **სამი სალომ** რიცხობრივ უპირატესობაში აღადგინა თანაფარდობა. პერიოდის ბოლომდე კანადურ კლუბს ისევ შეეძლო ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშება: ცისფერი ხაზიდან დარტყმული შაიბა ცარიელი კარიდან გამოიტანა **ნიკლას ჰიალმარსონმა**. მალე თავად „ჩიკაგომ" გაუშვა წინ გასვლის კარგი შანსი: ახლო მანძილიდან **ლუონგომ სტალბერგსა** და **ტეუვზს** მოუგო დუელი.

სამაგიეროდ, მეორე პერიოდში მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა. მასპინძლებმა ათამდე ასპროცენტიანი მომენტი შექმნეს, რომელთანაგაც ოთხი გამოიყენეს. **ბრაიან კემპბელმა** მახვილი კუთხიდან ცხრიანში გაიტანა, ამას მოჰყვა **დანკან კეიტის** ეფექტური გოლი, შემდეგ კი **ბოლანდმა** და **ფროლიკმა** გაამყარეს უპირატესობა. ვერ ვიტყვით, რომ „ვანკუვერი" უბრძოლველად დანებდა - სტუმრები უტევდნენ და მუდმივად საფრთხეს ქმნიდნენ კროუფორდის კართან, მაგრამ „ჩიკაგოს" დაცვა თავგანწირვით თამაშობდა და ხშირად მეკარემდე არ უშვებდა შაიბას.

მესამე პერიოდში გასარკვევი არაფერი დარჩა, თუმცა მოვლენები აქაც მრავლად იყო: **პატრიკ შარპის** დუბლი, ლუონგოს შეცვლა, რამდენიმე ჩხუბი, 90 წუთი საჯარიმო დრო და **დანიელ სედინის** ტრადიციული გოლი - შვედმა ჩაგდებულ მატჩშიც კი იზრუნა პირად სტატისტიკაზე.

„ჩიკაგომ" ამ პლეი ოფში პირველად ითამაშა ჩემპიონის დარი ჰოკეი. ახლა თუ ნაადრევად გავარდება სტენლის თასიდან, იმით მაინც იამაყებს, რომ კარი გაიჯახუნა.

### ლოს ანჯელესი–სან ხოსე 5:6 (ო)

**3:0, 2:5, 0:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 უ. მიტჩელი-1 (ლუისი-1, უესტგარტი-1), 2:0 კლიფორდი-2 (რიჩარდსონი-2, სიმონდსი-1), 3:0 ჰანძუში-1 (პენერი-1, დ. ბრაუნი-1), 4:0 რიჩარდსონი-1, 4:1 მარლო-1 (დ. ბოილი-1, ჯ. ტორნტონი-1), 4:2 ქლოუ-1 (კუტური-1, დემერსი-1), 4:3 კუტური-2 (ი. უაიტი-2, ვალინი-1), 5:3 რ. სმიტი-1 (სტოლი-1, ჯ. ჯონსონი-2), 5:4 ქლოუ-2 (დ. ბოილი-2, ჰიტლი-1), 5:5 პაველსკი-2 (ი. უაიტი-3, ტ. მიტჩელი-1), 5:6 სეტოგუჩი-1 (მარლო-1, ვალინი-2).

**სერია: 1-2**

კალიფორნიულ დერბიში მოვლენები ძალიან საინტერესოდ ვითარდება. თანაც ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი სერია ამ გათამაშებაში. მესამე მატჩი ნებისმიერი გემოვნების გულშემატკივარს დააკმაყოფილებდა.

მატჩის 24-ე წუთამდე „მეფეების" პრობლემებს არაფერი მოასწავებდა. „ლოს ანჯელესს" დიდი უპირატესობა არ ჰქონია, მაგრამ მომენტების რეალიზაცია უმაღლეს დონეზე იყო. მესამე წუთზე **უილი მიტჩელმა** და **კაილ კლიფორდმა** ორი შაიბა გაიტანეს და წინ გაიყვანეს „კინგზი", მე-19 წუთზე **ჰანძუშმა** შეაგდო თავისი პირველი გოლი პლეი ოფში.

მეორე პერიოდის პირველივე წუთზე **ბრედ რიჩარდსონმა** გამანადგურებელი გახადა ანგარიში - 4:0. ზუსტად ასეთი სხვაობა იყო ამ გუნდების წინა შეხვედრაში და მაშინ „ლოს ანჯელესმა" შეინარჩუნა კომფორტული უპირატესობა. მეორედ ამის გაკეთება „მეფეებმა" ვერ შეძლეს - „სან ხოსემ" სერიოზულად იზრუნა თამაშის შემოტრიალებაზე.

გაამართლა მეკარე **ანტი ნიემის ანტერო ნიიტიმიაკით** შეცვლამ. სტუმრებმა დამაჯერებლობა იგრძნეს და წინ წავიდნენ. ჯერ **პატრიკ მარლომ** გაუჩინა თავის გუნდს იმედი, **რაიან ქლოუმ** კიდევ უფრო შეამცირა სხვაობა, ხოლო სეზონის საუკეთესო დებიუტანტის პრიზის მთავარმა ნომინანტმა **ლოგან კუტურმა** ჩაგდების წერტილიდან გაიტანა. ზედიზედ სამი შაიბა და მასპინძლების უპირატესობისგან თითქმის არაფერი დარჩა.

**რაიან სმიტის** გოლმა თითქოს საბოლოო უპირატესობა მოუტანა „ლოს ანჯელესს", მაგრამ ქლოუმ და **ჯო პაველსკიმ** საბოლოო წერტილი დაუსვეს მეორე პერიოდს - 5:5. შემდეგი გოლი მაყურებელმა მხოლოდ ოვერტაიმში იხილა. პატრიკ მარლო მარცხენა ფლანგიდან შევიდა მეტოქის ზონაში, შორეულ კუთხეში **დევინ სეტოგუჩი** მონახა და ამ უკანასკნელმა **ჯონათან კუიკს** გაუტანა. ფანტასტიკური ფსიქოლოგიური გამძლეობისა და ხასიათის სიმტკიცის წყალობით „ზვიგენები" წინ გავიდნენ სერიაში.

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# მარტო კარმელო საკმარისი არ არის

**პლეი ოფის კიდევ ორ სერიაში გამოიკვეთა ფავორიტების უპირატესობა: დიდი გაჭირვებით, მაგრამ თავიანთ შეხვედრებს იგებენ „ბოსტონი" და „დალასი".**

აღმოსავლეთი

### ბოსტონი–ნიუ იორკი 96:93

**23:21, 21:24, 30:22, 22:26**

**ბ:** რონდო (30+7 პასი), პირსი (20+5 მოხსნა), ალენი (18), გარნეტი (12+10 მოხსნა+6 პასი), გრინი (6), დევისი (4+6 მოხსნა), უესტი (4), ჯ. ო'ნილი (2), კრსტიჩი.

**ნ-ი:** ენტონი (42+17 მოხსნა+6 პასი), დუგლასი (14+7 მოხსნა), ჯეფრიზი (10), ტურიაფი (6), შ. უილიამსი (6), სტაუდმაიერი (4+5 მოხსნა), ფილდსი (4), მეისონი (3), უოკერი (2+8 მოხსნა), კარტერი (2).

**სერია: 2-0**

სერიის პირველი მატჩის შემდეგ „ნიქსმა" დაკარგა თავისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა - გამთამაშებელი **ჩონსი ბილაპსი**, რის გამოც ყველას ეგონა, რომ „ბოსტონი" მეორე შეხვედრაში უფრო იოლად გავიდოდა ფონს, ხოლო, როცა გუშინდელი მატჩის მეორე მეოთხედში სტუმრების ლიდერმა **ამარე სტაუდმაიერმა** ზურგის არეში იგრძნო ტკივილი და თამაშს გამოეთიშა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ „ნიქსი" განადგურებას ვერ ასცდებოდა.

„ნიუ იორკმა" კარგი განწყობით დაიწყო შეხვედრა, მაგრამ უფრო უკეთ **რაჯონ რონდო** გამოიყურებოდა. „კელტების" პლეიმეიკერმა პირველ მეოთხედში ჯამური 23 ქულიდან 14 თავის ანგარიშზე მიითვალა. **კევინ გარნეტმა** ამას 4 ქულა დაუმატა, **რეი ალენმა** - 5. სხვას მასპინძლების რიგებიდან ქულა არ დაუგროვებია, მათ შორის არც **პოლ პირსს**.

დიდ შესვენებაზე ლიდერის რანგში „დასუსტებული „ნიქსი" გავიდა, თუმცა ეს უპირატესობა სიმბოლური იყო. მეორე ნახევარში მასპინძლებისგან თამაშის მომატებასა და სტუმრებისგან უფრო მეტ შეცდომას ელოდნენ.

საბოლოოდ, არც ერთი მოხდა და არც მეორე. „სელტიქსი" დაახლოებით ისე თამაშობდა, როგორც პირველ ტაიმში, მარტო დარჩენილი **კარმელო ენტონი** კი სულ უფრო ხშირად და მეტს აგდებდა. გარდა ამისა, პასების დარიგებასა და მოხსნებსაც ასწრებდა. საფინალო სირენისთვის მის ანგარიშზე პლეი ოფის ახალი პირადი რეკორდი იყო მოხსნების რიცხვით და რეკორდის გამეორება ქულების რაოდენობით.

მაგრამ „ნიქსის" ბრწყინვალე ფორვარდმა სასწაული ვერ მოახდინა. საფინალო სირენამდე 19 წამით ადრე **ჯარედ ჯეფრიზმა** ფარქვეშიდან ჩააგდო და სტუმრებს მორიგი ლიდერობა მოუტანა - 93:92. და აქ თავისი ხმამაღალი სიტყვა თქვა გარნეტმა. 13 წამით ადრე მან ურთულესი ორქულიანი ჩააგდო ჯეფრიზის აქტიური მეურვეობის მიუხედავად, მეტოქის საპასუხო შეტევისას კი საკუთარ სამწამიანში გადამწყვეტი ჩაჭრა გააკეთა. ამ შემთხვევაშიც დაზარალებული ჯეფრიზი აღმოჩნდა.

მატჩის შემდეგ „ნიუ იორკის" დამრიგებელმა **მაიკ დ'ენტონიმ** განაცხადა, რომ აქამდე არასოდეს ყოფილა ასე ამაყი საკუთარი შეგირდების გამო, „ბოსტონის" მწვრთნელი **დოკ რივერსი** კი მოკლე ფრაზით შემოიფარგლა: „ჩვენ გაგვიმართლა".

### ორლანდო–ატლანტა 88:82

**16:22, 32:20, 17:12, 23:28**

**ო:** ჰოვარდი (33+19 მოხსნა), ნელსონი (13+8 მოხსნა), თურქოგლუ (10), ბასი (8+7 მოხსნა), ანდერსონი (8+6 მოხსნა), ჯ. რიჩარდსონი (8+6 მოხსნა), რედიკი (6), არენასი (2), კ. რიჩარდსონი.

**ა:** კროუფორდი (25), სმიტი (17+6 მოხსნა), ჯონსონი (14+7 მოხსნა+5 პასი), ჰორფორდი (10+10 მოხსნა), ჰაინრიხი (9), უილიამსი (4), პაჩულია (2+8 მოხსნა), კოლინზი (1), პაუელი, არმსტრონგი, უილკინსი.

**სერია: 1-1**

დასავლეთი

### დალასი–პორტლენდი 101:89

**22:24, 28:28, 23:20, 28:17**

**დ:** ნოვიცკი (33+7 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (21+5 მოხსნა), კიდი (18+8 პასი), ტერი (10), ბარეა (6), ტ. ჩენდლერი (4+10 მოხსნა), ჰეივუდი (2+5 მოხსნა), სტივენსონი (1), კ. ბრიუერი, კარდინალი.

**პ:** ოლდრიჯი (24+10 მოხსნა+3 დაფარება), ა. მილერი (18+8 პასი+6 მოხსნა), ჯ. უოლასი (18+ 7 მოხსნა+6 პასი), მეტიუზი (13), ბატუმი (10), კემბი (5+8 მოხსნა), ფერნანდესი (1), როი, მილსი.

**სერია: 2-0**

„პორტლენდს" სერიის მეორე მატჩში ძალა და რესურსი არ ეყო ბოლომდე საბრძოლველად. ოთხიდან სამი მეოთხედი სტუმრები ღირსეულად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი უდიდესი თავდადებისა და ლიდერებზე ზედმეტი ზეწოლის ფასად დაუჯდათ. ფაქტობრივად, ბლეიზერსი" იძულებული იყო, ექვსი მოთამაშით გასულიყო ფონს. „პორტლენდის" სათადარიგოებს თავიანთი გუნდისთვის თითქმის არანაირი სარგებელი არ მოუტანიათ - გამონაკლისი მხოლოდ **ნიკოლა ბატუმი** იყო, რომელიც სოლიდურად გამოიყურებოდა. **რუდი ფერნანდესმა** მოედანზე 11 წუთი დაჰყო და თამაშიდან ვერც ერთხელ ვერ ჩააგდო, **ბრენდონ როიმ** უფრო ნაკლები (8 წუთი) ითამაშა და მასაც არ ჩაუგდია (ერთი შეცდომა თამაშიდან და ორი - საჯარიმოს ხაზიდან). **პატრიკ მისლმა** მისთვის განკუთვნილ 4 წუთში, ბუნებრივია, ბევრი ვერაფერი მოასწრო, ცოტა ხნის წინ გაფორმებულ ცენტრს **ერლ ბარონს** კი საერთოდ არ მიეცა თამაშის საშუალება.

საბოლოოდ, „დალასის" სათადარიგოთა სკამმა სტუმრების რეზერვისტები 39:11 დაამარცხა. მაგრამ საქმე მარტო ციფრებში არ არის. „მავერიქსის" სკამზე ისხდნენ კალათბურთელები, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს საბოლოო შედეგის დაფიქსირებაში. მაგალითად, **ჯეისონ ტერიმ** ტრადიციულად სიმწვავე შემატა ტეხასელების შეტევებს, **ხუან ხოსე ბარეამ** რამდენიმე კარგი გადაცემა შეასრულა... აღარაფერს ვამბობთ **პეჟა სტოიაკოვიჩზე**, რომელმაც მეოთხე მეოთხედის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში ორი სამქულიანი მოათავსა კალათში.

მაგრამ ბოლო წუთების გმირი მაინც **დირკ ნოვიცკი** გახდა. ბოლო მეოთხედში მან 14 ქულა დააგროვა და საფინალო სირენამდე წუთითა და 55 წამით ადრე ჩააგდო ბურთი, რომელმაც „პორტლენდს" საბოლოოდ მოუსპო თამაშის გადარჩენის შანსი.



კარმელო ვერ შეაჩერეს

# ოდომი საუკეთესო რეზერვისტია



ლამარ ოდომი პრიზით

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ რიგით მეორე ინდივიდუალური პრიზის მფლობელი გამოავლინა. ერთი დღით ადრე ლიგის საუკეთესო დამცველად აღიარეს „ორლანდო მეჯიქის" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი**, ახლა კი გაირკვა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მეექვსე მოთამაშე.

საუკეთესო რეზერვისტი გახდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ფორვარდი **ლამარ ოდომი**, რომლის საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები იყო - 14.4 ქულა და 8.7 მოხსნა. გარდა ამისა, 31 წლის ვეტერანმა 12-წლიანი კარიერის პირადი რეკორდი დაამყარა - თამაშიდან ტყორცნების 53 პროცენტი მოათავსა კალათში.

ამ პრიზისთვის ბრძოლაში ოდომის მთავარი კონკურენტი იყო ჯილდოს შარშანდელი მფლობელი, „დალასის" მცველი **ჯეისონ ტერი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ტურნირები

# ყოფილი პირველის დაბრუნება


ხუან კარლოს ფერერო

თანდათან ძალას იკრებს ამ კვირას მიმდინარე სამი ტურნირი. როგორც უკვე ვწერდით, მამაკაცები ბარსელონაში არკვევენ ურთიერთობას, ქალები კი შტუტგარტსა და ფესში არიან გადანაწილებულნი, თუმცა გერმანიაში გაცილებით ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი.

ბარსელონაში მეორე სათამაშო დღეს მთავარი მოვლენა იყო კორტზე მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის **ხუან კარლოს ფერეროს** დაბრუნება. ესპანელმა შარშანდელი ამერიკის ღია პირველობის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა. მაშინ მან ტრავმა მიიღო და მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო დიდი ხანი იმკურნალა.

ბარსელონაში ესპანელს ერთხელ აქვს მოგებული, ორჯერ კი ფინალში ითამაშა. ამჯერად მან სატურნირო სვლა ბელგიელ **ქსავიე მალისეზე** გამარჯვებით დაიწყო. ხუან კარლოსმა ამისთვის ცხრიდან ოთხი ბრეიკ-პოინტის გამოყენება იკმარა.

გაუმართლა იაპონელ **კეი ნიშიკორის**, რომელსაც მხოლოდ ერთი სეტის თამაშმა მოუწია ესპანელი **პეპე რიბას** წინააღმდეგ - პირველი პარტიის შემდეგ ესპანელმა მატჩის გაგრძელება ვერ შეძლო. ასევე აღსანიშნავია **რიშარ გასკეს** გამარჯვება არგენტინელ **ხუან იგნასიო ჩელაზე**. ეს იყო ნამდვილი ბრძოლა, რომელიც ორსაათ-ნახევარი გაგრძელდა და ორივე ჩოგბურთელმა ქულების ერთნაირი რაოდენობა (105) აიღო.

ყურადღება უნდა მივაქციოთ კანადელი **მილოშ რაონიჩის** მიღწევას. ამ სეზონის აღმოჩენა მხოლოდ ახლა სწავლობს გრუნტზე თამაშს, ამიტომაც ჩეხი **რადეკ შტეპანეკის** ძლევა მისთვის უდავო წარმატებაა.

ბარსელონაში მეორე წრის ორი მატჩის გამართვაც მოასწრეს. ერთ-ერთში ესპანელმა **ნიკოლას ალმაგრომ** თავისი თანამემამულე **პაბლო ანდუხარი** დაამარცხა და ახლა ერთი გამარჯვება სჭირდება მომავალი ორშაბათიდან რეიტინგის საუკეთესო ათეულში მოსახვედრად. ასევე მეორე წრის მატჩი მოიგო **გაელ მონფილსმა**, რომელიც ორთვენახევრიანი შესვენების შემდეგ მხოლოდ მეორე ტურნირს თამაშობს. ფრანგმა შინ გაამგზავრა ჰოლანდიელი **რობინ ჰაასე**.

■ ■ ■

შტუტგარტში ფანტასტიკური შედეგი აჩვენა გერმანელმა **საბინ ლისიცკიმ**. სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვას** წინააღმდეგ მას 14 (!) ეისი დაუგროვდა. ამ მაჩვენებელს საბინმა თავის მშობლიურ ქალაქში კიდევ ხუთი გამოყენებული ბრეიკ-პოინტი (16-დან) დაუმატა და ამ ყველაფრის წყალობით უპრობლემოდ გავიდა შემდეგ ეტაპზე.

ადგილობრივი პუბლიკა კიდევ ერთმა გერმანელმა **ანდრეა პეტკოვიჩმა** გაახარა, რომელმაც ნაკლებად დამაჯერებლად, მაგრამ მაინც დაამარცხა სამ სეტში **ტამირა პაჩეკი**. მესამე გერმანელი **იულია გორჯესი** კი ერთი თავით მაღლა იდგა **მიხაელა კრაიჩეკზე**. 63-წუთიან მატჩში მასპინძელმა ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მისცა ჰოლანდიელ ჩოგბურთელს.

**დანიელა ჰანტუხოვამ** მოუგო რუმინელ **ალექსანდრა დულგერუს**. გარდა ამისა, ტურნირში ჩაება შარშანდელი ფინალისტი **სამანტა სტოსური**. მეხუთე ნომრად განთესილმა ავსტრალიელმა მხოლოდ 80 წუთი მოანდომა **მარია ხოსე მარტინეს სანჩესის** დამარცხებას.

■ ■ ■

ფესში მეორე დღეს მოუწია ტურნირში ჩაბმამ პირველ ნომრად განთესილ **არავან რეზაის**, რომელსაც სამივე სეტის თამაში დასჭირდა **არანჩა რუსის** დასამარცხებლად. მეტოქეებმა კორტზე ორსაათ-ნახევარი დაჰყვეს და ერთად ჯამში 35 (!) ბრეიკ-პოინტი მოიპოვეს. რეალიზაციის უკეთესი პროცენტი ფრანგს აღმოაჩნდა და ამის წყალობით შემდეგ წრეში რეზაი გავიდა.

ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვება **დინარა საფინამ** მოიპოვა, რომელმაც ამერიკელ **ჯილ კრეიბასს** მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო 51 წუთის განმავლობაში. რუსი ჩოგბურთელის ენთუზიაზმი გასაგებია - ის თავად არაერთხელ დაამარცხეს ასე სასტიკად და ახლა საფინას ბევრი რამ თავიდან აქვს დასამტკიცებელი.

**ATP**

**Open Sabadell Atlantico**

ბარსელონა (ესპანეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 1 550 000 ევრო

**I წრე**

**ივან დოდიგი (ხორ)**-ვენსან მილო (საფ) 6:2, 6:3; **დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 4:6, 6:1, 2:0 სტარაჩეს უარი; **კეი ნიშიკორი (იაპ)**-პეპე რიბა (ესპ) 6:2 რიბას უარი; **რიშარ გასკე (საფ, 9)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 2:6, 7:6, 6:4; **სიმონ გროილი (გერ)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:4, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-მიხაილ კუკუშკინი (ყაზ) 6:2, 6:7, 6:4; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:4, 4:6, 6:2; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-ქსავიე მალისე (ბელ) 6:4, 6:2; **მილოშ რაონიჩი (კან, 15)**-რადეკ შტეპანეკი 6:4, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 10) 6:4, 7:6.

**II წრე**

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 8)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 7:5, 7:6; **გაელ მონფილსი (საფ, 7)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 3:6, 7:6, 6:2.

**WTA**

**Porsche Tennis Grand Prix**

შტუტგარტი (გერმანია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 721 000 დოლარი

**სამანტა სტოსური (ავსტრა, 5)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 7:5, 6:1; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 7)**-ბეატრის გარსია ვიდაგანი (ესპ) 6:1, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-ჰეიმი ჰემპტონი (აშშ) 6:0, 6:1; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 3:6, 6:2, 6:2; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:3, 6:4; **ჯულია გორჯესი (გერ)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:3, 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ) 7:5, 6:3; **ჟუჟანა კუკოვა (სლოვაკ)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს) 1:6, 7:5, 4:4 ჩაკვეტაძის უარი; **საბინ ლისიცკი (გერ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 7:5, 7:6(2).

**Grand Prix De SAR**

ფესი (მაროკო). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**არავან რეზაი (საფ, 1)**-არანჩა რუსი (ჰოლ) 4:6, 6:4, 6:3; **იაროსლავა შვედოვა (ყაზ, 2)**-ირინა კამელია ბეგუ (რუმ) 6:3, 6:2; **დინარა საფინა (რუს)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:1, 6:0; **ალბერტა ბრიანტი (იტა)**-ლაურა პოს-ტიო (ესპ) 7:5, 6:2; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)**-სილვია სოლერ ესპინოსა (ესპ) 6:3, 6:3; **ანასტასია პივოვაროვა (რუს)**-ფატიმა ელ ალამი (მარ) 6:3, 7:6(2); **კრისტინა პლიშკოვა (ჩეხ)**-რენატა ვორაკოვა (ჩეხ) 6:7(5), 7:5, 6:3; **ელენი დანილიდუ (საბ)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 2:6, 7:6(8), 6:4; **ნადია ლალამი (მარ)**-მისაკი დოი (იაპ) 6:2, 7:5.

# კიმი როლან გაროსს ასწრებს

პარგი ამბები შეიტყვეს ბელგიელი **კიმ კაისტერსის** გულშემატკივრებმა. ექიმების პესიმისტური პროგნოზების მიუხედავად, მსოფლიოს მეორე ჩოგანის გამოჯანმრთელების პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ კლაისტერსმა თავისი ბიძაშვილის ქორწილში დაიზიანა ფეხი და გარკვეული პერიოდი ყავარჯნებით დადიოდა. გუშინ კი მისმა ფიზიოთერაპევტმა **სემ ვერსელჯერსმა** განაცხადა - კიმს ყველა შანსი აქვს იმისთვის, რომ საფრანგეთის ღია პირველობამდე მოასწროს მწყობრში ჩადგომა და როლან გაროსზე თამაში.

*„კიმი უკვე ყავარჯნების გარეშე გადაადგილდება. მას კიდევ ოთხი-ექვსი კვირა დასჭირდება ყველა პროცედურის დასასრულებლად.*

*ასე რომ, თუ ის 30 დღის შემდეგ შეუდგება კორტზე ვარჯიშს, ორი კვირა ექნება როლან გაროსისთვის მოსამზადებლად“*, - ამბობს ვერსელჯერსი.

■ ■ ■

კლაისტერსისგან განსხვავებით, გაურკვეველ სიტუაციაშია მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი ჩოგანი, ამერიკელი **ვენუს უილიამსი**. მან ჯერ არ იცის, როდის შეძლებს კარიერის განახლებას.

შეგახსენებთ, რომ უფროსი უილიამსი ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ არ გასულა კორტზე. იქ მან ბარძაყის ტრავმა მიიღო და დღემდე ვერ მოირჩინა დაზიანება.

*„კორტზე დაბრუნების ზუსტ თარიღს ვერ ვიტყვი. მოუთმენლად ველი ამ მომენტს და ყველაფერს ვაკეთებ, რაც ჩემზეა დამოკიდებული. მომენატრა ოფიციალურ ტურნირებზე გამოსვლა. მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია - კორტზე მხოლოდ ბოლომდე გამოჯანმრთელებული დავბრუნდები, რადგან არ მინდა ტრავმის რეციდივის დაშვება“*, - განაცხადა ვენუსმა.

■ ■ ■

ამ დღეებში კიდევ ერთი ჩოგბურთელის ტრავმა მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში. ფედერაციის თასის მატჩისას მუცლის კუნთი დაიზიანა **ანა ივანოვიჩმა**. თუმცა სერბეთის ნაკრების ექიმმა **ზვიეზდან მილინკოვიჩმა** განაცხადა, რომ ტრავმა სერიოზული არ არის და ამ კვირის ბოლოსთვის ივანოვიჩი მწყობრში იქნება.

როგორც იცით, გასულ კვირას სერბეთი მსოფლიო ჯგუფში გასასვლელად სლოვაკეთს ხვდებოდა და დაძაბულ ბრძოლაში 3:2 გაიმარჯვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

TV პროგრამა

**21 აპრილი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ესპანეთის თასი. ფინალი. რეალი-ბარსელონა.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ნაიმეგენი-აიაქსი.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა-ტიგრე.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.
21:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 შვეიცარიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ჰანოვერი (LIVE).
00:30 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-უდინეზე

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი ვალენსია-ვილიარეალი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ოკლაჰომა-დენვერი. II მატჩი.
14:00 ფეხბურთი. ბარსელონა-რეალი. ფილმი.
14:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/16 ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ოკლაჰომა-დენვერი. II მატჩი.
06:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. პორტლენდი-დალასი. III მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

22:25 გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ჰანოვერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

21:55 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. ფლენსბურგი-სიუდად რეალი. პირველი მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

20:05 ჰოკეი. ევროტური. ჩეხეთი-ფინეთი. ჩეხეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

03:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. ინდიანა-ჩიკაგო. III მატჩი (LIVE).

**SPORT+**

21:20 ჰოკეი. ევროტური. შვედეთი-რუსეთი. ჩეხეთი (LIVE).

**EUROSPORT**

16:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VI დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VI დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

13:30 ავსტრალიური ფეხბურთი. ბრისბენი-სტ. კილდა (LIVE).
16:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
23:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VI დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| ჩელსი-ბირმინგემი | 3:1 |
| ტოტენჰემი-არსენალი | 3:3 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| მილანი-პალერმო | 2:2 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ბარსელონა-რეალი | 0:0 დ.დ. 0:1 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ალენი-რეგენსბურგი | 2:0 |
| ჰანზა-ზანდჰაუზენი | 0:1 |
| ოფენბახი-შტუტგარტი A | 2:2 |
| ერფურტი-ბაიერნი A | 2:0 |
| უნტერჰახინგი-ჰაიდენჰაიმი | 1:1 |
| აალენი-ვეენი | 1:2 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ზონენჰოფი-შტ. კიკერსი | 0:3 |
| ფიურტი A-ფრაიბურგი A | 2:4 |
| კარლსრუე A-კესელი | 0:0 |
| მემინგენი-ჰოფენჰაიმი A | 0:3 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ანჟერსი-პსჟ | 1:3 |
| **ბელგია** | |
| **პლეი ოფი** | |
| გენტი-ანდერლეხტი | 1:1 |
| გენკი-ბრიუგე | 3:1 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბორინაჟი-სტანდარდი (3) | 0:1 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ბენფიკა-პორტუ | 1:3 (2:0) |
| **შოტლანდია** | |
| კილმარნოკი-სელტიკი | 0:4 |
| **დანია** | |
| სილკებორგი-სონდერიისკი | 1:0 |
| ოლბორგი-რანდერსი | 4:1 |
| **შვედეთი** | |
| კალმარი-ელფსბორგი | 2:1 |
| მალმიო-მიალბიუ | 1:0 |
| ნორჩოპინგი-ჰალმსტადი | 2:0 |
| **ავსტრიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| რიდი-შტურმი | 2:1 |
| რაპიდი-მატერსბურგი | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| გრასჰოპერსი-სტ. გალენი | 1:3 |
| ლუცერნი-თუნი | 0:1 |
| ქსამაქსი-ბაზელი | 2:2 |
| **ჩელენჯლიგა** | |
| სერვეტი-ვადუცი | 3:1 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| გაზიანთეფი-ბეშიქთაში | 2:2 (0:3) |
| **კვიპროსის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩები** | |
| აპოლონი-ანორთოსისი | 1:1 |
| ომონია-ეთნიკოსი | 1:0 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| კრომერიცი-ბრნო | 1:0 (2:1) |
| პლზენი-ბოლესლავი | 1:2 (1:2) |
| **რუსეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| დინამო-როსტოვი | 1:2 |
| სპარტაკი-კრასნოდარი | 2:1 |
| ზენიტი-ცსკა | 0:2 |
| **პოლონეთი** | |
| იაგელონია-გურნიკი | 2:0 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ლეგია-ლეჩია | 4:0 (1:0) |
| **ხორვატიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| სლავენი-დინამო | 0:1 (1:4) |
| ვარტექსი-სიბალია | 3:0 (0:1) |
| **სერბეთი** | |
| სპარტაკი-ოფკ | 3:1 |
| ბორაცი-რადი | 0:0 |
| ბორკა-ჩუკარიჩკი | 3:1 |
| იაგოდინა-მეტალაკი | 0:2 |
| იავორი-ინდიია | 2:1 |
| სარტიდი-პარტიზანი | 1:4 |
| ვოივოდინა-ჰაიდუკი | 2:1 |
| ცრვენა ზვეზდა-სლობოდა | 5:1 |
| **სლოვენიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩები** | |
| ინტერბლოკი-დომჟალე | 0:0 |
| კოპერი-მარიბორი | 1:1 |
| **უნგრეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| კაპოშვარი-ვიდეოტონი | 0:1 |
| **რუმინეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| გლორია-დინამო | 0:2 |
| **ბულგარეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ცსკა-ლიტექსი | 2:1 |
| **ისრაელის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ჰაპოელი (რ)-ირონი | 0:1 |
| მაკაბი (ნ)-აშდოდი | 1:1 პენ. 4:1 |
| ჰაპოელი (ჰ)-მაკაბი (ჰ) | 1:3 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ალ ჯაზირა-ალ ჰილალი | 2:3 |
| ალ გაფარა-სეპაჰანი | 1:0 |
| პერსეპოლისი-ბუნიოდკორი | 1:3 |
| ალ იტიჰადი-ალ ვაჰდა | 0:0 |
| მელბურნი-ტიანიინი | 2:1 |
| გამბა-ჯეჯუ | 3:1 |
| შანდონგი-არემა | 5:0 |
| ჟოენბუკი-სერეზო | 1:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| **Under 17** | |
| მექსიკა-ხორვატია | 0:1 |
| იტალია-ისრაელი | 2:1 |
| სლოვენია-რუსეთი | 2:1 |
| **Under 19** | |
| უკრაინა-ესტონეთი | 1:0 |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 1:0 |
| პორტუგალია-რუსეთი | 3:1 |
| **ბალტიის ლიგა** | |
| ლევადია-შიაულიაი | 0:1 |
| ეკრანასი-სკონტო | 1:3 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| აეკ-პანიონიოსი | 76:68 |
| არისი-იკაროსი | 97:74 |
| ირაკლისი-ოლიმპიაკოსი | 44:83 |
| კავალა-პაოკ | 68:73 |
| კოლოსოსი-ილისიაკოსი | 49:58 |
| პანათინაიკოსი-პანელინიოსი | 112:42 |
| პერისტერი-მარუსი | 75:56 |
| **იტალია** | |
| სიენა-ბრინდიზი | 100:73 |
| **თურქეთი** | |
| ოიაქი-ეფესი | 66:110 |
| ალიაგა-ტ. ტელეკომი | 73:71 |
| ოლინი-პინარი | 71:85 |
| ანტალია-ერდემი | 74:85 |
| ბანვითი-ტრაბზონი | 86:75 |
| ბორნოვა-მერსინი | 60:73 |
| ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 83:80 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბარსელონა** | |
| **ხირალდო**-რამოს ვინოლასი | 6:3, 4:6, 6:3 |
| **ნიშიკორი**-მაშადო | 6:1, 6:4 |
| **ფერერო**-ზვერევი | 6:4, 7:5 |
| მონაკო-**ვანოცი** | 3:6, 2:6 |
| **მონტანიესი**-პაირე | 6:7, 6:1, 6:4 |
| **ფერერი**-ბერლოკი | 6:2, 6:2 |
| **ჰანესკუ**-ანდერსონი | 6:4, 6:4 |
| **ნადალი**-ხიმენო ტრავერო | 6:1, 6:1 |
| გარსია ლოპესი-**ფ. ლოპესი** | 7:6, 3:6, 4:6 |
| **გასკე**-კავჩიჩი | 6:3, 4:6, 6:2 |
| **მელცერი**-გრანოლერსი | 6:1, 6:3 |
| **დავიდენკო**-როჟე ვასელენი | 6:2, 7:6 |
| სიოდერლინგი-**დოდიგი** | 2:6, 4:6 |
| გროილი-**რაონიჩი** | 3:6, 6:4, 6:7 |
| **WTA. ფესი** | |
| **ჰალეპი**-კუდრიავცევა | 6:2, 6:4 |
| **დომინგეს ლინო**-ოუდინი | 6:4, 1:6, 2:6 |
| **ჰერცოგი**-სხეპერსი | 6:7, 7:6, 6:2 |
| **არნი**-პლიშკოვა | 6:4, 6:4 |
| **კორნე**-ჰლავაჩკოვა | 6:3, 6:3 |
| რეზაი-**ლალამი** | 6:2, 6:7, 4:6 |
| **ფლიპკენსი**-დანილიდუ | 6:4, 7:5 |
| **WTA. შტუტგარტი** | |
| **ზვონარევა**-პავლიუჩენკოვა | 3:6, 6:4, 6:2 |
| **ბაროისი**-ბარტოლი | 6:4, 6:2 |
| **ა. რადვანსკა**-სკიავონე | 6:1, 6:3 |
| **სტოსური**-ჰანტუხოვა | 6:4, 2:6, 6:4 |
| ნა ოი-**ლისიცკი** | 4:6, 5:7 |
| **ვოზნიაცკი**-კუკოვა | 6:1, 6:2 |
| **პეტკოვიჩი**-იანკოვიჩი | 3:6, 6:1, 6:3 |
| **გორჯესი**-აზარენკა | 4:6 უარი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი. ინტერვიუ მაიკ ტაისონთან

# არ ღირს ჩემი პროვოცირება

**ლეგენდარული მაიკ ტაისონის ნებისმიერი ინტერვიუ ძალიან საინტერესოა. ამჯერად მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს ჟურნალ Fight Magazine-ის ჟურნალისტი შეხვდა და „რკინის მაიკს" ახალი ცხოვრების შესახებ მოაყოლა.**

**- მაიკ, როგორ მიდის დღეს თქვენი საქმეები? რამდენიმე წლის წინ თავი ბანკროტად გამოაცხადეთ. ეს სიმართლეა?**

- ყველაფერი ნორმალურადაა. თუ ფულზე ლაპარაკობთ, ადრე მეტი ფინანსური შესაძლებლობა მქონდა, მაგრამ ბედნიერი არ ვყოფილვარ. ახლა ჩემი ცხოვრება შეიცვალა, მაგრამ ფულის გამო არა, უბრალოდ სხვა ადამიანი ვარ. წლების განმავლობაში ვიცვლებით, მე კი სხვებზე მეტად მჭირდებოდა ეს.

**- ისე ჩანს, რომ თქვენი ცხოვრება უფრო მშვიდი გახდა, ვიდრე ეს რამდენიმე წლის წინ იყო...**

- დიახ, როგორც ხედავთ მშვიდად ვარ, ხალხს თავს არ ვესხმი. მაგრამ მაინც გირჩევთ - არ ღირს ჩემი პროვოცირება. მე თავისუფლების ქანდაკება ან ეიფელის კოშკი არ ვარ, ჩემთან ფოტოს გადაღება რომ მოისურვო. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება განსხვავებული აზრი მქონდეს.

**- მაგრამ თქვენ აღარ ესხმით თავს ფოტოგრაფებს. ბოლოს ერთ პაპარაცის არ გაუმართლა ლოს ანჯელესის აეროპორტში...**

- ის უწყინარი ინციდენტი იყო... მე რომ სერიოზულად მომეკიდა საქმისთვის ხელი, მისთვის ყველაფერი სავალალოდ დასრულდებოდა. სინამდვილეში, გულის სიღრმეში მესმის მისი, მაგრამ მეც უნდა გამიგოთ.

**- ამჟამად კინოში მუშაობა დაიწყეთ. ახალმა პროფესიამ შეიძლება ისეთივე ადგილი დაიკავოს თქვენს ცხოვრებაში, როგორიც კრივს ეკავა?**

- სულ ცოტა ხნის წინ დავასრულე გადაღებები ერთ-ერთ ფილმში. ძალიან მომეწონა! თუ ყველაფერი ისე წავა როგორც საჭიროა, მაშინ ნიუ იორკში გავემგზავრები, სადაც ფილმის - „ხალხი შავებში" გაგრძელებას იღებენ.

პირველად ფილმში მონაწილეობა იმის გამო გადავწყვიტე, რომ ნარკოტიკის ფული მეშოვა. ვერც ვიფიქრებდი, რომ მაშინ ასე წარმატებით დასრულდებოდა ყველაფერი. ამას თვით ფილმის შემქმნელებიც არ ვარაუდობდნენ. სხვადასხვა აზრია იმის შესახებ, როგორი მსახიობი დადგა ჩემგან. პირადად მეუბნებიან, რომ კარგად გამომდის. როგორც ჩანს, რეჟისორებს სჭირდებათ, რომ მათ ფილმებში ტაისონმა ითამაშოს, მე კი ეს ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებაში მეხმარება.

**- რომელი როლის თამაშზე ოცნებობთ?**

- საკუთარი თავის თამაშის მიმართ მაქვს განსაკუთრებული ინტერესი. იქნებ მართლაც მომიწიოს ოდესმე ამის გაკეთებამ.

**- რამდენად გაინტერესებთ თანამედროვე კრივი? ხშირად ესწრებით საკრივო საღამოებს?**

- რა თქმა უნდა, მაინტერესებს, მე ხომ ყოფილი მოკრივე ვარ. ვიზიარებ იმ აზრს, რომ დღეს კრივი და განსაკუთრებით სუპერმძიმე კატეგორია ისეთი არ არის, როგორიც ჩემს დროს იყო. ვარსკვლავების ნაკლებობა შეიმჩნევა. დღეს ამ კატეგორიაში



მაიკ ტაისონი

პაკიაოს ან მეივეზერის მსგავსი მოკრივეები რომ იყვნენ, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. თუმცა კარგი მძიმეწონოსნები მაინც არიან. მაგალითად, ძმები კლიჩკოები იდეალური მოკრივეები არიან და სამართლიანად არიან მწვერვალზე. რა არ ჰყოფნით მათ? ალბათ, ქარიზმა, სანახაობრივი მხარე, შოუს ელემენტები. მათ მოსაწყენი ევროპული მოკრივეების იარლიყი მიაწებეს და ნაწილობრივ ეს სამართლიანი შეფასებაა. მათი სტილი ზედმეტად რაციონალურია, ნებისმიერ შემთხვევაში იმარჯვებენ, მაყურებელს კი მოულოდნელობის ეფექტი სჭირდება და არა ცივი გონებით გათვლა. გაცილებით თვითმყოფადი მოკრივეები არიან სხვა წონით კატეგორიებში, ასე რომ, სანახავი საკმაოდაა. მაგრამ თანამედროვე კრივში შოუს ელემენტების დეფიციტია, ამიტომაც, როგორც გასართობი, ჩამოუვარდება სპორტის სხვა სახეობებს. თანამედროვე პუბლიკას დიდი არჩევანი აქვს და შეუძლია თავისი გასართობების სიიდან ამოიღოს კრივი.

**- ძმები კლიჩკოების მანერა მოსაწყენია. დევიდ ჰეიზე რას იტყვით?**

- ის ჯერჯერობით რინგის მიღმა დგამს შოუს, რინგზე კი სუპერმძიმე წონით კატეგორიაში გადასვლის შემდეგ სერიოზული არაფერი უჩვენებია. თუ მას კლიჩკოსთან ჩხუბი არ სურს, მაშინ ჩემპიონად არ ჩაითვლება. საკუთარ პოპულარობაზე ზრუნვა შეუძლია, მაგრამ ლეგენდები რინგზე იბადებიან და არა ინტერვიუებში.

**- პაკიაო და მეივეზერი ახსენეთ. გჯერათ, რომ მათი ბრძოლა გაიმართება?**

- ვისურვებდი ასეთი შეხვედრის ხილვას. ბრძოლის ორგანიზება ყოველთვის იოლი არ არის, ჩემს კარიერაში მსგავსი რამ ხშირად მომხდარა. მაგრამ ტაისონისა და ლუისის ბრძოლა შედგა, ორჯერ გავედი რინგზე ჰოლიფილდის წინააღმდეგ... იმედი მაქვს, ფლოიდისა და მენის ბრძოლას ვნახავთ, რადგან აუცილებელია საუკეთესოს გამოვლენა. ჩემი პროგნოზი? ფლოიდი მოიგებს თუ საუკეთესო ფორმაში იქნება. მაგრამ მენისაც შეუძლია გაგვაკვირვოს, რაც არაერთხელ გაუკეთებია. ის ხომ სუპერადამიანია?! მეივეზერი იდეალური მოკრივეა, პაკიაო - ზეადამიანი. ვინ არის უკეთესი? სწორედ ეს მაინტერესებს.

**- სჭირდება თუ არა კრივს ყურის მოჭმის მსგავსი შოუები, რასაც ადგილი ჰქონდა თქვენი და ჰოლიფილდის ბრძოლის დროს?**

- არა, ასეთი რამ საჭირო არ არის. თქვენ იცით, რომ მრავალგზის მოვუხადე ბოდიში ევანდერს. ბოლოს ეს ოპრა უინფრის შოუზე გავაკეთე. მაშინ გულწრფელად მოვინანიე ჩემი საქციელი და განვაცხადე, რომ უკეთესობისკენ შევიცვალე. ეს ინციდენტი შევიდა კრივისა და მთლიანად სპორტის ისტორიაში. მე კი სულ სხვა კვალის დატოვება მინდოდა. ევანდერის ყურის ამბავი სამუდამოდ გაყვება ჩემს კარიერას. რაც შეეხება შოუს, ზოგიერთ თანამედროვე მოკრივეს არ ჰყოფნის ის გრძნობა, რომლითაც მე რინგზე გავდიოდი.

**- მაგრამ თქვენი სახელგანთქმული აგრესია საკმარისი არ აღმოჩნდა ჰოლიფილდსა და ლუისზე გასამარჯვებლად. დროის უკან დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რას შეცვლიდით ამ ბრძოლებში?**

- ვიღაცები ამბობენ, რომ მე საუკეთესოებთან წავაგე. სხვები ამტკიცებენ, რომ ყოველთვის საკუთარ თავთან ვმარცხდებოდი. მაგრამ ლუისთან ბრძოლაში ძველი ტაისონი აღარ არსებობდა. ჰოლიფილდმა დაიმსახურა გამარჯვება - მან აშკარად დამამარცხა. მაშინაც უკვე ჩამოწერილი მოკრივე ვიყავი. იმ დროს საკუთარ თავსაც არ ვუტყდებოდი ამაში. რთული სათქმელია, რას გავაკეთებდი სხვანაირად. ვჩხუბობდი ისე, როგორც შემეძლო. რა თქმა უნდა, იმ წლებში სხვანაირად რომ მეცხოვრა, რინგზე გაცილებით მეტის ჩვენებას შევძლებდი. საერთოდ, დღეს რა აზრი აქვს წარსულზე ლაპარაკს. ამით მხოლოდ ხასიათს ვიფუჭებ.

**- ისლამის მიმდევარი ხართ. რა შეცვალა თქვენში რელიგიამ?**

- მან დიდი გავლენა მოახდინა იმ ცვლილებებზე, რომელიც ჩემს ცხოვრებაში მოხდა. თუმცა არ ვთვლი საჭიროდ დაწვრილებით ვილაპარაკო პირად საკითხებზე. ყველას საკუთარი ღმერთი ჰყავს. ვიღაცისთვის შეიძლება კოკაინი იყოს რელიგია. რაც შეეხება ისლამს, წინ კიდევ დიდი გზა მაქვს. რელიგიამ და ჩემმა მეუღლემ სულ სხვა ადამიანად მაქციეს. შეიძლება ჯერ შორს ვარ იდეალურისგან, მაგრამ უკეთესობისკენ მართლაც ვდგამ ნაბიჯებს.

**- ყველამ იცის თქვენს ცხოვრებაში ერთი დიდი სიყვარულის შესახებ, რომელიც მტრედებს უკავშირდება. არსებობს ინფორმაცია, რომ ახლა მტრედების რბოლებში მონაწილეობთ...**

- მტრედები - ჩემი სიყვარულია, მათ გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ისინი ყოველთვის ჩემს გვერდით იყვნენ და მაძლევდნენ იმას, რასაც ადამიანებთან ურთიერთობისას ვერ ვპოულობდი. ჩემთვის რთულია ამის ახსნა.

მტრედების რბოლა - ეს სპორტის სახეობაა. ამით ბევრი ადამიანია დაკავებული. ვიღაცები ელიტური მტრედების მოშენებას მისდევენ. ისინი თავიანთი საქმის ნამდვილი პროფესიონალები არიან. მე კი ამ საქმეში ჯერ დამწყები ვარ. ფული სულაც არ მაინტერესებს, უფრო სპორტული მხარე მიზიდავს. თანაც, უბრალოდ, მიყვარს ეს ჩიტები, ამიტომაც მიზიდავს სპორტის ეს სახეობა. მე მყავს ჩემი გუნდი და მწვრთნელი ნიუ ჯერსიში.

**- მომავალში რას აპირებთ?**

- გავაკეთებ იგივეს, რასაც ბოლო წლებში ვაკეთებდი. მომწონს ჩემი ცხოვრება მას შემდეგ, რაც ნარკოტიკებს თავი დავანებე და სამაგალითო მეუღლე გავხდი. მინდა ისეთ საქმეებს მოვკიდო ხელი, რომელიც მე და ჩემს ახლობლებს სიამოვნებას მოგვიტანს. რთული ხასიათი მაქვს, დიდი ხანი ცუდი გზა მქონდა არჩეული და იქედან გადახვევა მიჭირდა. ჩემს მომავალში ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ აუცილებლად ვეცდები გამოსწორებას.

სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# გადარჩენილი რეკორდსმენი

შეფილდში გრძელდება სნუკერში მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი წრე. ტიტულების რაოდენობით რეკორდსმენმა **სტივენ ჰენდრიმ** (შვიდჯერ აქვს მოგებული მსოფლიოს ჩემპიონატი) ურთულესი და თან უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მოუგო **ჯო პერის**. „მაესტროს" ეს შეხვედრა რომ წაეგო, დასრულდებოდა მსოფლიო სნუკერის ელიტაში 23-წლიანი ყოფნის პერიოდი - შოტლანდიელს ამჟამად ისედაც არასახარბიელო რეიტინგი აქვს.

პირველი სესიის შემდეგ ლეგენდარული სქოთი 6:3-ს იგებდა, მაგრამ მეორე სესიის დაწყებისთანავე სტივენის თამაშში პრობლემები გაჩნდა და პერიმ ზედიზედ სამი ფრეიმის აღებით ანგარიში გაათანაბრა.

ჰენდრის საჩემპიონო კლასი ბოლომდე არ დაუკარგავს და ეს მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა. სწორედ ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში შეძლო მან მობილიზება და ისევ გაუმართა ბრძოლა მეტოქეს. ბოლო გადამწყვეტ ფრეიმამდე მეტოქეები მორიგეობით იღებდნენ პარტიებს და ბოლოს ხელი სწორედ ინგლისელს აუკანკალდა, როცა ყავისფერი ბურთი ვერ ჩააგდო შუა ლუზაში. ჰენდრი ამ შანსს ელოდა - საჭირო ადგილი მოუნახა ლურჯ ბურთს და გამარჯვებას მიაღწია.

ასე რომ, ჰენდრი მინიმუმ კიდევ ერთი ეტაპი გაგვახარებს თავისი გენიალური თამაშით.



სტივენ ჰენდრი

სამაგიეროდ, მეორე შოტლანდიელი **სტივენ მაგუაიერი** ველარ იბრძოლებს კიდევ ერთი ტიტულისთვის. ერთ-ერთი ფავორიტის სვლა **ბარი ჰოუკინსმა** შეაჩერა.

უკვე პირველივე სესიამ აჩვენა, რომ „მაგი" არ იყო საუკეთესო ფორმაში, რადგან ინგლისელი მუდმივად სჯიდა თავის მოწინააღმდეგეს ხშირი შეცდომების გამო. მან მატჩის პირველი ნაწილი 6:3 მოიგო.

ჰიუკინსი მეორე სესიას კიდევ უფრო უკეთესი განწყობით შეხვდა. ფრეიმების გაცვლის შემდეგ ბარიმ 71-ქულიანი კლირენსის წყალობით გაქცევა მოახერხა - 8:4, მაგრამ შოტლანდიელმა ზედიზედ სამი ფრეიმის აღებით უპასუხა.

ჰოუკინისის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დროულად მოეგო გონს და გადამწყვეტი პარტია მოიგო - 10:9! არადა, მას აქამდე არც ერთი მატჩი არ ჰქონდა მოგებული მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ამ დღის კიდევ ერთ მატჩში მოვლენები გაცილებით მშვიდად ვითარდებოდა. ჩინელმა **დინ ჯუნჰუმ** მოუგო პირველი სესია **ჯეიმი ბარნეტს** - 8:1, ხოლო მატჩის მეორე ნაწილი სამ ფრეიმში ჩაეტია, რომელთაგანაც შოტლანდიელმა მხოლოდ ერთი მოიგო - 10:2.

და მივადექით მრავალტანჯულ **რონი ო'სალივანს**, რომლის პრობლემებზე ერთ-ერთ წინა მიმოხილვაში მოგიყევით. ის სნუკერიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და ჩემპიონატის წინ ფსიქოლოგს მიაკითხა. როგორც ჩანს, ამ სვლამ გაამართლა. ასეა თუ ისე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა შესანიშნავი თამაში აჩვენა **დომინიკ დეილის** წინააღმდეგ.

თავიდან დეილი დამაჯერებლად უგებდა ინგლისელს და მეტოქეები თანაბრად მიდიოდნენ - 2:2. მაგრამ შემდეგ ო'სალივანის შეჩერება რთული გახდა და ფავორიტმა ზედიზედ ხუთი ფრეიმი აიღო!

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა